პალიტრა მედია

ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

25 იანვარი ოთხშაბათი 2012

№ 019 (13625) ფასი 80 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ ზაზა ფაჩულიასთან

# ვეცდები, ევრობასკეტზე მოხვედრის შანსი ხელიდან ერთხელაც არ გავუშვა



## რაც ატლანტაში ვარ, ასეთი კარგი გუნდი ჯერ არ გვყოლია

12

# შემოატრიალებს სამეფო კლუბი?

## მოურინიო ბარსაში 1:2-ით ჩადის

ბარსა-რეალი - 86:86



9



ხმაურიანი ტრანსფერი:

## ტულუზის ჯოკერი ჯაბა ბრეგვაძე

13



## დილას ალბათობის თეორია: სალუქვაძე და ვანაძე



2

სიტუაცია

# ვანაძეც გორის დილაში?!

**23 წლის მათე ვანაძემ** სეზონისთვის მზადება ნიჟნი ნოვგოროდის "ვოლგასთან" ერთად თურქეთში დაიწყო. ალბანურ "ტეუტასთან" საკონტროლო შეხვედრა მათემ "ვოლგას" ძირითადში დაიწყო, მაგრამ 23-ე წუთზე ტრავმის გამო შეცვალეს.

გუშინ კი შევიტყვეთ, რომ "ვოლგამ" კიდევ ხუთი ფეხბურთელი დააყენა ტრანსფერზე, მათ შორის, ვანაძეც. ტრავმირებული მოთამაშის ტრანსფერზე დაყენება "ვოლგას" წესად ექცა. ასე მოექცნენ **ლაშა სალუქვაძესაც**. ვერაფერს იტყვი, „ვოლგა" და მორალი სხვადასხვა ლიგაში „თამაშობენ".

ნიჟნინოვგოროდულ გუნდს დღეს კვიპროსულ შეკრებაზე მხოლოდ ერთი ქართველი, **გია გრიგალავა** გაჰყვა. თუმცა მასაც სხვა გუნდში სურს გადასვლა.

რაც შეეხება ვანაძეს, დიდია ალბათობა, კარიერა დროებით მანაც გორის "დილაში" გააგრძელოს. ჩვენი ინფორმაციით, ესეც გუნდის გენერალური დირექტორის, **მამუკა ჯულელის** ინიციატივაა.

**მერაბ მამულაშვილი**


მათე ვანაძე

# რატომ დაჩაგრეს ქართველები? იმიტომ, რომ ქართველები არიან

## ვოლგას ყოფილ პრეზიდენტს სხვა ვერსია არ აქვს

რუსეთის პრემიერლიგა მსოფლიოს უმდიდრესი ლიგების ხუთეულში დამკვიდრდა და ამის გამო იქ თამაშს ბევრი ცნობილი ფეხბურთელი ეშურება. ამ ყველაფრის ფონზე დაუჯერებლად მოგეჩვენებათ, რაც **გოჩა ხოჯავამ** გვიამბო - მისი თქმით, „ვოლგაში" უხელფასო შვიდი თვე ჯოჯოხეთად ექცა, საკმაოდ კარგი ხელფასის მქონე იძულებული იყო, ფული ესესხა, თავი და ოჯახი რომ გამოეკვება. სიმწრით იცინოდა, ლამის ხახვის ჭამაზე გადაგვიყვანესო.

და ბოლოს: რამდენიმე დღის წინ შემოგთავაზეთ "ვოლგას" ყოფილი პრეზიდენტის, **ალექსეი გოიხმანის** ინტერვიუ, სადაც ის **ოთარ მარცვალაძის** ტრანსფერზე ლაპარაკობდა. ამ ინტერვიუში არის მინიშნებაც, რომ "ვოლგაში" ჩვენების სამეული სწორედ ეროვნების გამო დაიჩაგრა.

*"რამდენი მშვენიერი ფეხბურთელი "ჩაძირეს"... იგივე ხოჯავა, სალუქვაძეც, რომელიც "ვოლგაში" გადმოსვლამდე "რუბინში" თამაშობდა და თვით მესის ჩაკეტვა მოახერხა; გოგუა, რომლის რეანიმირებაც მოვახერხეთ და "ტერეკთან" გასაოცრად ითამაშა. კლუბმა მათ ჯვარი დაუსვა, არადა, ფლანგის ნახევარმცველების უდიდესი დეფიციტი იყო! დარწმუნებული ვარ, მათე ვანაძისთვის მუდმივი სათამაშო პრაქტიკა რომ მიეცათ, ის წლის ბოლოს გუნდს ძალიან დაეხმარებოდა. რატომ "ჩაძირეს" ყველა ერთად? იმიტომ, რომ ქართველები არიან? მე სხვა ვერსია არ მაქვს... თავის დროზე წინასწარ რომ მცოდნოდა, ასეთი ვითარება შეიქმნებოდა, ხოჯავას ძალიან დიდ თანხად გავყიდდი. მაშინ ის მილიონ-ნახევარ ევროდ ფასობდა, ახლა კი მისი ღირებულება გროშია! აი, ყველაფერი ის, რაც "ვოლგას" ახალმა ხელმძღვანელობამ გააკეთა, მაგრამ რისთვის?"* – უკვირს გოიხმანს.

**მერაბ მამულაშვილი**


ალექსეი გოიხმანი

# ვოლგას ვალების გასტუმრება დაავალეს

## ლაშა სალუქვაძე: ალბათ, დროებით დილაში

ორშაბათს, 23 იანვარს რუსეთის საფეხბურთო კავშირის სადავო საკითხების პალატამ ქართველი ფეხბურთელები "ვოლგას" ტყვეობიდან დაიხსნა.

განიხილეს "ვოლგას" ფეხბურთელების, **გოგიტა გოგუას, ლაშა სალუქვაძისა** და **გოჩა ხოჯავას** სარჩელი – ისინი კლუბისგან შვიდი თვის დავალიანების გასტუმრებასა და კონტრაქტების გაწყვეტას ითხოვდნენ.

შეგახსენებთ, რომ კონტრაქტის გაწყვეტის სანაცვლოდ "ვოლგა" ქართველებს დავალიანების დეკემბერში გასტუმრებას და თავისუფალი აგენტის სტატუსს შეჰპირდა. მაგრამ, ფიფას წესებით, თუ კლუბი ხელფასს ორ თვეზე მეტხანს არ იხდის, კონტრაქტი უქმდება, კლუბი კი ფინანსური ვალდებულებისგან არ თავისუფლდება.

სადავო საკითხების პალატამ დაადგინა: აეკრძალოს "ვოლგას" ახალი ფეხბურთელების რეგისტრაცია მანამდე, სანამ არ გაისტუმრებს სალუქვაძის, გოგუასა და **მიხეილ მისინის** სახელფასო დავალიანებას.

*"ჩვენ არ უარვყოფთ დავალიანებას ზოგიერთი მოთამაშის მიმართ. ამავე დროს კლუბსა და ფეხბურთელებს შორის გარკვეული უთანხმოებებიც არსებობდა. დავის ნაწილი საჩვენოდ გადაწყდა, ნაწილიც - მოთამაშეთა სასარგებლოდ. მთლიანობაში კმაყოფილნი ვართ გადაწყვეტილებებით, რომლებსაც დადგენილ ვადებში შევასრულებთ"* - უთხრა " "სპორტ-ექსპრესს" ვოლგას" გენერალურმა დირექტორმა **სერგეი ანისიმოვმა**.

მეტი არაფერია ცნობილი, გამოცხადდა თუ არა კონტრაქტები ბათილად, რატომ არ დაკმაყოფილდა ხოჯავას მოთხოვნა? შევიტყვეთ, რომ გოგუამ გათავისუფლების ფურცელი უკვე მიიღო, სალუქვაძისა და ხოჯავას საკითხი კი გაურკვეველი იყო.

გუშინ ლაშა სალუქვაძეს დავუკავშირდით და ამ ყოველივეზე კომენტარი ვთხოვეთ.

**- გაუგებარი დარჩა, დავების პალატამ "ვოლგასთან" კონტრაქტი გაგიწყვიტა?**

- დავა მოვიგეთ და, ცხადია, გათავისუფლების ცნობას მივიღებ.

**- საკითხის გარკვევამდე სად ვარჯიშობდი?**

- ვერც კონტრაქტს ვაფორმებდი და ვერც სხვა გუნდთან ვვარჯიშობდი, ამიტომ ინდივიდუალურად ვემზადებოდი.

**- პალატის გადაწყვეტილებაში ხოჯავა ნახსენები არ იყო, ანუ მისი სარჩელი არ დააკმაყოფილეს?**

- მასაც გაათავისუფლებენ და სახელფასო დავალიანებასაც გადაუხდიან.

**- „ვოლგას" ყოფილმა პრეზიდენტმა გოიხმანმა თქვა, ქართველთა სამეული დუბლებში ეროვნების გამო გადაიყვანესო.**

- სამწუხაროდ, მეც ასე მგონია. "ვოლგას" პრეზიდენტი შეეცვალა და ახალი ხალხი უნდოდათ. თანაც, გოიხმანი შვილებივით გვეფარებოდა, ჩვენც დიდ პატივს ვცემდით და ესეც გახდა ჩვენი გაშვების მიზეზი. არადა, რა კარგად დავიწყეთ ჩემპიონატი, გუნდი თამაშობდა და რა უნდოდათ, ვერ გავიგეთ. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, როგორია უხელფასოდ შვიდი თვე ცხოვრება? ყველაზე ცუდი ის იყო, რომ სხვებს მისცეს და ჩვენ არა.

**- სად, რომელ გუნდში ითამაშებ?**

- ჯერ ზუსტად ვერ გეტყვით. ანთალიაში ჩავალ "დილასთან" და დავილაპარაკებთ. იქ დაინტერესებული გუნდები ჩამოდიან, მაგრამ, ალბათ, ხუთი თვე აქ დავრჩები.

**- უცხოეთიდან რეალური წინადადება არ გაქვს?**

- თიაქარის ოპერაცია გავიკეთე, ხუთი თვეა, უთამაშებელი ვარ და ფორმის აღსადგენად დროებით დარჩენა, შესაძლოა, სჯობდეს კიდეც. ახლა ჩემთვის მთავარი ისაა, ვითამაშო და ფორმა აღვიდგინო.

**- "დინამო" საბოლოოდ გამოირიცხა?**

- დაინტერესება იყო, მაგრამ დავის გამო კონკრეტულ პასუხს ვერ ვეუბნებოდი და გუნდი ესპანურ შეკრებაზე გაემგზავრა.

**მერაბ მამულაშვილი**


ლაშა სალუქვაძე

ფიფა და სფფ

# არველაძე ფიფას კომიტეტშია

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში ფიფადან წერილი მოვიდა: მსოფლიო ფეხბურთის მმართველი ორგანო იტყობინება, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გენერალური მდივანი **რევაზ არველაძე** ფიფას მარკეტინგისა და ტელეუფლებების კომიტეტის წევრად აირჩიეს.

ცნობისთვის, აღნიშნული კომიტეტი 15 წევრისგან შედგება და მისი უმთავრესი ფუნქცია ფიფას აღმასრულებელი კომიტეტისთვის კონკრეტული რეკომენდაციების მიცემა და ამ სფეროში პრიორიტეტების განსაზღვრაა.

მარკეტინგისა და ტელეუფლებების კომიტეტი ფიფასა და მის პარტნიორ მარკეტინგულ და სატელევიზიო კომპანიებს შორის არსებულ ხელშეკრულებებსა და შემდგომ ურთიერთობას არეგულირებს. ფიფას აღმასკომი კი ამ სფეროში გადაწყვეტილებებს სწორედ ამ კომიტეტის რეკომენდაციებზე დაყრდნობით იღებს.

სფფ-ში მიაჩნიათ, რომ გენერალური მდივნის ასეთი რანგის კომიტეტში შეყვანა მნიშვნელოვანი ფაქტია და ფიფასა და ჩვენი ფედერაციის პარტნიორული ურთიერთობების გაღრმავებას შეუწყობს ხელს.

**ლევან ჯანეზაშვილი**


რეზო არველაძე

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com
ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:30

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **242 32 73, 599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63;** ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **237 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გვერდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

● მეტოქე



# საშუალო და მაღალი ნორვეგიელები

ესპანურ შეკრებაზე მყოფ თბილისის „დინამოს“ დღეს კიდევ ერთი ამხანაგური მატჩი ელოდება: ჩვენი ქვეყნის ყველაზე ტიტულიანი გუნდი „მარბელას თასის“ გათამაშებაში მონაწილეობს და ნორვეგიულ „სტრომსგოდსეტს“ დაუპირისპირდება. „დინამოს“ მსგავსად, „სტრომსგოდსეტსაც“ მარცხიანი სტარტი ჰქონდა „მარბელას თასზე“ — უკრაინულ „დნიპროსთან“ 1:4 დამარცხდა.

„სტრომსგოდსეტი“ ნორვეგიის ერთ-ერთი უძლიერესი კლუბია (1907 წელს არის დაარსებული) და რამდენიმე ტიტულითაც მოიწონებს თავს. კერძოდ, 1970 წელს ქვეყნის ჩემპიონი გახდა, ხუთჯერ კი ნორვეგიის თასი მოიპოვა (უკანასკნელად — 2010 წელს). მოკლედ, ნორვეგიული „საზომით“ საშუალო დონის გუნდია და ბოლო წლებია, ქვეყნის ჩემპიონატს ცხრილის „შუაგულში“ ას-



მერებაშვილი (მარცხნივ) და გარსია
ფოტო: www.fcdinamo.ge

რულებს. გუნდის მთავარი მწვრთნელი **რონი დეილა** გახლავთ - 36 წლის სპეციალისტი უკვე მეხუთე სეზონია „სტრომსგოდსეტს“ თავკაცობს და სწორედ მისი ხელმძღვანელობით შეძლო გუნდმა ნორვეგიის თასის მოგება. ალსანიშნავია, რომ ეს იყო „სტრომსგოდსეტისათვის“ პირველი ტიტული უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში...

„დინამოს“ დღევანდელი მეტოქე ნორვეგიაში ერთ-ერთ ახალგაზრდულ გუნდად მიიჩნევა - „სტრომსგოდსეტის“ ფეხბურთელთა საშუალო ასაკი 20-21 წელია. წინა სეზონში „სტრომსგოდსეტში“, ფაქტობრივად, მხოლოდ სამი ფეხბურთელი იყო ასაკოვანი: 33 წლის მცველი **ალექსანდერ აასი**, 32 წლის გამოცდილი ნახევარმცველი **ოივინდ სტორფლორი** (ადრე, ნორვეგიის ნაკრებსა და ამ ქვეყნის ყველაზე ტიტულიან კლუბში „რუსენბორგში“ თამაშობდა) და 33 წლის თავდამსხმელი **პეტერ კოვაჩი**. ალსანიშნავია, რომ კოვაჩს სხვადასხვა დროს უთამაშია ფინეთის („ლახტი“, „ჰაკა“), ნორვეგიისა („ტრომსო“, „ვიკინგი“, „ოდ გრენლანდი“) და ბელგიის („ლიერსი“) გუნდებში, ხოლო მშობლიურ უნგრეთის ნაკრებში 10 მატჩი აქვს ჩატარებული. კოვაჩი ტიპური ცენტრფორვარდია და „დინამოს“ მცველებს, ალბათ, დიდი ყურადღება მართებთ მეტოქის „სტანდარტულების“ შესრულებისას — უნგრელი თავდამსხმელის სიმაღლე 1 მეტრი და 98 სანტიმეტრია! კოვაჩის გარდა „სტრომგოდსეტში“ მრავლად არიან სხვა ლეგიონერებიც — **ადამ კვარასეი-ლარსენი, რაზაკ ნუჰუ** (ორივე — განა), **ალფრედ სანკოჰი** (სიერა-ლეონე), **ომარ ელაბდელაოუი** (მაროკო) და სხვა.

„დნიპროსთან“ მატჩში „სტრომსგოდსეტმა“ ასეთი შემადგენლობით ისასპარეზა: **ლარს კრამერი — მუნირ ჰამუდი, ალექსანდერ აასი, ლარს საეტრა, რაზაკ ნუჰუ (46. კინი გრევაი) — ბეჰაიდინ სელინა — გუსტავ მენდონკა ვიკჰაიმი (46. მადს ვესტლი გუდერსენი), ოლე ამუნდ სვენი, პოლა კამარა (46. პეტერ კოვაჩი), ბარდ შალა (46. ადამა დიომანდე) — სტეფან იოჰანსენი (46. ჩოლ ტოკმაკ ნგუენი)**. ალსანიშნავია ის გარემოებაც, რომ „დნიპროს“ ესპანელმა თავკაცმა **ხუანდე რამოსმა** თითქმის ოპტიმალური შემადგენლობა დააყენა და **ივან შტრინიჩის, ნიკოლა კალინიჩის, რუსლან როტანის, ევგენი კონოპლიანკასა** და **სერგეი კრავჩენკოს** გვერდით 19 წლის **ევგენი ბოხაშვილმაც** ისასპარეზა. თუმცა, ეს ახალგაზრდა ფორვარდი უკრაინის მოქალაქეა.

**გია ტუხაშვილი**

*P.S. „დინამოსა“ და „სტრომსგოდსეტის“ მატჩი, სავარაუდოდ, 21 საათსა და 30 წუთზე (ჩვენი დროით) დაიწყება. თუმცა, არ არის გამორიცხული, რომ შეხვედრის დაწყების დრო შეიცვალოს.*

● სამზადისი. ზესტაფონი

# ესპანეთისკენ კარგი განწყობით

**ზესტაფონი–მერანი 2:1**

0:1 მანწკავა (40), 1:1 დვალი (59), 2:1 შ. გრიგალაშვილი (55)

ზესტაფონი: რ. კვასხვაძე (46. მამალაძე) – თ. ღონღაძე (46. თ. გრიგალაშვილი), გ. ონიანი, საჯაია (46. გაგოშიძე), ელიავა (46. ბენაშვილი) – გ. ბერაია (56. მენთეშაშვილი), შარიქაძე (46. გორგიაშვილი), ბაბუნაშვილი (40. დვალი), რაჟამაშვილი (46. აფციაური), სამუშია (46. შ. გრიგალაშვილი) – წინამძღვრიშვილი (46. მუჯირი).

*მწვრთნელი: გ. ჭიაბრიშვილი*

მერანი: შეროზია (62. შენგელია) – კაკუშაძე (62. გეგეჭკორი), იობაშვილი (62. კიკალიშვილი), გ. ჟვანია, სუხიაშვილი (62. მელიავა) – დიდავა (62. ნონორია), მანწკავა (62. მამუდოვი), ე. გრიგალაშვილი (62. ფონიავა), ჩალაძე (46. ტორონჯაძე), ბოხუა (46. ტორაძე) – ამბროლაძე.

*მწვრთნელი: მ. ჟვანია*



ფოტო: www.fczestafoni.ge

გუშინ, ესპანურ შეკრებაზე გამგზავრების წინ, “ზესტაფონმა” ბოლო საკონტროლო მატჩი ჩაატარა. საქართველოს ჩემპიონებმა საკუთარ საწვრთნელ ბაზაზე მარტვილის “მერანს” უმასპინძლეს და დაძაბულ ბრძოლაში დაამარცხეს.

პირველ ტაიმში ზესტაფონელებმა რამდენიმე საგოლე მომენტი ვერ გამოიყენეს, რისთვისაც შესვენებამდე ხუთი წუთით ადრე დაისაჯნენ – **გიორგი მანწკავამ ანზორ სუხიაშვილის** გადაცემა მიიღო, მასპინძელთა საჯარიმოში შეიჭრა და “მერანი” დააწინაურა.

“ზესტაფონმა” ყველაზე მძლავრად მეორე ტაიმის დასაწყისი ჩაატარა და შედეგიც სწორედ ამ დროს მოიმკა. 49-ე წუთზე “მერანის” მცველები შეცდნენ და **ჯაბა დვალმა დავით მუჯირის** გადაცემით ანგარიში გაათანაბრა, 55-ეზე კი სტუმართა უკანა ხაზმა კვლავ არასაიმედოდ იმოქმედა და ძელიდან ასხლეტილი ბურთი ახალგამოჯანმრთელებულმა **შოთა გრიგალაშვილმა** მეტოქის კარში დაუბრკოლებლად გახვია – 2:1.

ორივე გუნდმა ორი შემადგენლობით ითამაშა. “ზესტაფონში” შეუცვლელი მხოლოდ **გიორგი ონიანი** იყო. სხვადასხვა მიზეზით, მარგველთა პირველი გუნდის წევრთაგან გუშინდელ შეხვედრაში მონაწილეობა არ მიუღიათ **მამუკა კობახიძეს, გიორგი ხიდეშელს, ლუკა გუგუჩიას** და **აბაიომი ოვონიკოკოს**.

საინტერესოა, რომ დავით მუჯირმა ეს მატჩი თავდამსხმელის პოზიციაზე ჩაატარა და უნდა ვივარაუდოთ, რომ მას “ზესტაფონის” ოფიციალურ შეხვედრებშიც ამ პოზიციაზე ვიხილავთ.

“ლელოს” გუშინდელ ნომერში ის შემადგენლობა გაგაცანით, რომელიც **გიორგი ჭიაბრიშვილმა** და მისმა ასისტენტებმა ესპანურ შეკრებაზე წასაყვანად შეარჩიეს. “ზესტაფონი” თბილისიდან ზეგ გაფრინდება და ესტეპონაში სტამბოლისა და მალაგის გავლით ჩავა. 31 იანვარს ფეროელები ამხანაგურად “დნიპროს” შეხვდებიან, 3 თებერვალს კი ჩინურ “გუანჯოუსთან” მატჩით “მარბელას თასს”, იმავე “კოსტა დელ სოლს” დაიწყებენ.

“ზესტაფონის” დაკომპლექტება კი, თუ რაიმე მოულოდნელი არ მოხდა, შეგვიძლია, დასრულებულად მივიჩნიოთ.

**ლევან ჯანეზაშვილი**

● მეტალურგი

# მეტალურგი თურქეთში გაემგზავრა



კობა ჟორჟიკაშვილი

დღეს, გამთენიისას რუსთავის “მეტალურგი” ანთალიაში გაემგზავრა. მთავარმა მწვრთნელმა **კობა ჟორჟიკაშვილმა** თურქეთში შემდეგი ფეხბურთელები წაიყვანა:

მეკარეები: **გრიგოლ ბედიაშვილი, ზურაბ ბათიაშვილი;**

მცველები: **ლაშა ჯაფარიძე, მიხეილ მახვილაძე, გივი კვარაცხელია, სევასტი თოდუა, დენის დობროვოლსკი, შალვა ექვთიმიშვილი, ლერი ხოხონიშვილი, გელა ოთარაშვილი;**

ნახევარმცველები: **გიორგი ქავთარაძე, ლუკა რაზმაძე, ირაკლი მაისურაძე, გიორგი სეთურიძე, გიორგი მიქაბერიძე, გიორგი გავაშელიშვილი, გიორგი თექთურმანიძე, რევაზ გეწაძე.**

თავდამსხმელები: **გიორგი ჭედია, ირაკლი სიხარულიძე, ირაკლი მოდებაძე, დიმიტრი ტატანაშვილი.**

“მეტალურგში” ემზადება 24 წლის მარცხენა მცველი ლერი ხოხონიშვილი, რომელიც ადრე “თბილისში” თამაშობდა, შემდეგ კი რუსთავში გადაბარგებულ და “ოლიმპად” მონათლულ გუნდს გაჰყვა. გუნდში იმ სეზონში გამოდიოდა, როდესაც რუსთაველები პირველად გახდნენ საქართველოს ჩემპიონები. თუმცა პირველი წრის შემდეგ **გიორგი კიკნაძე-ზაზა ზამთარაძის** სამწვრთნელო დუეტი მოხსნეს და ხოხონიშვილი ტრანსფერზე დააყენეს.

მერე კიკნაძემ და ზამთარაძემ თბილისის “ლოკომოტივში” წაიყვანეს, ბოლოს კი თურქეთში თამაშობდა, იქ კი “მეტალურგის” მმართველმა დირექტორმა **ბუბა ტყავაძემ** აღმოაჩინა და გუნდში დააბრუნა.

მეტალურგები თურქეთში ოთხ საკონტროლო შეხვედრას გამართავენ: 27 იანვარს ტირასპოლის “შერიფთან”, 30-ში - ყაზახურ “ასტანასთან”, 2 თებერვალს - რუმინულ “სპორტულთან”, 5 თებერვალს კი, სავარაუდოდ, რუმინულ “ტარგუ მურეშთან”.

**მერაბ მამულაშვილი**

● სამზადისი

# სამეზობლო საკონტროლო

სეზონის განახლებისთვის ემზადება ზუგდიდის “ბაიაც”. გუშინ ოდიშელები შინ პირველლიგელ ხობის “კოლხეთს” ეთამაშნენ და 1:0 გაიმარჯვეს. **გიორგი ქვარცხავას** ფლანგური პასით გოლი **ირაკლი ეხვაიამ** გაიტანა.

“ბაია” პირველ ტაიმში: **სომხიშვილი - აფაქიძე, ტყებუჩავა, აკობია. გ. ქვარცხავა - ტყემალაძე, სიხარულია, კუტალია, ენდელაძე – ეხვაია, ფარჯიკია**

ზუგდიდელთა დამრიგებელმა **გოჩა ტყებუჩავამ** მეორე ტაიმში ესენი ათამაშა: **მაქაცარია – აქუბარდია, პაჭკორია, შონია, გამრეკლიძე – კანკია, გუჯეჯიანი, ზ. ქვარცხავა, ლომია - ეხვაია, ენდელაძე.**

მომდევნო საკონტროლო შეხვედრას “ბაია” 26 იანვარს გამართავს ოზურგეთის “მერცხალთან”.

**დავით თავართქილაძე**

# გარდაიცვალა მერაბ მეგრელაძე



ნუხელ სამწუხარო ცნობა მივიღეთ - 55 წლისა მშობლიურ ოზურგეთში მოულოდნელად გარდაიცვალა ლანჩხუთის „გურიასა“ და ქუთაისის „ტორპედოს“ ვეტერანი ფეხბურთელი

მერაბ მეგრელაძე

ლელო თანაგრძნობას უცხადებს ოჯახს, ქართულ საფეხბურთო სამყაროს.

● ვიტ ჯორჯია

# ძირითადი თურქეთში, დუბლები – ბენდელაზე

სხვების მსგავსად, თურქეთში გასამგზავრებლად ემზადება “ვიტ ჯორჯიაც”. გუშინ **ზურაბ ბერიძის** გუნდმა “ბენდელას თასზე” მეორე მატჩი ჩაატარა, დღეს კი უცხოურ შეკრებაზე წავა. თანამიმდევრობით მივყვეთ.

ვეტერინარებმა “ბენდელაზე” მეორე მატჩიც იოლად მოიგეს. “ვიტ ჯორჯიამ” სოხუმის “აეტი” 6:1 გაანადგურა. ვიტელებმა საქმე პირველივე ტაიმში მოამთავრეს, როცა მეტოქეს ოთხი უპასუხო ბურთი გაუტანეს. **ბესიკ ჩიმაკაძემ** ჰეთ-ტრიქი შეასრულა, თითო გოლი კი **გიორგი კორიფაძის, ლევან კუხალეიშვილისა** და **ოთარ ჯავაშვილის** ანგარიშზეა.

“ვიტ ჯორჯია” პირველ ტაიმში: **ძაძამია - ხურცილავა, ადამაძე, კასრაძე, ლანიაშვილი - ვასაძე, გურამ გურეშიძე - კორიფაძე, გიორგი გურეშიძე, ზაქრაძე – ჩიმაკაძე.**

მეორე ტაიმში: **ნ. დაუშვილი - გეთიაშვილი, კალანდია, კასრაძე, ჯავაშვილი - ჯოლოხავა, ჯაყელი, დავლაშელიძე, ჯულელი (70. ვაშაკიძე) - ლობჯანიძე, კუხალეიშვილი.**

“ბენდელას თასზე” ასპარეზობას “ვიტ ჯორჯიას” დუბლშემადგენლობა გააგრძელებს, მთავარი გუნდი კი თურქეთში ამ შემადგენლობით გაემგზავრება:

მეკარეები: **გიორგი ძაძამია, ნიკოლოზ დაუშვილი, ჯინო რეჭია;**

მცველები: **გიორგი გეთიაშვილი, ლაშა კასრაძე, გიორგი კალანდია, ოთარ ჯავაშვილი, დავით ხურცილავა, რევაზ ლანიაშვილი, ჯემალ გოგიაშვილი, გურამ ადამაძე;**

ნახევარმცველები: **გიორგი ვასაძე, გურამ გურეშიძე, გიორგი კორიფაძე, გიორგი გურეშიძე, ვახტანგ ჯაყელი, შოთა დავლაშელიძე, გიორგი ჯანელიძე;**

თავდამსხმელები: **ბესიკ ჩიმაკაძე, ელგუჯა ლობჯანიძე, გიგა ჯულელი, ლევან კუხალეიშვილი, ბექა ზაქრაძე, გიორგი ვაშაკიძე.**

“ვიტ ჯორჯია” თურქეთში 35-კაციანი დელეგაციით მიდის. ანთალიის მახლობელ დაბა ბელექში ბერიძის გუნდი ორი კვირას დაჰყოფს და იქ რამდენიმე საკონტროლო მატჩს გამართავს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

● კოლხეთი

# ფრე მერცხალთან

ფოთის “კოლხეთმა” მორიგი საკონტროლო მატჩი ითამაშა, პირველლიგელი ოზურგეთის “მერცხალი” ისტუმრა და ნულოვანი ფრით დაშორდა.

კოლხეთი: **ხარშილაძე, კილასონია, ხატიაშვილი (ნიქარიშვილი 46), ცხვიტარია (ბარამიძე 60), ქორჩილავა, გოგონაია, გვალია, გულუა, რუსია, ციცხვაია (ლორია 46), ტულუში.**

ფოთელთა გუნდი ახლა იმის მოლოდინშია, თუ სად წავა შეკრებაზე. ახლახან გაუწყეთ, რომ, შესაძლოა, “კოლხეთი” თბილისში ჩამოვიდეს, თუმცა განიხილება სხვა ვარიანტიც – შესაბამისი დაფინანსების შემთხვევაში “კოლხეთი”, ვინძლო, თურქულ შეკრებაზე წავიდეს.

**დავით თავართქილაძე**

ლეგიონერი

# საბა რუბინში რჩება

## კვირკველია ვარ და არა კვერკველია!

## პატრიარქთან შეხვედრამ კვირკველიაზე საოცრად იმოქმედა




ბოლო ერთი წელია, საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ცენტრალური მცველი საბა კვირკველია განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს. დიახ, კვირკველია და არა კვერკველია – თუმცა ამაზე ქვემოთ.

შარშან, იანვარში ყაზანის "რუბინმა" სანკტ-პეტერბურგის "ზენიტიდან" საბას კონტრაქტი გამოისყიდა. კარგა ხანს "რუბინის" დუბლებში თამაშობდა, ზაფხულიდან კი 19 წლის ფეხბურთელი ძირითად გუნდში გამოჩნდა, ჩემპიონთა ლიგაშიც ითამაშა და თავი საუკეთესოდ წარმოაჩინა.

თუმცა ახალი წლის მერე რუსულ მედიაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ, შესაძლოა, ახალგაზრდა ქართველი სხვა გუნდში გაანათხოვრონ.

*"საბა "რუბინის" ხვალინდელი დღეა, მაღალია, მაგრამ ამის მიუხედავად, სწრაფია და ბურთთან არ წვალობს, პირველი პასიც ეხერხება და აქვს ყველაფერი, რაც ცენტრალურ მცველს მოეთხოვება. დიდი ხანია, დუბლების დონეს გასცდა, მას ახლა სათამაშო პრაქტიკა სჭირდება და შესაძლოა, დროებით სხვაგან გავუშვათ"* – თქვა "რუბინის" მთავარმა მწვრთნელმა ყურბან ბერდიევმა.

**საბას თურქეთში დავუკავშირდით და ინტერვიუ ვთხოვეთ.**

**- იყო ლაპარაკი, რომ იჯარით სხვა კლუბში გაგიშვებდნენ.**

- ლაპარაკი ლაპარაკად დარჩა, თურქეთში კვლავ გუნდთან ერთად ვემზადები, საკონტროლო შეხვედრაც ჩავატარე და არსად მიშვებენ. მეც არ მაქვს წასვლის სურვილი.

**- ამ ერთი წლის განმავლობაში დუბლების ფეხბურთელი მთელმა საქართველომ გაგიცნო, შენთვის ბევრი რამ შეიცვალა.**

- მართლაც ბევრი რამ შეიცვალა, უპირველესად კი ის, რომ "რუბინმა" ბევრი რამ შემძინა. თუ გულით შრომობ და არ ზარმაცობ, ადრე თუ გვიან მიაღწევ იმას, რაც ძალიან გინდა. თუმცა, იმის თქმა, რომ უკვე ჩამოყალიბებული მოთამაშე ვარ, ჯერ ნაადრევია. ბევრი მაქვს სასწავლი და დიდი ფეხბურთის სათამაშოდ ბევრი მიკლია. წლები, შრომა და გამოცდილება ბევრს ნიშნავს.

**- "რუბინის" ძირითად შემადგენლობაში თავიდანვე დამაჯერებლად ათამაშდი. ახალგაზრდა ფეხბურთელს ასეთი სიმშვიდე და თავდაჯერება საიდან?**

- რა უცნაურადაც უნდა მოგეჩვენოთ, ეს ყველაფერი საქართველოს პატრიარქის, ილია II-ის დამსახურებაა. ამაზე არასოდეს მილაპარაკია. "რუბინის" ძირითად შემადგენლობაში სადებიუტო მატჩი რუსეთის თასზე "ურალთან" ჩავატარე. ტიტულოვანი მეტოქე არ იყო და არც მინერვიულია. მოვიგეთ და შემდეგ ეტაპზე გავედით, სადაც "ტერეკს" შევხვდით და საგოლე კომბინაციაშიც ვმონაწილეობდი.

ყველაზე მთავარი შეხვედრა ამის შემდეგ მელოდა. ყურბან ბერდიევმა ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო მატჩშიც ძირითადში დამაყენა, თანაც კიევში, "დინამოს" წინააღმდეგ. რა ჩემი თქმა უნდა, კიევის "დინამო" დიდი გუნდია, თანაც იქ ანდრეი შევჩენკო თამაშობდა და წარმოგიდგენიათ, მატჩამდე რა დღეში ვიქნებოდი... ძალიან ვნერვიულობდი, ასეთი გუნდისა და შევჩენკომილევსკის წინააღმდეგ ევროთასზე დებიუტი იოლი ნამდვილად არ იყო.

ამ ფიქრებში ვიყავი კიევის სასტუმროში, როდესაც ჰოლში ჩავედი. იქ ორი მღვდელი შევნიშნე და მათი ქართული ლაპარაკიც მომესმა. გამიხარდა, მივედი და გამოველაპარაკე. დამლოცეს და მითხრეს, ცოტა ხანი მოიცადე და პატრიარქიც ჩამოვაო. არ ვიცოდი, რომ ილია II კიევში რუსეთის პატრიარქს ხვდებოდა. უწმინდესმა დამლოცა და ორი წუთი ველაპარაკე. ამ შეხვედრამ ჩემზე ისე იმოქმედა, ასე მეგონა, მეორედ დავიბადე. საოცარი რწმენა და თავდაჯერება ვიგრძენი - თითქოს ჩემპიონთა ლიგაში პირველად კი არა, წლებია, ვთამაშობდი. შთაბეჭდილებებით სავსე ვიყავი და ნერვიულობაც სადღაც გაქრა.

საბედნიეროდ, თამაში საჩვენოდ წარიმართა და კიეველებს მოვუგეთ. ჯერჯერობით ეს ამბავი ყველაზე დასამახსოვრებელია ჩემს კარიერაში.

**- 19 წლის ბიჭისთვის ჩემპიონთა ლიგაში თამაში მართლაც ბევრს ნიშნავს.**

- ვერ გამოვხატავ, ჩემპიონთა ლიგის ჰიმნის მოსმენისას როგორი ემოციები დამეუფლა. ამ ყველაფერს ტელევიზორში სხვაგვარად აღვიქვამდი, მაგრამ მოედანზე რომ გავედი, სულ სხვა განცდა იყო.

**- ორწლიანი ჩემპიონობის შემდეგ "რუბინმა" პოზიციები დათმო და საგაზაფხულო ეტაპს მეხუთე ადგილით იწყებს, რა ხდება გუნდში?**

- ეს ყველაფერი გადატვირთული კალენდრის ბრალია, ყოველ მესამე დღეს რუსეთის პრემიერლიგაში ან ევროთასზე ვთამაშობდით. მაგრამ დარწმუნებული ვარ, ეს დროებითი ჩავარდნაა და მალე მდგომარეობას გამოვასწორებთ. "რუბინი" ისეთი დონის გუნდია, ყოველთვის პირველობისთვის იბრძოლებს.

**- "ლევსკისთან" საკონტროლო შეხვედრაში "რუბინმა" ანგარიში მერაბ ურიდიას გოლით გაათანაბრა. ვინ არის ეს ბიჭი?**

- თურქეთში ძირითად გუნდთან ერთად დუბლშემადგენლობაც ვარჯიშობს და ბერდიევმა ურიდია იქიდან დაიმატა. ბევრი არ უთამაშია, მაგრამ შანსი მშვენივრად გამოიყენა და გაიტანა. რუსეთშია დაბადებული, რუსეთის მოქალაქეა, ქართული კარგად არც იცის, მეგრული უფრო ესმის, კარგი ადამიანი და პერსპექტიული თავდამსხმელია. თუ ასე გააგრძელებს, აუცილებლად დიდ ფეხბურთს ითამაშებს.

სხვათა შორის, "რუბინის" დუბლებშია ავთო ბრაჭულიც, ძალიან პერსპექტიული მცველი, რომელიც დუბლებში ერთ-ერთი წამყვანი ფიგურაა. ნიჭიერი ბიჭია თავდამსხმელი მიხეილ გორელიშვილიც.

**- ყაზანის "რუბინის" საიტთან ინტერვიუში თქვი, რომ დავით კვირკველია შენი მოგვარეა, მაგრამ ნათესავები არ ხართ. მოგვარეები როგორ ხართ, ის კვირკველიაა, შენ - კვერკველია?!**

- მეც კვირკველია ვარ, მაგრამ მამაჩემმა შეცდომით კვერკველია ჩაწერა და ეს შეცდომა დღემდე შემოგვრჩა. მაგრამ ახლა გამოსწორებას ვაპირებ და ნამდვილ გვარს აღვიდგენ.

**მერაბ მამულაშვილი**

გზა

# ქვარაცხელიას ქუთაისური ამბავი ხელახლა იწყება

**მას თამაშის გაკეთება შეუძლია, რთულ სიტუაციაში გატანა, ჯანისა და ტექნიკის ხარჯზე დამცავი ეშელონების მორღვევა...**

**ახლა რთული პერიოდი აქვს – ქუსლის ოპერაციის შემდეგ უნდა აღიდგინოს ფორმა და მასზე გაცემული ავანსები გაამართლოს...**

**ბევრი ეფექტური გოლი გაუტანია, ოღონდ, თავი ისეთ გარემოში უნდა დაიგულოს, სადაც მწვრთნელი გაუგებს და სწორად მიუდგება...**

**ვახტანგ კვარაცხელია** არ არის ფატალურად უიღბლო ფეხბურთელი, თუმცა მისი გზა არ ყოფილა უპრობლემო. ხშირად რაღაც უშლიდა ხოლმე ხელს, მაგრამ ასევე ხშირად გაჰქონდა ეფექტური და წონადი გოლები.

ვახტანგი ქუთაისელია, თუმცა იქაურ ქომაგს ის ჯერ ისე არ უყვარს, როგორც ადრინდელი ჯილები. მას ქუთაისში ჯერაც შესაქმნელი აქვს სახელი.

ქართულ კლუბებს შორის იშვიათია ისეთი ტრანსფერი, ასეულათასობით დოლარი რომ გადახდილა. კვარაცხელიას არ უთამაშია ეროვნულ ნაკრებში, მაგრამ, როცა "ვიტ ჯორჯიადან" "ტორპედოში" გადავიდა, ტრანსფერის ფასმა 100 000 დოლარს მიაღწია.

რა თქმა უნდა, ასეთ თანხას ჰაიჰარად არ ისვრიან, ეს ნაფიქრი გადაწყვეტილება იყო, "ტორპედოს" მაშინ ახალი მეპატრონე გამოუჩნდა "ვისოლის" სახით და კლუბისთვის კარგი ფეხბურთელების სელექცია უმთავრესი პრიორიტეტი გახდა. ერთიცაა, კარგი რეკომენდაციების გარეშე ვახტანგი ამ ფასად "ტორპედოში" ვერ გადავიდოდა. კარგ რეკომენდაციებს კი დამსახურება უნდა.

"ტორპედოში" მისვლამდე კვარაცხელიას საქართველოს ჩემპიონატიც მოგებული ჰქონდა და თასიც. ტიტულები საქართველოში სხვასაც მოუგია, მაგრამ სატრანსფეროდ საინტერესო ფეხბურთელი ვერ გამხდარა. კვარაცხელია კი თავიდანვე რაღაცნაირი, სხვანაირი იყო...

უმაღლეს ლიგაში მისი თამაში პირველად "თბილისში" ვნახეთ, ეს ის "თბილისი" აღარ იყო, სადაც ძალიან ბევრი საინტერესო ფეხბურთელი თამაშობდა და **ივო შუშაკის** "დინამოს" ნერვებს მაგრად უშლიდა. ეს უკვე დაშლილი "თბილისი" იყო, რომელსაც ახმახი თავდამსხმელი გამოუჩნდა, რომელიც, აღნაგობის მიუხედავად, კარგი დრიბლიორიც იყო. ამ ფორვარდს რაღაც აკლდა, ალბათ, ნიათი, ნაპერწკალი და მუხტი – ეს არ იყო პატარა ნაკლი. ცოტა ხნის შემდეგ კვარაცხელია თითქოს ჩაიკარგა, ბევრმა დაივიწყა, როგორც პერსპექტიული ფეხბურთელი.

მას უთამაშია საქართველოს თითქმის ყველა ასაკობრივ ნაკრებში, მაგრამ საკუთარი შესაძლებლობების ბოლომდე გახარჯვა ვერსად მოახერხა. დაკვირვებულ თვალს ის არ გამოეპარებოდა, თუმცა იყო რაღაც, რაც მის აფეთქებას ხელს უშლიდა.

"თბილისი", შემდეგ "ოლიმპი", "ბათუმი", იყო უცხოეთიც, თუმცა ლატვიურ "ვენტრაში" დიდხანს არ დარჩენილა. სამშობლოში დაბრუნებული ცხინვალის "სპარტაკში" მივიდა... აქეთ-იქით სიარულს ბოლო მაშინ მოეღო, როცა "ვიტ ჯორჯიას" ფეხბურთელი გახდა. აქედან დაიწყო მისი სერიოზული ნაბიჯები, ამ კლუბში ჩამოყალიბდა სატრანსფეროდ მიმზიდველ ფეხბურთელად.

ის "რაღაც", რაც კვარაცხელას აკლდა, მწვრთნელმა კარგად "დაიჭირა" – ახალგაზრდებთან მუშაობაში ქიპმოჭრილმა სპეციალისტმა **რამაზ მუმლაძემ** მასთან, ფაქტობრივად, ინდივიდუალურად იმუშავა. ყველა მწვრთნელს არ აქვს იმის ნერვები და უნარი, ინდივიდუალურად მიუდგეს ფეხბურთელს, სწორი გადაწყვეტილებები მიიღოს და მოთამაშეს მოედანზე მაქსიმუმი დაადებინოს. მუმლაძე ამას აკეთებდა ვარჯიშებზე, ატყობდა, რომ გუნდიდან **ნიკა გელაშვილის** წასვლის შემდეგ ყველაზე ნიჭიერი თავდამსხმელი კვარაცხელია იყო. ხანდახან მუმლაძე კვარაცხელიას სათადარიგოთა სკამზეც ამწესებდა ხოლმე, მერე კი თამაშმონატრებული თავდამსხმელი მეტი მონდომებით თამაშობდა და გოლებიც გაჰქონდა. ცხადია, მუმლაძეს სხვა მეთოდებიც ჰქონდა მის დასაქოქად, მაგრამ ეს მწვრთნელის ისეთი საიდუმლოა, ამოხსნას რომ არ ექვემდებარება. მუმლაძემ ეს ფეხბურთელი თითქოს საკუთარ ბიოველში მოაქცია.

მუმლაძის ხელმძღვანელიბით "ვიტ ჯორჯია" ჩემპიონიც გახდა, მაგრამ მწვრთნელს ხომ ის შედეგიც ეთვლება, ახალგაზრდა ფეხბურთელებს რომ დაანინაურებს.

გახსოვთ, როგორი გოლი გაუტანა ჩემპიონთა ლიგის შესარჩევში კვარაცხელიამ სლოვენიურ "მარიბორს"? თავურისთვის საკმაოდ შორიდან "ცხრიანში" ჩასვა ბურთი...

ან ეს თუ გახსოვთ: **ოთარ გაბელიას** გაწვრთნილი ახალგაზრდული ნაკრები შინ ირლანდიასთან 0:1-ს აგებდა, კვარაცხელია შეცვლაზე შევიდა, თითქმის ყველა მაღალი თუ დაბალი ბურთი მოიგო და ანგარიშიც გაათანაბრა...

"ვიტ ჯორჯიას" შემდეგ მუმლაძე ქუთაისის "ტორპედოს" მწვრთნელი გახდა. "ვიტ ჯორჯიადან" წასულ სპეციალისტს შეეძლო, ახალი კლუბის ხელმძღვანელობისთვის არ ერჩია ამ ფეხბურთელის ყიდვა, მაგრამ ყველა ადამიანი გულღრძო ვერ იქნება და ყველა მწვრთნელი არ ცდილობს, რომ ფეხბურთელის ტრანსფერიდან თვითონაც მიიღოს თანხა – კვარაცხელიას ტრანსფერით "ვიტ ჯორჯიამ" იხეირა, "ტორპედოში" კი მას თავისი ჯერაც დასამტკიცებელი აქვს.



...დაახლოებით ოთხი თვის წინ კვარაცხელიამ საზღვარგარეთ წასვლა გადაწყვიტა, ებრაულ "ჰაპოელ ფეთაჰ თიქვაში" მივიდა და... ვარჯიშზე ფეხი მოიტეხა.

ასეთი განსაცდელები სპორტსმენის ცხოვრების ნაწილია. კვარაცხელიას მაინც გაუმართლა, "ტორპედოში" ის მწვრთნელი მივიდა, რომელიც მასზე საკმაოდ კარგი აზრისაა. **გია გეგუჩაძე** "ზესტაფონს" რომ თავკაცობდა, ვიტჯორჯიელმა კვარაცხელიამ ზესტაფონში ისეთი შოუ მოაწყო, თქვენი მოწონებული, მცველები მას, უბრალოდ, ვერ აჩერებდნენ. გოლებითაც გამოიჩინა თავი. სულ სხვაა, როცა მწვრთნელი საკუთარ თავზე იწვნევს მეტოქე გუნდის ფეხბურთელის წარმატებულ თამაშს, ამის მერე ეს ფეხბურთელი მისთვის უფრო ფასეული ხდება.

ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, საქართველოს ჩემპიონატის მატჩებზე სიარული ნამდვილად ღირს, ამ ჩემპიონატს ბევრი საინტერესო ისტორია ახლავს, კვარაცხელიას ტორპედოული ამბავიც რეალურად ახლა იწყება.

**დავით თავართქილაძე**

ჩვენი მეტოქე

# ბელარუსმა სამი ამხანაგური დაგეგმა

მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ციკლს საქართველოს ნაკრები 7 სექტემბერს თბილისში ბელარუსთან მატჩით დაიწყებს. ჩვენი მეტოქე შეხვედრისთვის თადარიგს უკვე იჭერს და აშკარაა, დიდ მნიშვნელობას ანიჭებს. ეს იქიდან ჩანს, რომ ბელარუსების მთავარი მწვრთნელი **გიორგი კონდრატიევი** თამაშით ჩვენი ყაიდის გუნდებთან სპარინგებს გეგმავს.



გიორგი კონდრატიევი

ბელარუსის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის თანაშემწე **სერგეი სარაფიანმა** გაზეთ "პრესბოლს" განუცხადა, რომ შესარჩევი ციკლის დაწყებამდე სამი ამხანაგური შეხვედრა დაიგეგმა: უკვე ცნობილი იყო, რომ 29 თებერვალს სლავები ანთალიაში მოლდოვას შეხვდებოდნენ. ახლა კი გადაწყდა, რომ 5 ივლისს მინსკში აზერბაიჯანს უმასპინძლებენ, 15 აგვისტოს კი ერევანში სომხებს ესტუმრებიან.

თავიდან ბელარუსებმა სომხებს საკმაოდ წინდაუხედავი, შეიძლება ითქვას, შეურაცხმყოფელი წინადადებით მიმართეს – თებერვალში თურქეთში ვითამაშოთო - 29-ში მოლდოვას ხვდებიან და ზედიზედ კარგი სპარინგები მიეწყობოდა. მაგრამ სომხურ-თურქული დაპირისპირება გამორჩათ, რაზეც ჩვენი მეზობლების პასუხმა არ დააყოვნა, ნებისმიერ ადგილას ვითამაშოთ, თურქეთის გარდაო.

ასე რომ, ერევნული სპარინგი ბელარუსებისთვის საქართველოსთან მატჩამდე გენერალური რეპეტიცია იქნება.

**მერაბ მამულაშვილი**

ვარსკვლავი

# მეკარის მძიმე ტვირთი

**“გარდიანის” ჟურნალისტმა [illegible]ელ ტეილორმა “მანჩესტერ იუნაიტედის” 21 წლის კარის დარაჯის დავიდ დე ხეას შეცდომები აღნუსხა. ესპანელის ირგვლივ ერთადერთი შეკითხვა ისმება: შეძლებს თუ არა ის გახდეს “მანიუს” შეუცვლელი მეკარე წლების განმავლობაში? დავიდს ნიჭი რომ უხვად აქვს, ალბათ, ეჭვი ცოტას თუ ეპარება, მაგრამ “ეშმაკებში” კარიერა მან მაინც ძალიან არადამაჯერებლად დაიწყო.**

**მასალას შემოკლებით გთავაზობთ.**

შუა სეზონში ლაპარაკი ისევ “მანჩესტერ იუნაიტედის” მეკარეს ეხება. ერთი მხრივ არის დიდი პერსპექტივა, მეორე მხრივ კი დროებითი ჩავარდნები იმის გამო, რომ ძირითად გოლკიპერად ძალიდინარე სეზონში 6 გოლი აშკარა შეცდომის გამო გა[illegible] და კიდევ 3 ისეთი, რო[illegible]ცა მას გუნდი უნდა გადაერჩინა და [illegible] გადაარჩინა. 19 თამაშში 9 გოლი მეკარის გამო, შემამსუბუქებელი გარემოებების გათვალისწინებით, ძალიან ბევრია. სეზონის დასაწყისში ესპანელს უმართლებდა - “სიტისთან” სუპერთასსა და “ვესტ ბრომვიჩთან” პრემიერლიგაში მისი შეცდომების მიუხედავად, გუნდმა მოიგო, მოგვიანებით კი “ბენფიკასთან”, “ბაზელსა” და “ბლექბერნთან” უკვე ყველაფერი ცუდად დამთავრდა.

შეცდომებს ვერც ერთი მეკარე ვერ გაექცევა, მით უფრო მაშინ, როცა 20 წლის ხარ და შენში 18,5 მილიონ ფუნტს იხდიან. სტაბილურობას ხელს არც ის უწყობს, როცა მცველები ხშირად იცვლებიან. 6 თვის განმავლობაში ესპანელ-



დავიდ დე ხეა

ან ნიჭიერი, მაგრამ ჯერაც დაულვინებელი **დავიდ დე ხეა** მიიჩნევა. ალბათ დეჟავიუს შეგრძნებაც ჩნდება. ჩნდება იმიტომ, რომ ეს საკითხი აქტუალური იყო სეზონის დასაწყისშიც. არგუმენტები მაშინ არადამაჯერებელი იყო, მაგრამ მოქმედ ჩემპიონებს ჰქონდათ იმედიანი განწყობის უფლება. მაშინ ისინი ვერც წარმოიდგენდნენ, რომ ამ საქმეს ასე მალე დავუბრუნდებოდით.

ერთი მხრივ, “იუნაიტედი” უნდა ენდოს დე ხეას და ძირითად მეკარედ დატოვოს, რათა სამომავლოდ უფრო მეტი შეცდომა არ დაუშვას. მეორე მხრივ, გუნდი ტიტულისთვის იბრძვის და ყოველ გატანილ თუ გაშვებულ ბურთს მნიშვნელობა აქვს. შემოდგომაზე ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, რომ **ალექს ფერგიუსონმა** სწორი გადაწყვეტილება მიიღო.

სეზონის სტარტზე სკეპტიკურად განწყობილი ექსპერტები დე ხეას პოტენციალის განვითარებას უპერსპექტივო საქმედ მიიჩნევდნენ. **ჯეიმი რედნაპის** თქმით, ესპანელი ვალდებული იყო, თავიდანვე მაღალ დონეზე ეთამაშა და არა ისე, როგორც “ვესტ ბრომვიჩთან” “ბრიტანიაზე” პრემიერლიგაში სადებიუტო მატჩისას გამოიყურებოდა. თუმცა რამდენიმე კვირის შემდეგ მან დიდებულად ითამაშა “ენფილდზე”, სადაც ნერვიც არ ატოკებია. ის ისე გამოიყურებოდა, თითქოს მისთვის დავიწყებოდათ აეხსნათ, თუ რას ნიშნავდა “იუნაიტედის” ფორმით “ლივერპულთან” დაპირისპირება.

მშვენიერი რეაქცია, ბურთის თამაშში შეყვანის უნარი - ახალგაზრდა მეკარეს ეს თვისებები აქვს და მასზე ჯვრის დასმა, თუნდაც ხშირი შეცდომების გამო, არ ღირს. “იუნაიტედში” მშვენივრად ესმოდათ, რომ როცა დავიდს ყიდულობდნენ, **ედვინ ვან დერ სარის** სრულფასოვანი შემცვლელი ის ასე უცბად ვერ გახდებოდა.

მწარე რეალობაა, რომ დე ხეამ მიმმა მიჯრით მხოლოდ 2 მატჩი ჩაატარა დაცვის ერთსა და იმავე ოთხეულთან. დავიდს, ისევე როგორც სხვა მეკარეებს, არ უყვარს დიდი ძვრები. აი, ფერგიუსონი კი როტაციას ხშირად მიმართავს. 5 სასტარტო შეხვედრის ძირითადში დაწყების შემდეგ დე ხეამ მხოლოდ ორჯერ ითამაშა ზედიზედ 3 მატჩი. პირველ წრეში **ანდერს ლინდეგორმა** პრემიერლიგის 5 მატჩი ჩაატარა და გოლი არ გაუშვია, დანარჩენი შეხვედრების გათვალისწინებით კი მატჩში საშუალოდ 0.14 ბურთს უშვებდა. დე ხეას მაჩვენებელი 1.37-ია. ლინდეგორს მოგერიებული ბურთების პროცენტი 95 ჰქონდა, დე ხეას – 74.

**დავიდ დე ხეას შეცდომები:**

**7 აგვისტო.** მანჩესტერ სიტი. “იუნაიტედმა” მოიგო, მაგრამ დე ხეას დებიუტი **ედინ ჯეკოს** ხელის ქვეშ გამძვრალმა გოლმა ჩაუმწარა.

**14 აგვისტო.** ვესტ ბრომვიჩი. “იუნაიტედმა” 2:1 მოიგო, მაგრამ **შეინ ლონგის** დარტყმული ესპანელს ისევ ტანქვეშ გაუძვრა.

**28 აგვისტო.** არსენალი. ამ შეხვედრაში დავიდმა **ვან პერსის** პენალტი აუღო, მაგრამ **ტეო უოლკოტის** დარტყმა ფეხებს შორის გაუშვა.

**22 ნოემბერი.** ბენფიკა. ცუდად მოგერიებულ ბურთს **პაბლო აიმარმა** დაამატა და შედეგად 2:2.

**7 დეკემბერი.** ბაზელი. დე ხეა **მარკ შტრელერის** პირველი გოლისას შეცდა. “მანჩესტერ იუნაიტედმა” წააგო და ჩემპიონთა ლიგიდან გამოვარდა.

**31 დეკემბერი.** “იუნაიტედმა” 0:2 ჩამორჩენა გააბათილა, თუმცა დე ხეამ კუთხურის გათამაშებისას **გრანტ ჰილს** ბურთი აჩუქა. სტუმრებმა სენსაციურად იმარჯვეს – 3:2.

*P.S.* *ამის შემდეგ დავიდ დე ხეას არც უთამაშია.*

ამბები

## უარი გლაზგოდან

“ტოტენჰემმა” “სელტიკიდან” 20 წლის მარჯვენა შემტევი ნახევარმცველის **ჯეიმს ფორესტის** გადაბირება მოინდომა. ფეხბურთელს “კელტებთან” კონტრაქტი 2016 წლამდე აკავშირებს და მათთან ერთად დიდი გეგმები აქვს. ფორესტის აგენტის თქმით, მისი კლიენტისთვის დიდი პატივია, როცა მისით ისეთი ძლიერი გუნდი ინტერესდება, როგორიც “ტოტენჰემია”, მაგრამ “უაით ჰართ ლეინზე” კარიერის [illegible] გაგრძელება მას მაინც არ აი[illegible].

## გუდვილის საქმე

“ბლექბერნის” 22 წლის შოტლანდიელ თავდამსხმელ **დევიდ გუდვილის** გამოძიება 2010 წლის ნოემბერში გლაზგოში ღამის ბარში მავან **ჯონ ფრილზე** თავდასხმასა და მის ფიზიკურ შეურაცხყოფას ედავება. დაზარალებული ამტკიცებს, რომ გუდვილიმ მას ჯერ მუშტები ურტყა, შემდეგ კი ძირს წაქცეულს – ფეხები. სასამართლომ დააკმაყოფილა ფეხბურთელის ადვოკატის ერთ-ერთი შუამდგომლობა და საქმის გამოძიება რამდენიმე კვირით გადადო.

აღსანიშნავია, რომ დევიდი სასამართლომ 2009 წლის ნოემბერშიც დააჯარიმა, როცა ფეხბურთელს კონფლიქტი მოუვიდა მორაგბე **კრეიგ რიდთან**. თვითმხილველებისდა გასაკვირად, ფეხბურთელმა გიგანტური აღნაგობის რიდი სასტიკად გალახა. გატეხილ თავზე მას რამდენიმე ნაკერიც კი დაადეს.

## სუონსი წაგებაზეა

პრემიერლიგის დებიუტანტი “სუონსი” პრემიერლიგაში გადმოსვლამ ფინანსურად აზარალა. აუდიტორული დასკვნის თანახმად, რომელიც კლუბში 2011 წლის მაისში დაიწყო და სულ ახლახან დასრულდა, კლუბმა ელიტაში დაწინაურების შემდეგ ვალების დაგროვება დაიწყო, რამაც უკვე 8,2 მილიონ ფუნტს მიაღწია. კლუბის ფინანსური დირექტორი სიტუაციას იმით ხსნის, რომ “სუონსიმ” სეზონის ბოლოს ფეხბურთელებს სოლიდური პრემიები გადაუხადა, ბონუსების სახით ხელფასებზე ერთჯერადი დანამატი გაუკეთა რიგით თანამშრომლებს, გავიდა სატრანსფერო ბაზარზეც და რამდენიმე ფეხბურთელი გადაიბირა. ამას გარდა კლუბს სხვა წვრილმანი ხარჯებიც ჰქონდა. 2010 წლისთვის ჩემპიონშიპში “სუონსის” დადებითი ბალანსი ჰქონდა – წელიწადში 600 ათასი ფუნტი.

## რაც მალე, უკეთესი

გუშინ ვწერდით, რომ “არსენალის” 30 წლის თავდამსხმელ **ანდრეი არშავინს** გულშემატკივრების გარდა უკვე საფეხბურთო ექსპერტებიც აკრიტიკებენ. **გარი ნევილის** შემდეგ პრესაში რუსს “მეთოფეთა” ლეგენდა **რეი პარლორიც** მისდგა და განაცხადა, “არსენალი“ ბალასტს რაც მალე მოიშორებს, კლუბისთვის მით უკეთესი იქნებაო. *“ასე შორიდან მსჯელობა ცოტა ძნელია, მაგრამ მაინც მრჩება შთაბეჭდილება, რომ ანდრეის ლონდონში ცხოვრება და აქაურ კლუბში ბურთის გორება აღარ უნდა. მას მოტივაციის ნატამალიც აღარ ეტყობა. არ ვიცი, რატომ ხდება ასე, იმიტომ ხომ არა, რომ მას სათამაშო პრაქტიკა აკლია. დაშორება ორივე მხარისთვის საუკეთესო გამოსავალი იქნება,”* – განაცხადა ფეხბურთელმა, ვისაც “არსენალში” 12 წელი (1992/2004) გაუტარებია.

## მინუს ნანი

“დეილი მეილის” ცნობით, “არსენალთან” 22-ე ტურის მატჩში **ლორან კოშელნის** უხეში თამაშის „წყალობით“ მიღებული ტრავმის გამო, “მანჩესტერ იუნაიტედის” განაპირა ნახევარმცველი **ლუიშ ნანი** 28 იანვარს “ლივერპულთან” ასოციაციის თასის მე-4 ეტაპის შეხვედრას დააკლდება.

## გაიტანი უარსაა

ის, რომ “მანჩესტერ იუნაიტედი” “ბენფიკას” 23 წლის არგენტინელი განაპირა ნახევარმცველის **ნიკოლას გაიტანის** სამსახურით იყო დაინტერესებული, დიდი ხანია ცნობილი იყო. ფეხბურთელის აგენტმა **ხოსე ირიბარანამ** პორტუგალიურ “ა ბოლას” განუცხადა, რომ მის კლიენტს არ სურს ინგლისურ გრანდში გადასვლა და ამას ისიც მოწმობს, რომ ნიკოლასმა “არწივებთან” ხელშეკრულება გასული წლის ნოემბრის ბოლოს 2016 წლის ივნისამდე გააგრძელა. *“როცა გრანდები ნიკოლასის სამსახურით ინტერესდებიან, ამაში გასაკვირი არაფერია. მისი დონის ფეხბურთელის ყოლა ყველას უნდა, მაგრამ ეს ტრანსფერი შეუძლებელია და რატომ, ეს უკვე მოგახსენეთ,”* – განაცხადა თქვა მან.

ლივერპული



ლუკას ლეივას ლივერპულში გულთბილად დახვდნენ

# ლუკასი ბედნიერია

“ლივერპულის” ბრაზილიელმა საყრდენმა ნახევარმცველმა **ლუკას ლეივამ** ნოემბერში მუხლზე ჩატარებული ოპერაციის შემდეგ სამშობლოში 6 კვირა გაატარა და ლივერპულში ორიოდე დღის წინ დაბრუნდა, სადაც მას თანაგუნდელები გულთბილად დახვდნენ. პირველი კომენტარი ფეხბურთელმა კლუბის ოფიციალურ ვებგვერდს მისცა. აი, რას აცხადებს ის: *“ბედნიერი ვარ, რომ დავბრუნდი. ჩემი თანაგუნდელები ძალიან მომენატრა. მომენატრა ის ატმოსფეროც, რაც ამ კლუბში სუფევს. სწორედ ამიტომ გადავწყვიტე, რომ სარეაბილიტაციო პროცედურები აქ გამეგრძელებინა. მართალია, ბოლომდე გამოჯანმრთელებისთვის ჯერ კიდევ დიდი დრო მჭირდება, მაგრამ მუხლი მაინც უკეთ მაქვს. კასტილების გარეშე ჯერ ვერ დავდივარ, ვარჯიშზე კი ლაპარაკიც ზედმეტია. ფიზიოთერაპევტები მამშვიდებენ, რომ ეს დიდხანს აღარ გაგრძელდება. 2 თვეში ალბათ ინდივიდუალური პროგრამით დავიწყებ მზადებას. მაგალითად, აუზში სიარულის ნებას მომცემენ. იქამდე, ვიდრე თამაშს შევძლებ, ყველაზე დიდი გასართობი ჩემთვის გულშემატკივრებთან ტვიტერში მიმოწერაა”.*

“ლივერპულმა” 24 წლის ცენტრალური ნახევარმცველის **ესტებან გრანეროს** თაობაზე “რეალთან” მოლაპარაკებები წამოიწყო. **კენი დალგლიშს** ფეხბურთელთან სეზონის დასრულებამდე საიჯარო ხელშეკრულების გაფორმება სურს. მართალია, მერსისაიდელებს ცენტრალური ნახევარმცველები აქამდეც არ აკლდა, მაგრამ ესტებანი უნივერსალია და ცენტრის გარდა თამაში ორივე ფლანგზე თანაბრად შეუძლია. **ჟოზე მოურინიო** გრანეროს პრაქტიკულად არ ათამაშებს – ლა ლიგის 19 ტურში ძირითად შემადგენლობაში ერთადერთხელ დააყენა და სამჯერაც შეცვლაზე ათამაშა, რის გამოც ფეხბურთელი ძალიან უკმაყოფილოა. მისი გადაბირება “არსენალსაც” სურს.

ჩელსი

# ლემპარდი ცოტას დაისვენებს

22-ე ტურში “ნორვიჩთან” მატჩში 33 წლის **ფრენკ ლემპარდმა** ტრავმა ჯერ კიდევ პირველ ტაიმში მიიღო. ექიმებმა მას ორშაბათს გამოკვლევა ჩაუტარეს და დაადგინეს, რომ მას მუხლის მყესები ოდნავ აქვს დაჭიმული და უმჯობესი იქნება, თუკი ფეხბურთელი 4-5 დღე დაისვენებს. ეს იმას ნიშნავს, რომ ფრენკი “არისტოკრატებს” “ქუინზ პარკთან” ასოციაციის თასის მე-4 ეტაპის მატჩს დააკლდება. მაქსიმუმ, “სუონსისთან” მას პრემიერლიგის მატჩის გამოტოვებაც მოუხდეს. ლემპარდი აუცილებლად დაუბრუნდება გუნდს 5 თებერვალს “მანჩესტერ იუნაიტედთან” უპრინციპულეს დაპირისპირებაში.

აღნიშნულ სათასო დაპირისპირებას მთელი ინგლისი სულმოუთქმელად ელოდება, რადგან პირველი წრის შეხვედრაში (1:0) 23 ოქტომბერს **ჯონ ტერისა** და **ანტონ ფერდინანდს** შორის დიდი დაპირისპირება მოხდა. **რიო ფერდინანდის** უმცროსმა ძმამ “ჩელსის” კაპიტანს რასიზმში დასდო ბრალი, მეგონა, რომ ასეთი რამ თანამედროვე მსოფლიოში უკვე წარმოუდგენელი იყოო, გულუბრყვილო სახით აცხადებდა “ქუინზ პარკის” ცენტრალური მცველი. “ქუინზ პარკის” ხელმძღვანელობამ სპეციალური განცხადება გაავრცელა, სადაც გამოთქვა იმედი, რომ ფეხბურთელებს შორის დაპირისპირებას ადგილი არ ექნება და ისინი მატჩის დაწყებამდე ერთმანეთს ხელსაც კი ჩამოართმევენ. თავად კლუბი კი ყველაფერს გააკეთებს, რომ “ლოფტუს როუდზე” მატჩმა მაქსიმალურად მშვიდ გარემოში ჩაიაროს.

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**




ოქტომბერში ფეხბურთელებმა ერთმანეთზე გაინის

## უცხოური ფეხბურთი

● სერია A. გულშემატკივართა გამოკითხვა



მასიმილიანო ალეგრი



ზლატან იბრაჰიმოვიჩი



სამირ ჰანდანოვიჩი

# ქომაგების ხმა ყველაზე მთავარი...

**„ლეგა კალჩოს“ მესვეურებმა 2011 წლის საუკეთესო მწვრთნელ-ფეხბურთელები ჯერ კიდევ შობამდე გამოავლინეს, აი გულშემატკივართა არჩევანი კი გუშინ გაცხადდა და ქვემოთ სწორედ აღნიშნულ თემაზე გვექნება საუბარი. ტიფოზებმა პრაქტიკულად ყველა ნომინაციაში გამოავლინეს საუკეთესოები და ყველა სიკეთესთან ერთად, 2011 წლის სიმბოლური გუნდიც შეადგინეს...**

### საუკეთესო მწვრთნელი

**მასიმილიანო ალეგრი (მილანი, 44 წლის)**

2011 წლის საუკეთესო მწვრთნელი **მასიმილიანო ალეგრი** გახლავთ, სპეციალისტი, რომელმაც „მილანს“ რამდენიმეწლიანი კრიზისი დააძლევინა და ხანგრძლივი პაუზის შემდეგ სკუდეტო მოაგებინა. დიახ, როდესაც ალეგრიმ „როსონერი“ ჩაიბარა, ფეხბურთელთა უმეტესობა თითქოს უმოტივაციოდ იყო და ეს თამაშებზეც შესაბამისად აისახებოდა. ალეგრიმ ახალი გუნდის შენება დაიწყო და შედეგსაც მოკლე დროში მიაღწია: მისი „მილანი' ქვეყნის მოქმედი ჩემპიონია, მიმდინარე სეზონშიც სკუდეტოსთვის იბრძვის და ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპიც დაძლეული აქვს. მოკლედ, ალეგრი ამართლებს **სილვიო ბერლუსკონის** მოლოდინს და სანამ ეს ასეა, ის ალბათ ყოველთვის იქნება საუკეთესო მწვრთნელობის კანდიდატი.

### საუკეთესო მეკარე

**სამირ ჰანდანოვიჩი (უდინეზე, 27)**

აჯობო **ჯანლუიჯი ბუფონს** და თანაც იმ ვითარებაში, როდესაც გამოკითხვაში ძირითადად იტალიელები იღებენ მონაწილეობას, ნამდვილად ურთულესი საქმეა. ჰანდანოვიჩი 2011 წელს მართლაც რომ მოწოდების სიმაღლეზე იდგა და საუკეთესოს სტატუსი ნამდვილად დაიმსახურა. რაც მთავარია, მიმდინარე სეზონშიც შესანიშნავად ასპარეზობს, რაზეც „უდინეზეს“ მიერ გაშვებული ბურთების რაოდენობა ნათლად მიუთითებს. გასულ ზაფხულს სამირის გადაბირება თვით „მანჩესტერ იუნაიტედს“ სურდა, თუმცა ინგლისელებმა არჩევანი ესპანელ **დე ხეაზე** შეაჩერეს, რამაც უდინელი ტიფოზები შვებით ამოასუნთქა. როდესაც ჰანდანოვიჩი კარში დგას, „სტადიო ფრიულიზე“ შეკრებილი გულშემატკივრები თავს მშვიდად გრძნობენ.

### საუკეთესო მცველი

**ტიაგო სილვა (მილანი, 27)**

სულ უფრო და უფრო ხშირად გვიწევს იმაზე საუბარი, რომ **ტიაგო სილვა** საუკეთესო თუ არა, ერთ-ერთი საუკეთესო უკანახაზელია მსოფლიო მასშტაბით. იყო პირველი მცველებს შორის და თანაც იტალიაში, ეს უდიდესი პატივია და ბრაზილიელი ამას კარგად აცნობიერებს. მისი თქმით, კარიერის „მილანში“ დასრულება და ამ გუნდის კაპიტნობა სურს. ეს დღე ალბათ დადგება და სილვა სამკლავურს მოირგებს, მაგრამ ამაზე უფრო მნიშვნელოვანი ის არის, რომ მასიმილიანო ალეგრი თავის შეგირდს გუნდისთვის შეუცვლელ ფიგურად მიიჩნევს.

### საუკეთესო ნახევარმცველი

**კევინ პრინს ბოატენგი (მილანი, 24)**

კიდევ ერთი მილანელი, რომელმაც 100%-ით გაამართლა გულშემატკივართა მოლოდინი. უფრო სწორად, იმაზე მეტი გვაჩვენა, ვიდრე ამას „მილანის“ ტიფოზები წარმოიდგენდნენ. **ბოატენგი** უფრო ხისტ, ჩამშლელ მოთამაშედ განიხილებოდა, მაგრამ „როსონერიში“ ახალი კუთხით გაიხსნა და შემქმნელის როლშიც მოგვევლინა. ალეგრიმ გამთამაშებლის პოზიციაზე გაამწესა და მისდა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ საუკეთესო თვისებები გამოავლინა. ბოატენგმა საგოლე გადაცემებიც უხვად არიგა და გოლებიც ბლომად გაიტანა. ასე რომ, გულშემატკივრების მხრიდან, არჩევანის მასზე შეჩერება ნამდვილად არ არის გასაკვირი.

### საუკეთესო თავდამსხმელი

**ანტონიო დი ნატალე (უდინეზე, 34)**

რა უნდა ვთქვათ ახალი **ანტონიო დი ნატალეზე**? - ბომბარდირად დაბადებული, რომელიც „უდინეზეს“ მთავარი დამრტყმელი ძალა და მეტიც, გუნდის სული და გულია. ის, რომ ფრიულელები წლებია უმაღლესი მიზნებისთვის იბრძვიან და ხშირად, სანადელსაც აღწევენ, პირველ რიგში სწორედ ტოტოს დამსახურებაა. ყველაზე გასაოცარი მისი სტაბილურობაა, თითქმის ვერ გაიხსენებთ შეხვედრას, რომელიც მან ჩააგდო. შედეგად, გულშემატკივრებმა ის 2011 წლის საუკეთესო თავდამსხმელად აღიარეს.

### საუკეთესო ფეხბურთელი

**ზლატან იბრაჰიმოვიჩი (მილანი, 30)**

შეიძლება იკითხოთ, თუ **ზლატან იბრაჰიმოვიჩი** საუკეთესო ფეხბურთელია, მაშინ როგორ არის ანტონიო დი ნატალე საუკეთესო თავდამსხმელი? - ჯერ ერთი, აქ გულშემატკივართა გამოკითხვაზეა ლაპარაკი და თუ ხმები ასე გადანაწილდა, ვერაფერს შეცვლი; მეორე, ზლატანი სწორედაც რომ საუკეთესო ფეხბურთელია და არა ფორვარდი. მაგალითად, გასულ სეზონში მან ლამის ორჯერ ნაკლები გოლი გაიტანა, ვიდრე იმავე ანტონიო დი ნატალემ, ან **ედინსონ კავანიმ**, მაგრამ თავისი გუნდისთვის ის ყველაზე მნიშვნელოვანი, ყველაზე მთავარი ფიგურა გახლდათ. ბევრი მიიჩნევს, რომ იბრას გარეშე „მილანი“ ვერ დაამხობდა „ინტერის“ ჰეგემონიას და არცთუ უსაფუძვლოდ...

### საუკეთესო მსაჯი

**ნიკოლა რიცოლი**

ვერ გეტყვით, კონკრეტულად რომელ შეხვედრებში გამოიჩინა თავი **რიცოლიმ** და სად მიიღო საოცრად ზუსტი გადაწყვეტილებები, სად გაექცა სადავეები ხელიდან და ვინ დასაჯა დამსახურებულად, მაგრამ ფაქტია, რომ გულშემატკივართა გამოკითხვით, წლის საუკეთესო არბიტრად ნიკოლა რიცოლი მიიჩნიეს. აპენინებზე ამბობენ, რომ **პიერლუიჯი კოლინას** შემდეგ, იტალიას ასეთი ნიჭიერი არბიტრი აღარ ჰყოლია - რა გვაქვს სათქმელი, საუკეთესოაო და იყოს საუკეთესო...

### საუკეთესო გუნდი

**უდინეზე**

2011 წლის საუკეთესო გუნდად იტალიაში „უდინეზე“ აღიარეს, რამაც ფრიულელები ძალიან გაახარა, ბევრი კი გააკვირვა, რადგან ქვეყნის მოქმედი ჩემპიონი მაინც „მილანია“. მეორე მხრივ, ახალი სეზონი ლომბარდიულმა გრანდმა ცოტა მძიმედ დაიწყო და მხოლოდ მას შემდეგ დაუბრუნდა ლიდერის პოზიციებს, როდესაც „უდინეზეს“ პრაქტიკულად ჩავარდნა არ ჰქონია. ასეა თუ ისე, ხმათა უმრავლესობა სწორედ „უდინეზეს“ ხვდა წილად და შესაბამისად, პირველობაც არავის დაუთმო.

### სიმბოლური ნაკრები:

**სამირ ჰანდანოვიჩი** (უდინეზე) - **კრისტიან მაჯო** (ნაპოლი), **ტიაგო სილვა** (მილანი), **ალესანდრო ნესტა** (მილანი), **პაბლო არმერო** (უდინეზე) - **მარეკ ჰამშიკი** (ნაპოლი), **კევინ პრინს ბოატენგი** (მილანი), **კლაუდიო მარკიზიო** (იუვენტუსი) - **ზლატან იბრაჰიმოვიჩი** (მილანი), **ედინსონ კავანი** (ნაპოლი), **ანტონიო დი ნატალე** (უდინეზე).

● მოსაზრება



ფაბიო კაპელომ სკუდეტოს ფასი კარგად იცის

# კაპელომ კონტე აქო და ადიდა

იტალიელი ჟურნალისტები ხშირად ეხმიანებიან **ფაბიო კაპელოს** და მას კალჩოში მიმდინარე პროცესებზე აზრის გამოთქმას სთხოვენ. ამჯერად, ინგლისის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა სერია A-ს სატურნირო ცხრილზე და „იუვენტუსის“ ლიდერობაზე დააფიქსირა საკუთარი პოზიცია. მოვუსმინოთ დონ ფაბიოს:

*„ჰგავს თუ არა დღევანდელი „იუვენტუსი“ ჩემი ფორმაციის „იუვენტუსს“? - რაღაცით შესაძლოა ჰგავს კიდეც, მაგრამ მთლიანობაში, მაინც ორ განსხვავებულ გუნდზე გვაქვს საუბარი. ჩემს განკარგულებაში მეგავარსკვლავები გახლდნენ და მაშინ, „ბიანკონერის“ ლიდერობა ჩვეულებრივი ამბავი იყო. დღეს, ტურინში ახალი გუნდი კეთდება და მოთამაშეთა დიდი ნაწილის კვალიფიკაციაში ბევრს სულაც ეჭვი ეპარება - ამიტომ, ტურინული გრანდის ლიდერობა კიდევ უფრო დასაფასებელია და თავიდან ბოლომდე ანტონიო კონტეს დამსახურებაა.*

*რაც შეეხება ზოგადად სერია A-ში არსებულ ვითარებას, სკუდეტოსთვის ბრძოლაში ფავორიტი ორი გუნდია: „იუვენტუსი“ და „მილანი“, თუმცა არ გამოვრიცხავ, რომ მათ რიცხვს მალე „ინტერიც“ შეუერთდეს. „უდინეზე? - ფრიულელებს საკმაოდ სიმპათიური გუნდი ჰყავთ, მაგრამ მათი პროგრამა მაქსიმუმი მაინც ლიგის საგზურის მოპოვებაა“.*

გვერდი მოამზადა
**ლაშა წიკლაურმა**

### იტალიის თასი. 1/4 ფინალი

**იუვენტუსი–რომა 3:0**

**იუვენტუსი (3-5-2):** სტორარი - კიელინი, ბარცალი, ბონუჩი - ლიხტშტაინერი, მარონე, პირლო, ჯაკერინი (88. კრასიჩი), ესტიგარიბია – დელ პიერო (77. კვალიარელა), ბორიელო (63. მატრი).

**რომა (4-3-1-2):** სტეკელენბურგი – ტადეი, კიაერი, ჰაინცე, ანხელი – გაგო, სიმპლისიო (67. გრეკო), პიანიჩი – ტოტი (72. პეროტა), ლამელა, ბოიანი (58. ბორინი).

**გოლები:** 1:0 ჯაკერინი (6), 2:0 დელ პიერო (30), 3:0 კიაერი (90-ს.კ.).

**გაფრთხილება:** ბარცალი, ესტიგარიბია, კრასიჩი – სიმპლისიო, პიანიჩი, ტოტი.

**გაძევება:** ლამელა (67. რომა)

**მაყურებელი:** 41 000

**დღეს**

| | |
|---|---|
| კიევო-სიენა | 20.30 |
| ნაპოლი-ინტერი | 23.45 |



● სავარაუდო ტრანსფერი



# მოტას პარიზში უნდა მუნტარის გენუაში?

ტიაგო მოტა არ მალავს, რომ პსჟ-ში უნდა

**ტიაგო მოტამ** „გაძეტა დელო სპორტთან“ საუბარში ერთობ მოულოდნელი განცხადება გააკეთა და აღიარა, რომ დიდი სურვილი აქვს კარიერა ფრანგულ პსჟ-ში გააგრძელოს. მოულოდნელი კი ეს კომენტარი იმად გახლავთ, რომ სულ რაღაც ორიოდე კვირის წინ, მოტა „ინტერში“ კარიერის დასრულებაზე ემოციამოძალებული საუბრობდა. როგორც ჩანს, დროის მცირე მონაკვეთში ბევრი რამ შეიცვალა და ამაში ფეხბურთელის კომენტარი დაგარწმუნებთ:

*„ვიცი, რომ ფრანგებს ჩემი გადაბირება სურთ და „ინტერის“ მესვეურებთან აქტიურ მოლაპარაკებებში არიან ჩაბმულნი. ეს თვით მასიმო მორატიმ გამანდო და მკითხა, მსურდა თუ არა პსჟ-ში გადაბარგება. მიუხედავად იმისა, რომ „ინტერში“ თავს ფანტასტიკურად ვგრძნობ, ახალი გამოწვევების სურვილი მაქვს და ამის შესახებ მორატისაც ვუთხარი. იმედი მაქვს, კლუბებს შორის შეთანხმება შედგება და კარიერას ფრანგულ კლუბში გავაგრძელებ. მით უმეტეს, პარიზი ჩემი ოცნების ქალაქია, სადაც ყოველთვის მინდოდა ცხოვრება“.*

ერთი სიტყვით, ტიაგო მოტას პსჟ-ში გადაბარგების ალბათობა საკმაოდ დიდია და ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები. საგულისხმოა, რომ „ინტერი“ შესაძლოა კიდევ ერთმა ნახევარმცველმა, **სალი მუნტარიმ** დატოვოს და კარიერა „ჯენოაში“ გააგრძელოს. გენუური კლუბის პრეზიდენტმა თავდასხმის ხაზი საგრძნობლად გააძლიერა და სურს, რომ ერთი-ორი მაღალი კლასის მოთამაშე შუა ხაზსაც წაახმაროს - მოვუსმინოთ **ენრიკო პრეციოზის**:

*„მასიმო მორატისთან ძალიან კარგი ურთიერთობა მაქვს და იმედია, რომ სალი მუნტარის გადაბირებას შევძლებთ. ფაქტია, კლაუდიო რანიერი აფრიკელს არ წყალობს და მასაც მუდმივად სათადარიგოთა სკამზე უწევს ჯდომა. ამიტომ, ურჩევნია, რომ ჩვენთან წამოვიდეს და სათამაშო პრაქტიკასაც მიიღებს. ამ საკითხზე ძალიან მალე მორატისთან ვაპირებ დალაპარაკებას და ვფიქრობ, რომ შეთანხმებამდე მისვლა არ გაგვიჭირდება“.*

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბუნდესლიგა. ექსპერტის ანალიზი

# ამ ბაიერნს ამ დორტმუნდთან შანსი არ აქვს!

## უდო ლატეკი ვერცხლის სინის კანდიდატების შანსებზე საუბრობს

ბუნდესლიგის მეორე წრე ისე გემრიელად დაიწყო, თქვენი მოწონებული! „ბაიერნის" წაგებამ (1:3 მიონხენგლადბახში) ცხრილის სათავეში ვითარება უკიდურესად დაძაბა: რეკორდმაისტერს, დორტმუნდის „ბორუსიას" და „შალკეს" თანაბარი ქულები აქვთ (37), „გლადბახი" კი მათ მხოლოდ ერთი ქულით ჩამორჩება. მოკლედ, დღევანდელი მდგომარეობით, გერმანიის ჩემპიონობისთვის 4 გუნდი იბრძვის. აღსანიშნავია, რომ 18 ტურის შემდეგ ბუნდესლიგას სამი ლიდერი აქამდე არასდროს ჰყოლია! პირველი წრის შემდეგ ექსპერტები ფიქრობდნენ, რომ „ვერცხლის სინისთვის" ბრძოლა „ბაიერნსა" და დორტმუნდის „ბორუსიას" შორის გაიმართებოდა, მაგრამ ამ ტურმა ბევრი რამ შეცვალა და საფეხბურთო გერმანიაში უკვე ალაპარაკდნენ იმაზე, რომ ჩემპიონობისთვის ბრძოლა, რეალურად, „გლადბახსაც" შეუძლია. ცხადია, არც უაღრესად სტაბილური „შალკე" უნდა დაგვავიწყდეს.

ლეგენდარულმა გერმანელმა მწვრთნელმა, 77 წლის **უდო ლატეკმა** გაზეთ „ბილდში" გერმანიის ჩემპიონობისთვის ბრძოლა გააანალიზა და ოთხივე კანდიდატის შანსებზე ისაუბრა. საინტერესო ის არის, რომ ლატეკი ოთხივე კლუბს წვრთნიდა: მიუნხენის „ბაიერნს" ჯერ 1970-დან 1975 წლამდე ავარჯიშებდა, მერე კი 1983-დან 1987 წლამდე და რეკორდმაისტერთან ერთად 6-ჯერ გახდა გერმანიის ჩემპიონი. 1975-დან 1979 წლამდე ლატეკი „გლადბახის" მთავარი მწვრთნელი გახლდათ და მიონხენგლადბახურ კლუბს „ვერცხლის სინი" ორჯერ მოაგებინა. დორტმუნდში 1979-დან 1981 წლამდე და 2000 წელს მუშაობდა, „შალკეში" კი 1992/93 წლების სეზონში.

ვფიქრობთ, რომ მისი მოსაზრებები „ლელოს" მკითხველებისთვის საინტერესო იქნება.



### პირველი ფავორიტი: ბორუსია (დ)

*„დორტმუნდელები ფანტასტიკურ ფეხბურთს თამაშობენ. თუკი პირველი წრის შემდეგ კიდევ მეპარებოდა ეჭვი იმაში, რომ ჩემპიონობის უმთავრესი კანდიდატები იყვნენ, „ჰამბურგთან" 5:1-მა ამაში საბოლოოდ დამარწმუნა. იურგენ კლოპის გუნდში ყველა პოზიცია იდეალურადაა დაკომპლექტებული და რაც მთავარია, მწვრთნელი ყველაფერს აკონტროლებს. BVB-სთვის უდიდესი პლუსია ისიც, რომ ეს გუნდი ჩემპიონთა ლიგაში აღარ თამაშობს და შესაბამისად, შეუძლია, რომ მხოლოდ ბუნდესლიგაზე იყოს კონცენტრირებული – გერმანიის თასი „დორტმუნდს" ხელს ვერ შეუშლის. ჩემი აზრით, ყველაზე მთავარი პლუსი მაინც ის არის, რომ „დორტმუნდს" ჰყავს ისეთი ბრწყინვალე ფეხბურთელები, როგორებიც არიან ლევანდოვსკი, კაგავა, გიოტცე, გროსკროიტცი და სხვები. ისინი ფეხბურთის თამაშით უდიდეს სიამოვნებას იღებენ და რაც ასევე მნიშვნელოვანია, მიუხედავად შარშანდელი ჩემპიონობისა, ეს ბიჭები მაინც დამშეულები არიან! ერთი სიტყვით, დღევანდელი გადასახედიდან, ჩემთვის მთავარი ფავორიტი სწორედ „დორტმუნდია"!*

ლატეკის პროგნოზი: **ჩემპიონობის შანსი 40%**

### მეორე ფავორიტი: ბაიერნი

*„მიუნხენური გრანდი მისთვის დამახასიათებელ სიტუაციაშია. უკვე მერამდენედ ხდება ისე, რომ ბავარიელები ზამთრის მოსამზადებელი შეკრებიდან შესანიშნავი განწყობით დაბრუნდნენ და ამბობდნენ, ყველაფერი იდეალურადაა, წინააღმდეგობას ვერავინ გაგვიწევსო, ახლა კი მეორე წრის პირველივე თამაში წააგეს და განგაშის ზარებსაც შემოჰკრეს. ცხადია, „ბაიერნის" წაგება „გლადბახთან" მოსალოდნელი იყო და ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ერთი მატჩის წაგება კატასტროფა არ არის, მაგრამ საქმე იმაშია, რომ რეკორდმაისტერმა „ბორუსია-პარკზე" ძალიან დუნე, ცუდი ფეხბურთი ითამაშა. სწორედ ეს არის პრობლემა, თორემ უიღბლო მარცხის შემთხვევაში საკითხს ასე არ დავაყენებდი. ახლა, საკმარისია, „ბაიერნი" „ვოლფსბურგთანაც" დამარცხდეს, რაც ნამდვილად რეალურია, რომ მიუნხენური გრანდის ხელმძღვანელები ძალიან გაბრაზდებიან და ესეც ლოგიკური იქნება, რადგან კიდევ ერთი წაგება და „ბაიერნისთვის" მთელ სეზონს სერიოზული საფრთხე შეექმნება. დაცვის ხაზი იმდენად არასტაბილურია, რომ გამორიცხული არაფერია! „ვერცხლის სინი" მიუნხენში მხოლოდ იმ შემთხვევაში დაბრუნდება, თუ ბავარიელები ყველა შეხვედრაში მაქსიმუმს გაიღებენ და თავს არ დაზოგავენ. „ვოლფსბურგთან" მატჩის შედეგი ბევრ კითხვას უპასუხებს."*

**ლატეკის პროგნოზი:** ჩემპიონობის შანსი 25%

### მესამე ფავორიტი: ბორუსია (მ)

*„როისი, ჰანკე, ჰერმანი – უნდა ვაღიარო, რომ ეს ბიჭები, მათი სტილის გამო ძალიან მიყვარს! „გლადბახის" კონტრშეტევები გენიალურია და უმეტესად გოლებით მთავრდება. თუმცა ლუსიენ ფავრის გუნდის საჩემპიონო შანსები მაინც არაა დიდი. თუკი პირველი წრის მერე ამ გუნდს სერიოზულად მაინც ცოტა უყურებდა, „ბაიერნთან" გამარჯვების შემდეგ „გლადბახის" წინააღმდეგ ყველა მაქსიმალური კონცენტრაციით ითამაშებს. თანაც, მიონხენგლადბახელთა მთავარი კოზირი კონტრშეტევებია და დარწმუნებული ვარ, რომ ფავრის ბიჭები აუცილებლად დაკარგავენ ქულის ისეთ გუნდებთან, რომლებიც დაცვით ფეხბურთს თამაშობენ. გარდა ამისა, მართალია, „გლადბახს" ყველაზე ცოტა გოლი აქვს გაშვებული, მაგრამ ამ გუნდის დაცვის ხაზი მაინც არ მომწონს. სამაგიეროდ, მეკარე ჰყავთ შესანიშნავი – სადაც ვამბობთ, რომ სეზონის აღმოჩენა მარკო როისია, იქ არც მარკ-ანდრე ტერ შტეგენი უნდა დავივიწყოთ ხოლმე."*

ლატეკის პროგნოზი: **ჩემპიონობის შანსი 20%**

### მეოთხე ფავორიტი: შალკე

*„შალკე" კარგ, კომბინაციურ ფეხბურთს თამაშობს, რაშიც „შტუტგარტთან" მატჩმა კიდევ ერთხელ დამარწმუნა. არის ეს საკმარისი იმისათვის, რომ გელზენკირხენელებმა ნახევარსაუკუნიანი პაუზის შემდეგ ჩემპიონობა იზეიმონ? სხვების არ ვიცი, მე კი ისეთი განცდა მაქვს, რომ ეს „შალკეს" მაქსიმუმია და რომ ამ გუნდს მეტის მომატება არ შეუძლია. ახლა ჰუუბ სტევენსს ბენედიქტ ჰიოვედესის სახით დაცვის ბურჯი დაუშავდა და თუ კაპიტანი დიდხანს ვერ ითამაშებს, გელზენკირხენელები პირველობისთვის ბრძოლას მალე ჩამოშორდებიან – მიუხედავად იმისა, რომ რაულისა და ჰუნტელაარის სახით ბრწყინვალე თავდამსხმელები ჰყავთ. „შალკეს" მიზანი პირველ რიგში საერთაშორისო არენა, საუკეთესო შემთხვევაში ჩემპიონთა ლიგაა. სამაგიეროდ, ეს გუნდი ჩემპიონობის რეალური პრეტენდენტი მომავალ სეზონში იქნება. თუ რაულს ახალ კონტრაქტს გაუფორმებენ, ხოლო დრაქსლერი კი პროგრესს განაგრძობს, გაისად „შალკესგან" ჩემპიონობა მართლა მოსალოდნელი იქნება."*

ლატეკის პროგნოზი: **ჩემპიონობის შანსი 15%**

დორტმუნდის ბორუსია



მარიო გიოტცეს ტრავმა ორთვიანია

# შოკი: გიოტცეს ტრავმა სერიოზულია!

## ორი თვე მარიოს გარეშე! ახლა ამის დრო იყო?

**მარიო გიოტცეს** ტრავმა მოსალოდნელზე გაცილებით მძიმე აღმოჩნდა: გუშინ, დორტმუნდის „ბორუსიას" სამედიცინო შტაბმა გაავრცელა ცნობა იმის შესახებ, რომ 19 წლის ნახევარმცველი გერმანიის მოქმედ ჩემპიონს უახლოესი ორი თვის განმავლობაში ვერ დაეხმარება. გიოტცეს მუხლის ტრავმა გაუმიზეზდა. პირველი ორი კვირის მანძილზე გიოტცე საერთოდ ვერ ივარჯიშებს, მერე კი რეაბილიტაციას შეუდგება, რასაც მინიმუმ 4 კვირა დასჭირდება. მარიო სრული დატვირთვით ვარჯიშს საუკეთესო შემთხვევაში 6-7 კვირის შემდეგ შეძლებს.

„ეს ჩვენთვის სერიოზული დარტყმაა. გიოტცეს გარეშე თამაშების მოგება რთული იქნება... თუმცა „ჰამბურგთან" მის გარეშეც ძალიან კარგად ვითამაშეთ და იმედი მაქვს, რომ ასე გავაგრძელებთ," - ეს დორტმუნდელთა მთავარი მწვრთნელის, **იურგენ კლოპის** სიტყვებია.

გიოტცეს მიმდინარე სეზონში ბუნდესლიგის ეგიდით 14 თამაში აქვს ჩატარებული – მის ანგარიშზე 5 გოლი და ამდენივე საგოლე პასია (კიკერის საშუალო შეფასება: 2.35). ამასთან, მარიომ ჩემპიონთა ლიგის ექვსივე შეხვედრაში ისპარეზა, მაგრამ ევროპის ელიტარულ საკლუბო ლიგაში გოლი არ გაუტანია. გერმანიის თასზე კი მან ორ მატჩში ერთი გოლი გაიტანა.

ზოგადად, „ბორუსიას" საკადრო პრობლემები მოუმრავლდა. ჯერჯერობით უცნობია, მოახერხებენ თუ არა მომდევნო ტურში მოედანზე გასვლას **სებასტიან კელი** და **სვენ ბენდერი**. მცირე ტრავმა აწუხებს და „ჰოფენჰაიმთან" კითხვის ნიშნის ქვეშაა **კევინ გროსკროიტცის** თამაშიც. სამაგიეროდ, ტრავმები საბოლოოდ მოიშუშეს მეკარე **რომან ვაიდენფელერმა** და ბრაზილიელმა მცველმა **ფელიპე სანტანამ**.

ბაიერნი

# რეკორდმაისტერი 2 თვე ვან ბუიტენის გარეშე!

მიონხენგლადბახში წაგებამ „ბაიერნს" 3 ქულასთან ერთად მცველი **დანიელ ვან ბუიტენიც** დააკარგვინა. 33 წლის ბელგიელი უკანახაზელი მძიმედ დაშავდა და მიუნხენური კლუბის სამედიცინო შტაბის ოფიციალური ინფორმაციით, ლაზარეთში მინიმუმ 2 თვეს გაატარებს.

დიდია იმის შანსი, რომ ამ ტრავმამ ვან ბუიტენს „ბაიერნიდან" წასვლა აიძულოს. საქმე იმაშია, რომ მას რეკორდმაისტერთან კონტრაქტი სეზონის ბოლოს უმთავრდება. ბავარიული გრანდის ხელმძღვანელები მისთვის ახალი ხელშეკრულების გაფორმებაზე ფიქრობდნენ, მაგრამ უკვე ასაკში შესული ბელგიელის შესაძლებლობებში დარწმუნებულები არ იყვნენ და უნდოდათ, რომ მეორე წრეში მასზე დაკვირვება ეწარმოებინათ. ახლა კი ამას ველარ მოახერხებენ.

მართალია, ვან ბუიტენს რამდენიმე შეთავაზება აქვს (ყველაზე მეტად „მონაკო" აქტიურობს), მაგრამ არაერთხელ თქვა, რომ „ბაიერნში" დარჩენა უნდა. ახლა იმედი უნდა იქონიოს, რომ დროულად გამოჯანმრთელდება და რეკორდმაისტერის შეფებს თავს მაინც მოაწონებს.



დანიელ ვან ბუიტენი მძიმედ დაშავდა

### შვაინიც ლაზარეთში?

ამასობაში, **ბასტიან შვაინშტაიგერს** ისევ ტრავმამ შეახსენა თავი – შვაინიმ გუშინ ვარჯიშის დასრულება ვერ შეძლო. დღეს რეკორდმაისტერის მთავარი ექიმი **ჰანს-ვილჰელმ მიულერ-ვოლფარტი** ბასტიანს კარგად შეამოწმებს და საბოლოო დიაგნოზს დაუსვამს – მიუნხენში იმედოვნებენ, რომ შვაინშტაიგერის ტრავმა სერიოზული არ აღმოჩნდება. შეგახსენებთ, რომ მან ტრავმა ახლახან მოიშუშა და „გლადბახთან" ორთვიანი იძულებითი პაუზის შემდეგ პირველად ითამაშა. ჯერჯერობით უცნობია, შეძლებს თუ არა შვაინი ბუნდესლიგის მომდევნო ტურში, „ვოლფსბურგის" წინააღმდეგ თამაშს.

### ტიმოშჩუკს წასვლა არ უნდა

**ანატოლი ტიმოშჩუკმა** მიმდინარე სეზონში „ბაიერნის" ფორმით ბუნდესლიგაში 11 მატჩში მიიღო მონაწილეობა. მის კონტრაქტში, რომელსაც ვადა სეზონის ბოლოს გასდის, წერია, რომ თუ უკრაინელი საყრდენი ნახევარმცველი მინიმუმ 25 მატჩს ჩაატარებს, ხელშეკრულება ავტომატურად გაგრძელდება. გამოდის, რომ ამისათვის, დარჩენილ 16 ტურში მან მინიმუმ 14 შეხვედრაში უნდა ისპარეზოს. ეს ნაკლებად რეალურია, მაგრამ უკრაინელი იმედოვნებს, რომ მიუნხენიდან აზარგება არ მოუწევს.

*„რაც არ უნდა მოხდეს, მჯერა, რომ „ბაიერნში" დავრჩები. აქ თავს ძალიან კარგად ვგრძნობ," -* განუცხადა 32 წლის ტიმოშჩუკმა „შპორტ აინსს".

შალკე

# რა გუტი, რის გუტი?!

გუშინწინ, ესპანური გაზეთი AS წერდა, რომ „შალკეს" „რეალის" ყოფილი ვარსკვლავის, **გუტის** გადაბირება სურს და რომ გელზენკირხენული კლუბის ხელმძღვანელები 35 წლის ესპანელ ნახევარმცველს ყველაფერზე მოურიგდნენ. გუშინ, „შალკეს" მენეჯერმა **ჰორსტ ჰელდტმა** ეს ცნობა უარყო და ისიც თქვა, რომ გუტის გვარი გელზენკირხენელთა სასურველი ფეხბურთელების სიაში არ წერია.



გელზენკირხენში გუტი არ აინტერესებთ

*„ეს ჭორია. ტრანსფერისთვის არანაირი წინაპირობა არ არსებობს. გუტი ძალიან კარგი ფეხბურთელი იყო და დღემდე კარგად თამაშობს, მაგრამ ჩვენ ის არ გვაინტერესებს. საერთოდ, იანვარში აღარავის შევიძენთ,"* - უთხრა ჰელდტმა „შპორტ აინსს". საუბრები იმის შესახებ, რომ „შალკე" სატრანსფერო ბაზარზე გააქტიურდებოდა, კერძოდ კი ნახევარდაცვის ცენტრს გააძლიერებდა, მას მერე დაიწყო, რაც **პეერ კლუგეს** შემდეგ, კიდევ ერთი საყრდენი ნახევარმცველი, **ლუის ჰოლტბიც** სერიოზულად დაშავდა. პრობლემაა ისიც, რომ **ჯერმეინ ჯონსს** დისკვალიფიკაცია აქვს. AS წერდა, გუტი „შალკეში" გადასვლაზე **რაულმა** დაითანხმა...

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

აფრიკის ერთა თასი 2012

# გმირი და ანტიგმირის
## ერთა თასმა ტური მოითავა



**D ჯგუფი**

**განა-ბოტსვანა 1:0**

**განა (4-2-3-1):** კვარასეი - პანცილი, ბოიე, ჯონ მენსა, ინკოომი - აგიემანგ ბადუ, ანანი - ჯ. აიუ (59. ალჰასანი), მუნტარი (72. ჯონათან მენსა), დ. აიუ (88. აბუ) - გიან ასამოა.

**გოლი:** 1:0 მენსა (25)

**გაძევება:** მენსა (67. განა)

**მალი-გვინეა 1:0**

**გოლი:** 1:0 ბ. ტრაორე (30)

გუშინ აფრიკის ერთა თასზე I ტური დასრულდა, საქმეში D ჯგუფის მონაწილენიც ჩაერთვნენ. ამ ჯგუფის მატჩები გაბონში იმართება. ფრანსვილში განის ნაკრებმა, რომელიც პირველობის ერთ-ერთი ფავორიტია - 1:0 მოუგო ბოტსვანას, რომელსაც უთუოდ მოკრძალებული მიზნები ექნება ტურნირზე.

განელთა კაპიტან **ჯონ მენსასთვის** პირველი მატჩი ერთდროულად კარგიც გამოდგა და ცუდიც. ეს მან გაიტანა გამარჯვების გოლი პირველ ტაიმში, მაგრამ სწორედ ის გააძევეს მეორეში. შეგახსენებთ, რომ აფრიკის 4-გზის ჩემპიონი „შავი ვარსკვლავების" კაპიტანი ფრანგული „ლიონის" მცველია. ანგარიში კუთხურის შემდეგ გაიხსნა, **ემანუელ აგემიანგ-ბადუმ** ჩამოაწოდა და ყველაზე მოხერხებული მენსა გამოდგა. სხვა შემთხვევებში „ზებრების" მცველები ყურადღებით თამაშობდნენ - 1:0.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ტრანსფერები

# კაცი, რომელიც ლივერპულზე ოცნებობდა
## ... და ფენერბაჰჩეში გაყიდეს



შარშან მუსა სოვი ფრანგული ლიგის ბომბარდირი გახდა

საფრანგეთის ჩემპიონმა „ლილმა" დაადასტურა, რომ ფორვარდ **მუსა სოვს** თურქულ „ფენერბაჰჩეში" ყიდის. პირველად ამის შესახებ თურქულმა მხარემ განაცხადა, მუსა სოვის სანაცვლოდ ისინი 10 მილიონ ევროს (რომელსაც, შეიძლება, 3 მილიონის ბონუსები დაემატოს) გაიღებენ. მაგრამ რამდენიმე დღის განმავლობაში ეს ინფორმაცია ფრანგებს არ დაუდასტურებიათ.

აი, რა თქვა „ლილის" პრეზიდენტმა **მიშელ სეიდუმ**: *„ჩვენ გავაფორმეთ შეთანხმება, რომ შევთანხმდებით. ტრანსფერის დასრულებამდე რამდენიმე დეტალი დარჩა გასარკვევი. სხვათა შორის, გაზეთებში ნახსენები დეტალები სინამდვილეს ნაკლებად შეეფერება. თუმცა იმის ალბათობა, რომ ტრანსფერი ჩაიშალოს, მინიმალურია".*

26 წლის მუსა სოვი ახლა აფრიკის ერთა თასზეა, სადაც სენეგალის ნაკრებს ეხმარება. სულ რამდენიმე დღის წინ დაიბეჭდა მასთან ინტერვიუ, სადაც აფრიკელი ამტკიცებდა, რომ მისი ოცნების გუნდი „ლივერპულია".

სოვი 2010 წლიდან „ლილშია". მან ლომის წილი დაიდო გუნდის გაჩემპიონებაში - 2010/11 წლების სეზონის ლიგა 1-ის ბომბარდირი გახდა 25 გოლით. სხვათა შორის, ის საფრანგეთში დაბადებულ-გაზრდილია და საფრანგეთის ახალგაზრდულ ნაკრებშიც უთამაშია, მაგრამ საბოლოოდ ისტორიული სამშობლოს სასარგებლოდ გააკეთა არჩევანი.

# გადავიდა, გადავიდა...

მთელი სეზონია ამ ტრანსფერზე წერენ და, მგონი, ის მართლა შედგა. სიმართლე გითხრათ, აღარც გვჯეროდა, მაგრამ ფაქტია - გუშინ იტალიურმა წყაროებმა შეგვატყობინეს, რომ „სევილიას" 24 წლის ურუგვაელი მცველი მარტინ კასერესი ტურინის „იუვენტუსში" გადავიდა.

„ბებერი ქალბატონი" სამხრეთამერიკელს სეზონის ბოლომდე იჯარით აიყვანს და ამაში 1,5 მილიონ ევროს გადაიხდის. სეზონის ბოლოს კი მას 9,5 მილიონად კასერესის გამოსყიდვის ექსკლუზიური უფლება ექნება. კასერესი 2009/10 წლების სეზონში უკვე თამაშობდა „იუვეში", მას „სევილიასთან" 2015 წლის ზაფხულამდე აქვს ხელშეკრულება.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

სასამართლო



რედნაპისა და მანდარიჩის საქმეზე პირველი სხდომა უკვე გაიმართა

# ბრიტანეთი რედნაპის წინააღმდეგ

ორშაბათს **ჰარი რედნაპისა** და **მილან მანდარიჩის** საქმეზე სასამართლოს პირველი სხდომა გაიმართა, რომელმაც პატივცემული ჯენტლმენების წინააღმდეგ აღძრული სისხლის სამართლის საქმის განხილვა დაიწყო. საქმე 2002 წელს რედნაპის "პორტსმუთში" მუშაობის დროს მათ მიერ სატრანსფერო საქმეების წარმოებისას მიღებული შემოსავლებიდან გადასახადების გადაუხდელობას ეხება. რედნაპს "პორტსმუთთან" გაფორმებული ხელშეკრულებით, სპორტული დირექტორის თანამდებობაზე ყოფნისას 10% ეკუთვნოდა, მთავარ მწვრთნელად დანიშვნის შემდეგ კი – 5. რომ არა ეს ფაქტორი, რედნაპს გარეთ ამდენ ხანს არავინ გააჩერებდა. ახლა კი ის ვთქვათ, რაშია საქმე...

გამოძიების მტკიცებით, 2002 წელს რედნაპმა "ფრეტონ პარკიდან" **პიტერ კრაუჩი** "ასტონ ვილაში" 5 მილიონად გაუშვა. ტრანსფერის განხორციელებიდან რამდენიმე დღეში მონაკოს ერთ-ერთ ბანკში ანგარიში როზი 47-ის (როზი რედნაპის ძაღლს ერქვა, 47 წელში კი თავადაა დაბადებული) სახელზე გაიხსნა და მანდარიჩმა მასზე ოფშორული კომპანიის გავლით 189,5 ათასი ფუნტი გადარიცხა. გამოძიება ვარაუდობს, რომ პრეზიდენტმა და მწვრთნელმა ამ გზით მიღებული შემოსავლებიდან სახელმწიფოს კუთვნილი შემოსავლები დაუმალეს.

**ლევან ბიბილაშვილი**

მანჩესტერ სიტი

# რატომ მუდამ მარიო?!
## იმიტომ, რომ იტალიელი ისევ ხულიგნობს

ინგლისის საფეხბურთო ასოციაციამ "მანჩესტერ სიტის" იტალიელ თავდამსხმელ **მარიო ბალოტელის სკოტ პარკერის** წინააღმდეგ უხეში თამაშისთვის ბრალდება წაუყენა. 21 წლის ფეხბურთელს დისკვალიფიკაცია ელის. შეგახსენებთ, რომ კვირას, 22 იანვარს მისმა გუნდმა "ტოტენჰემი" 3:2 დაამარცხა. ამ შეხვედრაში მარიომ ძირს დაცემულ მეტოქეს ფეხი თავში ორჯერ ჩაარტყა. პარკერი მხოლოდ შემთხვევით გადაურჩა სერიოზულ დაზიანებას. მატჩის არბიტრმა **ჰოვარდ ვებმა** აშკარა შეცდომა დაუშვა, როცა ფეხბურთელს წითელი ბარათი არ უჩვენა. გუშინდელ ნომერში უკვე ვწერდით, რომ **ჰარი რედნაპმა** ასოციაციას მოქმედებისკენ მოუწოდა. ინგლისური ფეხბურთის მამებმა არ დააყოვნეს. ვების მატჩის შემდგომი ოქმის შესწავლის შემდეგ საქმის გამოძიება დაიწყო. ბრალდება ბალოტელის უკვე წაყენებული აქვს. ფეხბურთელს საკუთარი საქციელის ახსნა დღევანდელი დღის საღამომდე მოუწევს. თუკი ასოციაცია მის არგუმენტებს არადამაჯერებლად ჩათვლის, ფეხბურთელს 4 თამაშით აუკრძალავს მოედანზე გასვლას. რაც იმას ნიშნავს, რომ თავდამსხმელი "ლივერპულთან" ლიგის თასის განმეორებით მატჩს გამოტოვებს. ის გუნდს დააკლდება ასევე პრემიერლიგის შეხვედრებში "ევერტონის", "ფულჰემისა" და "ასტონ ვილას" წინააღმდეგ. თუკი მარიო გადაწყვეტილებას გაასაჩივრებს, შესაძლოა მან "ენფილდ როუდზე" ასპარეზობის უფლება მოიპოვოს.

ბალოტელის აგენტი **მინი რაიოლა** ინგლისის საფეხბურთო ასოციაციის ბრალდებებით აღშფოთებულია და ამტკიცებს, რომ მისმა კლიენტმა პარკერს "ფეხი შემთხვევით მოარტყა". *"თუკი მარიოს მიმართ მსგავსი დამოკიდებულება კიდევ დიდხანს გაგრძელდა, აუცილებლად ვურჩევ მას, რომ დატოვოს პრემიერლიგა და სათამაშოდ სხვა ქვეყანას მოაშუროს. ასოციაციამ მარიო აქეთ უნდა დაიცვას ასეთი საშინელი დისკრიმინაციისგან,"* – აცხადებს რაიოლა.

თითქოს **რობერტო მანჩინის ვენსან კომპანისა** და მარიო ბალოტელის წინააღმდეგ წაყენებული ბრალდებები არ ჰყოფნიდა, "ტელეგრაფის" მტკიცებით, ასოციაცია მალე **ჯოლეონ ლესკოტის** საქმესაც მოჰკიდებს ხელს, ვინც "ტოტენჰემთან" მატჩში სტუმართა მცველ **იუნეს კაბულს** იდაყვი ჩაარტყა.

ბოლოს "სიტის" შესახებ ცოტა მსუბუქ თემებზე გადავიდეთ. "ტოტენჰემთან" შეხვედრაში ხანგრძლივი პაუზის შემდეგ გამოიჩინა თავი "ქალაქელთა" ფრანგმა ნახევარმცველმა **სამირ ნასრიმ**. 24 წლის ფეხბურთელის თქმით, ეს გოლი მისთვის ფსიქოლოგიური თვალსაზრისით უმნიშვნელოვანესი იყო, რადგან ბოლო პერიოდის განმავლობაში პრესაში მასზე მხოლოდ კრიტიკა იწერებოდა. *"დიახ, ეს გოლი ჰაერივით მჭირდებოდა. გავიტანე და დავამტკიცე, რომ შემიძლია მაღალ დონეზე თამაში. "მანჩესტერ სიტი" ჩემი გუნდია,"* – თქვა ნასრიმ.

**ლევან ბიბილაშვილი**




მარიო ბალოტელი



ეროვნული ბიბლიოთეკა

ესპანეთი. ლა ლიგა. XIX ტურის შეჯამება

# მსაჯო, ერთხელ მაინც შეცდი ჩვენს სასარგებლოდ!

## და... სად იყო ნილმარი?

### მესი vs რონი

ჩვენს „ტურნირში“ ლეო მესი ისედაც უსწრებდა კრიშტიანო რონალდოს (11:10). ამ ტურში კი კითხვა არავის დაებადებოდა - არგენტინელმა ისევ აჯობა პორტუგალიელს და 2-ქულიანი სხვაობით დაწინაურდა.

ლიონელ მესიმ „მალაგასთან“ 90 წუთი ითამაშა: კარისკენ 8-ჯერ დაარტყა, აქედან 6-ჯერ ზუსტად და სამჯერ შედეგიანად. ერთხელ მის წინააღმდეგ იუხეშეს.

კრიშტიანო რონალდომ „ბილბაოსთან“ 90 წუთი ითამაშა: კარისკენ 6-ჯერ დაარტყა, აქედან ზუსტი მხოლოდ 2 იყო, მან გოლიც ორი გაიტანა, ოღონდ, ორივე პენალტის ნიშნულიდან. ორჯერ დაჯარიმდა (ყვითელი ბარათიც მიიღო), ერთხელ მის წინააღმდეგ დაჯარიმდნენ, ერთხელაც თამაშგარე მდგომარეობაში მოხვდა.

### ტურის სიმბოლური ნაკრები

GOAL.COM 3-4-3

მიგელ **მოია** (ხეტაფე, 2) - ადილ **რამი** (ვალენსია, 5), ივან **რამისი** (მალიორკა, 2), მიგელ **ფლანიო** (ოსასუნა, 1) - ანდრეს **ინიესტა** (ბარსელონა, 4), ჟოან **ვერდიუ** (ესპანიოლი, 2), მესუთ **იოზილი** (რეალი, 3), **მარსელო** (რეალი, 3) - ლიონელ **მესი** (ბარსელონა, 7), რადამელ **ფალკაო** (ატლეტიკო, 4), **ადრიან ლოპესი** (ატლეტიკო, 1).

სიმბოლურში „ახლები“ „ოსასუნას“ მცველი მიგელ ფლანიო და „ატლეტიკოს“ ფორვარდი ადრიან ლოპესი არიან. მესი უკვე მეშვიდედაა სიმბოლურში, კრიშტიანო რონალდო, დუბლის მიუხედავად, რჩეულებში ვერ მოხვდა. „რეალს“ და „ბარსას“ სიმბოლურში 2-2 წარმომადგენელი ჰყავთ.

### ტურის გმირი

**რადამელ ფალკაო (ატლეტიკო)**

კოლუმბიელმა ფორვარდმა „ანოეტაზე“ სამი გოლი გაიტანა, ეს კი გმირობაზე მეტია. შეგახსენებთ, რომ 25 წლის ფალკაო პრიმერა დივიზიონის ყველაზე ძვირი შენაძენია, მასში „ატლეტიკომ“ „პორტუს“ 40 მილიონი ევრო გადაუხადა. ფორვარდმა კლუბის გულშემატკივრებს **სერხიო აგუეროს** წასვლა არ აგრძნობინა - 16 მატჩში 14 გოლი გაიტანა.

### ტურის ფრაზები

**ჟოზე მოურინიო**: „*ამ სტადიონზე ზიდანისთვის უსტვენიათ, რონალდოსთვის უსტვენიათ, კრიშტიანო რონალდოსთვის უსტვენიათ და მე რატომ უნდა ვყოფილიყავი გამონაკლისი? მათ ამ სტვენას დიდებული თამაშით უპასუხეს, მეც შესაბამისად მოვიქცევი*“, - მას მერე, რაც „ბილბაოსთან“ მატჩის ბოლო წუთებზე გულშემატკივრებმა უსტვინეს.

**ხოსეპ გვარდიოლა**: „*ხაზი მოგებასა და წაგებას შორის ძალიან თხელია. ამაში დღევანდელი მატჩის შემდეგ კიდევ ერთხელ დავრწმუნდი*“, - „მალაგას“ 4:1 განადგურების შემდეგ.

**ხოსე მოლინა**: „*მოგებას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა, განსაკუთრებით მორალური თვალსაზრისით*“, - „ვილიარეალის“ ახალი თავკაცი „სპორტინგოსასთან“ 0:0-ის შემდეგ.

**ლიონელ მესი**: „*გამარჯვება უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ჩემი გოლები*“, - მალაგაში ჰეთ თრიკის შესრულების შემდეგ.

**ხოსე ლუის მენდილიბარი**: „*19 ტური გავიდა და არბიტრები ერთხელაც არ შემცდარან ჩვენს სასარგებლოდ*“, - „ოსასუნას“ თავკაცი „ვალენსიასთან“ ფრის შემდეგ.

**პეპე მელი**: „*სევილია*“ *მოედანს ბედნიერი ტოვებდა*“, - „ბეტისის“ მწვრთნელი სევილიური დერბის შემდეგ.

**მარსელინო**: „*ჩვენ არ ვართ ბედნიერები ამ ფრით*“, - სტუმართა მწვრთნელის პასუხი პეპე მელს.



ლიონელ მესი საუკეთესო ფორმაშია

**ხუან იგნასიო**: „*მართალია, აუტსაიდერს ვერ მოვუგეთ, მაგრამ, ვიმეორებ, თითოეულ შემატებულ ქულას მივესალმები*“, - „ლევანტეს“ თავკაცი შინ „სარაგოსასთან“ 3:0 მოგების შემდეგ.

**მარსელო ბიელსა**: „*შედეგი სამართლიანია, მაგრამ ის მახარებს, რომ 11X11-ზე „რეალთან“ თანაბრად თამაში შეგვიძლია*“, - „სანტიაგო ბერნაბეუზე“ 1:4 მარცხის შემდეგ.

**დიეგო სიმეონე**: „*გამარჯვება მუხლჩაუხრელი შრომის კარგი დაფასებაა*“, - „ატლეტიკოს“ არგენტინელი თავკაცი „ანოეტაზე“ 4:0 გამარჯვების შემდეგ.

**ლუის გარსია**: „*მე ვხედავ ჩემი გუნდის კარგ დინამიკას*“, - „ხეტაფეს“ თავკაცი სანტანდერში გამარჯვების შემდეგ.

### ტურის მსხვერპლი

ამ ტურმა კიდევ ერთი მწვრთნელის თანამდებობა შეიწირა - „გრანადამ“, რომელიც 19 ქულით (19 ტურიდან) მე-18 ადგილზეა. „ესპანიოლთან“ 0:3 მარცხის შემდეგ **ფაბრი გონსალესს** კარზე მიუთითა და მის ნაცვლად **აბელ რესინო** მიიწვია.

ეს უკვე მე-7 ცვლილებაა წლევანდელ პრიმერაში. 2-ჯერ მწვრთნელი „მალიორკას“ შეეცვალა (თუმცა **მიგელ ანხელ ნადალი** დროებითი თავკაცი იყო). 2012 წელს ეს პირველი სამწვრთნელო ცვლილებაა, წინა 31 დეკემბერს განხორციელდა, როცა „სარაგოსას“ თავკაც ხავიერ აგირეს ასე „მიულოცეს“ ახალი წლის დადგომა.

### ტურის სტატისტიკა

28 გოლი ტურში (2,8 მატჩში). 3 თამაში მოიგეს მასპინძლებმა, 3 ფრედ დასრულდა და 4 სტუმრებმა მოიგეს. ტურში მსაჯებმა 44 ყვითელი და 3 წითელი ბარათი დაარიგეს.

ჰეთ თრიკი - **რადამელ ფალკაო** (ატლეტიკო), **ლიონელ მესი** (ბარსელონა).

დუბლი - **კრიშტიანო რონალდო** (რეალი)

ტურის ყველაზე ახალგაზრდა ფეხბურთელი: **ხაირო სამპერიო** (რასინგი, 18 წლის)

ყველაზე მეტი მაყურებელი: 75 000 - „სანტიაგო ბერნაბეუ“

ყველაზე ნაკლები მაყურებელი: 10 000 - „სიუტატ დე ვალენსია“

ყველაზე მეტი დარტყმა კარისკენ: 23 - რეალი

ყველაზე მეტი დარტყმა კარში: 12 - ბარსელონა

ყველაზე მეტი ჯარიმა: 24 - ატლეტიკო

ყველაზე მეტი კუთხური: 10 - ესპანიოლი, სევილია

ყველაზე მეტი თამაშგარე: 4 - ვალენსია, რასინგი, გრანადა

ყველაზე მეტი ბურთის ფლობა: 70% - ბარსელონა

**ესპანიოლი-გრანადა 3:0**

**საუკეთესო:** ჟულიო სეზარი (გრანადა)

**რასინგი-ხეტაფე 1:2**

**საუკეთესო:** მიკუ (ხეტაფე)

**რეალ სოსიედადი-ატლეტიკო 0:4**

**საუკეთესო:** რადამელ ფალკაო (ატლეტიკო)

**ბეტისი-სევილია 1:1**

**საუკეთესო:** ეჩებერია ბენატი (ბეტისი)

**ოსასუნა-ვალენსია 1:1**

**საუკეთესო:** რობერტო სოლდადო (ვალენსია)

**რაიო ვალეკანო-მალიორკა 0:1**

**საუკეთესო:** ივან რამისი (მალიორკა)

**მალაგა-ბარსელონა 1:4**

**საუკეთესო:** ლიონელ მესი (ბარსელონა)

**ლევანტე-სარაგოსა 0:0**

**საუკეთესო:** აპონიო (სარაგოსა)

**რეალი-ბილბაო 4:1**

**საუკეთესო:** მესუთ იოზილი (რეალი)

**ვილიარეალი-სპორტინგი 3:0**

**საუკეთესო:** ბორხა ვალერო (ვილიარეალი)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რეალი | 19 | 16 | 1 | 2 | 67-18 | 49 |
| 2. ბარსელონა | 19 | 13 | 5 | 1 | 59-12 | 44 |
| 3. ვალენსია | 19 | 10 | 5 | 4 | 29-20 | 35 |
| 4. ლევანტე | 19 | 9 | 4 | 6 | 25-22 | 31 |
| 5. ესპანიოლი | 19 | 8 | 4 | 7 | 21-21 | 28 |
| 6. ოსასუნა | 19 | 6 | 9 | 4 | 22-31 | 27 |
| 7. ბილბაო | 19 | 6 | 8 | 5 | 27-23 | 26 |
| 8. ატლეტიკო | 19 | 7 | 5 | 7 | 30-27 | 26 |
| 9. სევილია | 19 | 6 | 8 | 5 | 20-20 | 26 |
| 10. მალაგა | 19 | 7 | 4 | 8 | 22-28 | 25 |
| 11. ხეტაფე | 19 | 6 | 6 | 7 | 20-25 | 24 |
| 12. ბეტისი | 19 | 7 | 2 | 10 | 22-27 | 23 |
| 13. ვალეკანო | 19 | 6 | 4 | 9 | 21-28 | 22 |
| 14. მალიორკა | 19 | 5 | 7 | 7 | 17-24 | 22 |
| 15. სოსიედადი | 19 | 5 | 6 | 8 | 17-27 | 21 |
| 16. რასინგი | 19 | 4 | 8 | 7 | 15-23 | 20 |
| 17. ვილიარეალი | 19 | 4 | 7 | 8 | 18-28 | 19 |
| 18. გრანადა | 19 | 5 | 4 | 10 | 12-26 | 19 |
| 19. სპორტინგი | 19 | 5 | 3 | 11 | 18-33 | 18 |
| 20. სარაგოსა | 19 | 2 | 6 | 11 | 14-33 | 12 |

**ბომბარდირები:** 23 - კრიშტიანო რონალდო (რეალი); 22 - ლიონელ მესი (ბარსელონა); 14 - გონსალო იგუაინი (რეალი), რადამელ ფალკაო (ატლეტიკო); 12 - რობერტო სოლდადო (ვალენსია); 10 - ქარიმ ბენზემა (რეალი); 9 - სესკ ფაბრეგასი (ბარსელონა); 8 - მიჩუ (რაიო ვალეკანო); 7 - დავიდ ბარალი (სპორტინგი), ფერნანდო ლორენტე (ბილბაო), ალექსის სანჩესი (ბარსელონა).

**ასისტენტები:** 13 - ანხელ დი მარია (რეალი); 9 - მესუთ იოზილი (რეალი); 8 - ლიონელ მესი (ბარსელონა); 7 - დანი ალვეში (ბარსელონა); 6 - კრიშტიანო რონალდო (რეალი), ჩავი (ბარსელონა); 5 - არდა თურანი (ატლეტიკო), ქარიმ ბენზემა (რეალი), სესკ ფაბრეგასი (ბარსელონა), რაულ გარსია (ოსასუნა).

**ზამორას ტროფეი:** 0,63 გოლი მატჩში - ვიქტორ ვალდესი (ბარსელონა); 0,95 - იკერ კასილიასი (რეალი); 1,05 - ხავი ვარასი (სევილია); 1,16 - გუსტავო მუნუა (ლევანტე); 1,21 - გორკა ირაიზოსი (ბილბაო), ტონიო მარტინესი (რასინგი).

### მომდევნო ტური

28 იანვარი: **ესპანიოლი-მალიორკა, რაიო ვალეკანო-ბილბაო, რეალი-სარაგოსა, ვილიარეალი-ბარსელონა.**

29 იანვარი: **ბეტისი-გრანადა, რეალ სოსიედადი-სპორტინგი, ლევანტე-ხეტაფე, რასინგი-ვალენსია, მალაგა-სევილია.**

30 იანვარი: **ოსასუნა-ატლეტიკო.**

კოპა დელ რეი. 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩები

# დიდი თანაფარდობა: ბარსელონა-რეალი 86:86

## და მაინც... ვინ არის მოურინიოს უხილავი მტერი?

| | |
|---|---|
| **გუშინ** | |
| **მირანდესი**-ესპანიოლი | 2:1 (2:3) |
| **დღეს** | |
| მალიორკა-ბილბაო | 23:00 (0:2) |
| ბარსელონა-რეალი | 01:00 (2:1) |
| **ხვალ** | |
| ლევანტე-ვალენსია | 00:30 (1:4) |

უცნაურია, მაშ რა არის - ხალხს მომავალ „ელ კლასიკოზე“ მეტად ის აინტერესებს, თუ რა ხდება „სამეფო თასიდან“ თითქმის გავარდნილ „რეალში“. „მარკას“ „შემოგდებული“ სკანდალი უკვალოდ ვერსად გაქრება. თანაც, ისიც კარგად მოგვეხსენება, რომ უკვამლოდ ცეცხლი არ არსებობს. შეგახსენებთ, რომ ლაპარაკია, **ჟოზე მოურინიოსა** და „რეალის“ ესპანური ბირთვის დაპირისპირებაზე.

სანამ ამ თემას დავუბრუნდებით (სხვანაირად არ გამოდის), კლასიკოების სტატისტიკა უნდა შეგახსენოთ - მადრიდული გამარჯვების შემდეგ ამ უდიდეს დაპირისპირებაში თანაფარდობაა: ოფიციალურ მატჩებში „რეალი“ და „ბარსელონა“ ერთმანეთს 217-ჯერ შეხვდნენ, გუნდებმა 86-86 მატჩი მოიგეს, 45 კი ფრედ დასრულდა. ბურთების თანაფარდობა კი მადრიდელთა სასარგებლოდაა: 363:352.

„ბარსელონას“, რომელმაც თასის პირველი დაპირისპირება 2:1 მოიგო, არ ეყოლება აფრიკის ერთა თასზე გამგზავრებული **სეიდუ კეიტა**. ტრავმირებულები არიან: **დავიდ ვილია, იბრაჰიმ აფელაი** და **ანდრეუ ფონტასი. პედრო** ახალი გამოჯანმრთელებულია.

ამბობენ, რომ ჟოზე მოურინიო **პეპეს** მადრიდში ტოვებს (მას ტრავმა აქვს) და სწორსაც აკეთებს, „კამპ ნოუზე“ მას საშინელი ობსტრუქცია ელის, მას მერე, რაც მადრიდში ლიონელ მესის ხელზე ფეხი დააბიჯა. **ლასანა დიარასა** და **ესტებან გრანეროს** არ უვარჯიშიათ, თუმცა ეს უკანასკნელი მწყობრში იქნება თამაშისთვის. **სერხიო რამოსსაც** არ უვარჯიშია „პირადი მიზეზით“, თუმცა ის კლასიკოზე ითამაშებს. **სამი ხედირას** თამაში გამორიცხულია, შეიძლება, **ანხელ დი მარიას** დაბრუნება ვიხილოთ მცირე ტრავმის შემდეგ.

სავარაუდო შემადგენლობები

**ბარსელონა:** *პინტო - დანი ალვეში, პიკე, პუიოლი, აბიდალი - ჩავი, ბუსკეტსი, ინიესტა - სანჩესი, მესი, ფაბრეგასი.*

**რეალი:** *კასილიასი - არბელოა, სერხიო რამოსი, რიკარდო კარვალიო, მარსელო - ჩაბი ალონსო, გრანერო - იგუაინი, იოზილი, რონალდო - ბენზემა.*

ჟოზე მოურინიო: „*კლანების პროვოცირება „რეალში“ მე არ მომიწყვია. წარმოდგენა არა მაქვს, ზოგჯერ ისეთ რამეებს წერენ პრესაში. კლუბის ბორდი მხარს მიჭერს და ჩვენ კარგი საქმის შუაგულში ვართ. პეპე თუ მზად იქნება, აუცილებლად ვათამაშებ. ვდარდობ გრანეროსა და ლასანას მდგომარეობაზე, ხვალ გამოჩნდება შეძლებენ ისინი თამაშს თუ ვერა. წარმოდგენა არ მაქვს სასტარტო შემადგენლობაზე, ხვალ მეცოდინება. ვფიქრობ, რომ ჩემს გუნდს ნახევარფინალში თამაშის შანსი აქვს, ამიტომ ბოლომდე ვიბრძოლებთ*“.



ჟოზეს შეუტიეს, საკითხავია, ვინ უტევს

სკანდალს რაც შეეხება, კვირას „პუნტო პელოტამ“ გამოაცხადა, რომ ჟოზე მოურინიო ივნისში წავა, ხოლო **იკერ კასილიასს** „მარკას“ ცნობილი სტატია „დაულაიქებია“. ასე რომ, პორტუგალიელზე შეტევა უფრო მასშტაბურია, ვიდრე ერთი „მარკა“.

სერხიო რამოსმა კიდევ ერთხელ მოუწოდა პუბლიკას, მორჩეს სპეკულაციები მოურინიოსთან დაპირისპირებაზე. მან თქვა, რომ ის და „ბოსი“ ერთი საქმისთვის, ერთი ინტერესისთვის იბრძვიან. „*კარიერის განმავლობაში ერთხელაც არ მომსვლია კამათი ჩემს რომელიმე მწვრთნელთან. ყველა სიტყვა, რაც მე ამ „კამათის“ დროს ვთქვი, ისეთია, რომელსაც ცხოვრებაში არ ვიტყოდი*“, - დაწერა რამოსმა „ტვიტერზე“. **ალვარო არბელოა** კი უფრო შორს წავიდა - მან განაცხადა, რომ მოკვდება მოურინიოს გულისთვის...

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**

## ქართული სპორტი

ძიუდო. თბილისის ტურნირი

# ცვლილებები საქართველოს ნაკრებში



28-29 იანვარს გასამართ თბილისის მსოფლიოს თასზე მოასპარეზე საქართველოს ნაკრების რიგებში ცვლილებაა. 60 კილოგრამში **ამირან პაპინაშვილის** გამოუსვლელობის გამო ერთი ვაკანტური ადგილი რომ იყო, უკვე ვნერდით, ახლა კი გაირკვა, რომ ამ წონაში ჩვენი მეოთხე მონაწილე **ვაჟა მარგველაშვილი** იქნება - მან საკონტროლო შეხვედრაში ახალგაზრდებში მსოფლიოს მესამე პრიზიორი **გიორგი მესაბლიშვილი** დაამარცხა. მწვრთნელთა გადაწყვეტილებით, ცვლილებაა 81 კილოგრამშიც - **პაატა ლვინიაშვილს** მისივე მოგვარე **ბექა ლვინიაშვილი** შეცვლის. ჭაბუკებში ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონის, ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის გამარჯვებულისა და ახალგაზრდებში მსოფლიოს ბრინჯაოს მედალოსან ბექა ლვინიაშვილის ჭიდაობაზე აზრები იმთავითვე გაიყო - მწვრთნელთა ნაწილი ემხრობოდა მის გამოსვლას ამ შეჯიბრებაზე, ნაწილი კი მიიჩნევდა, რომ 16 წლის ბიჭისთვის ეს ჯერ ნაადრევია. საბოლოოდ ჭიდაობის მომხრეთა პოზიციამ გაიმარჯვა და „ტაისონა“ 29 იანვარს თბილისის სპორტის სასახლეში იასპარეზებს, პაატა ლვინიაშვილი კი 11-12 თებერვალს ავსტრიულ ობერვარტში გაემგზავრება მსოფლიოს თასზე მონაწილეობის მისაღებად.

აქვე შეგახსენებთ, რომ მარგველაშვილისა და ბექა ლვინიაშვილის გარდა, თბილისში ევროპის ვიცე-ჩემპიონი **ბეთქილ შუკვანი, პაატა მერებაშვილი, იოსებ ნიჟარაძე** (სამივე - 60 კგ), **შალვა ქარდავა, ლაშა შავდათუაშვილი, დავით ასუმბანი, სანდრო იაკობაშვილი** (ყველა - 66), **ამბაკო ავალიანი, ნუგზარ ტატალაშვილი, თენგიზ პაპოშვილი, ზებედა რეხვიაშვილი** (73), **ავთანდილ ჭრიკიშვილი, ლევან ნიკლაური, დავით კარბელაშვილი** (სამივე - 81), დამოუკიდებელი საქართველოს პირველი ოლიმპიური ჩემპიონი **ზვიად ზვიადაური, ლაშა გურული, გიორგი ნოზაძე, ბეთქილ ნავერიანი** (ოთხივე - 90), **ირაკლი ქობლიანიძე, ონისე ბულაძე, ბექა ბერძენიშვილი, ალექსანდრე მსხალაძე** (100), **ზვიად ხანჯალიაშვილი, ლაშა გუჯეჯიანი, ადამ ოქრუაშვილი** და **ლევან მატიაშვილი** (+100) იჭიდავებენ.

ცვლილებაა მონაწილე გუნდების სიაშიც, რომელსაც ირანი გამოაკლდა, მაგრამ საერთო ჩათვლაში მაინც მატებაა, რადგან დაგვემატნენ კვიპროსი, აზერბაიჯანი, ისრაელი და პუერტო რიკო. ამათგან განსაკუთრებით სასიამოვნო აზერბაიჯანის და ისრაელის შემომატებაა, რადგან მათ ძლიერი გუნდებიც ჰყავთ. ამდენად, უცხოელთა რაოდენობა უკვე 40 გუნდი გახდა, რომლებსაც ჩვენი ნაკრებიც ემატება, თუმცა დასანანია, რომ არ გვეწვევიან ისეთი ძლიერი გუნდები, როგორებიცაა იაპონია, კორეა, ბრაზილია და კუბა.

თავად ტურნირს წინ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება უძღვის - მსაჯთა და მწვრთნელთა სემინარი, რომელსაც **ვასილ სმოლინი** უხელმძღვანელებს. იგი ორ დღეს - 26-27 იანვარს გაგრძელდება. პირველი ნაწილი თეორიულ მეცადინეობას დაეთმობა და სეოკ-ის ახალ ოფისში ჩატარდება. 27 იანვარი პრაქტიკული ვარჯიშის დღეა, რომელსაც ძიუდოს აკადემია უმასპინძლებს. მისასალმებელია, რომ ტურნირს მაღალი დონის უცხოელ მსაჯთა გუნდი მოემსახურება. საზღვარგარეთიდან 17 არბიტრი ჩამოდის, რომელთაგანაც 15-ს უკვე მოპოვებული აქვს ლონდონის ოლიმპიადაზე მსაჯობის უფლება. თუმცა უჩინო და ხელწამოსაკრავი არც ის ორი გეგონოთ - მათ ამჯერად ვერ მოიპოვეს ოლიმპიური თამაშების განსჯის უფლება, თორემ წინა თამაშებში რამდენჯერმე უმსაჯიათ. ცხადია, მსაჯთა ეს კორპუსი მონაწილეობას მიიღებს სემინარშიც, რომელსაც ქართული მხარის 60-მდე წარმომადგენელი დაესწრება.

ტურნირის პირველ დღეს 60, 66 და 73 კილოგრამების წარმომადგენლები იჭიდავებენ, დანარჩენები - მეორე დღეს. შეხვედრები ორივე შემთხვევაში დილის 11 საათზე დაიწყება, ფინალები - 17-ზე, თუმცა 28-ში მას წინ გახსნის საზეიმო ცერემონიალი უსწრებს. ორივე დღის წინასწარ შეხვედრებს პირდაპირ ეთერში ტელეკომპანია „აფხაზეთის ხმა“ შემოგთავაზებთ, ფინალური ეტაპის რეპორტაჟები კი საზოგადოებრივ მაუწყებელზე წარიმართება.

**ირაკლი თავაძე**

სპორტული რადიო
ჯა - კო
Ja - Ko
FM 96.3

ლელოზე ხელმომწერთა საყურადღებოდ!

ხელმოწერის გამარტივებული პროცესი, დროული და გარანტირებული მიწოდება.

დარეკეთ: 238 26 73; 238 26 74. კვირის გარდა.

ჭიდაობა. მეტოქე


ირინა მელნიკ-მერლენი

# კრასნოიარსკში ყველა ბრუნდება

27-29 იანვარს კრასნოიარსკი ივან იარიგინის სახელობის „ოქროს დიდ პრიზს“ უმასპინძლებს ქალთა და თავისუფალი სტილით ჭიდაობაში. ამ ზეპრესტიჟულ ტურნირზე რამდენიმე სახელოვანი ფალავანის დაბრუნება იგეგმება. მაგალითად, ბრუნდებიან რუსთა ნაკრების წევრები, ჩეჩენი ძმები, სამგზის ოლიმპიური და 6-6-გზის მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი **ბუვაისა საიტიევი** (84) და ოლიმპიური, მსოფლიოს ორგზის და ევროპის სამგზის გამარჯვებული **ადამ საიტიევი** (74), დაღესტნელი ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი **მავლეტ ბატიროვი** (66), თუმცა არანაკლებ მნიშვნელოვანი ამბავი ხდება ქალთა ჭიდაობაში - რამდენიმეწლიანი განშორების შემდეგ ბრუნდება მსოფლიოში პირველი ოლიმპიური ჩემპიონი ქალი, უკრაინელი **ირინა მელნიკ-მერლენი** (48). ქალთა ჭიდაობა ოლიმპიადის პროგრამაში 2004 წელს შეიტანეს ათენში, ოღონდ მხოლოდ რამდენიმე წონა, მერლენი კი პირველი ჩემპიონი გახდა, როგორც უმსუბუქესი წონის წარმომადგენელი - ფინალში იაპონელი **ჩიჰარუ იჩო** დაამარცხა, რომელმაც ოთხი წლის შემდეგ პეკინში რევანში აულო და ორგზის ოლიმპიური ჩემპიონობის შანსი მოუსპო. ოღონდ ამით ვერც თავად იაპონელმა ისარგებლა - ფინალი კვლავ წააგო, ამჯერად კანადელ **კაროლ ჰუინჩთან**.

ათენში უკრაინელი სახელოვანი სპორტსმენის რანგში ჩავიდა - სამგზის მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონი იყო, მომდევნო წლებში კი ამ ტიტულებს ერთხელ ევროპის ჩემპიონობა, ორჯერ მსოფლიოს ვერცხლი და ერთიც ოლიმპიური ბრინჯაო შემატა. იქნებ მეტიც მოეხერხებინა, რომ არა პირველი შვილის დაბადება - მთელი ორი წელიწადი მერლენმა დიასახლისის ცხოვრებით იცხოვრა. სპორტს ის 2007 წელს დაუბრუნდა, პეკინის შემდეგ კი ისევ დაშორდა, ოღონდ ამჯერად სულ სხვა მიზეზით - ქერათმიანმა ლამაზმანმა უკრაინის შოუბიზნესის დაპყრობა სცადა და მიზანსაც მიაღწია. მან ცეცხლოვანი სალსას შესრულებით მოიგო ერთ-ერთი პრესტიჟული კონკურსი „ცეკვავენ ვარსკვლავები“, მოგვიანებით კი სხვა არანაკლებ პოპულარულ შოუებშიც წარმატებით გამოვიდა. თუმცა ჭიდაობა არც პოდიუმზე ყოფნისას ეთმობოდა და გული იქით მიუწევდა, მაგრამ დაბრუნების გეგმა ამჯერად მეორე შვილის დაბადებამ ჩაუშალა. თუმცა საბოლოოდ ეს დროც დადგა და მერლენი მაინც ბრუნდება. პეკინის შემდეგ მას არ უჭიდავია და ვნახოთ, რამდენად ეფექტურად შეძლებს დაბრუნებას.

პეკინის შემდეგ არც ჩეჩენ ძმებს უჭიდავიათ, რომელთა ირგვლივაც საინტერესო ვითარებაა. კარიერის ბოლო წლებში ბუვაისა 74-ში ჭიდაობდა, ადამი - 84-ში, თუმცა ახლა ისინი წონებს გაცვლიან. ეს უფრო გასაკვირი ადამის შემთხვევაშია, რომელსაც ბევრის დაკლება უწევს, თორემ უფროსმა ძმამ დაბრუნების სურვილი როგორც კი ოფიციალურად გააჟღერა, იქვე მიუთითა, რომ 84-ში იჭიდავებდა. ეჭვი არაა, ის უნიკალურ შედეგს უმიზნებს - გახდეს მსოფლიოში პირველი მოჭიდავე, ვინც მეოთხედ მოიგებს ოლიმპიადას, ამ დიადი მიზნის შესრულებაში კი ძმა ხელს არ შეუშლიდა. თუმცა ადრეც ადამის ინტერესები ყოველთვის ეწირებოდა უფროსი ძმისას, თუმცა ამაში გასაკვირიც არაფერია - ბუვაისა ხომ შეუდარებლად ნიჭიერია.

სპეციალისტებმა ადამ ბატიროვისა და მსოფლიოს ორგზის აფხაზი ჩემპიონის **დენის ცარგუშის** მოსალოდნელ შეხვედრას იარიგინის ტურნირზე უკვე უწოდეს „ყველაზე პრინციპული,“ თუმცა კაცმა არ იცის, შედგება თუ არა ეს ორთაბრძოლა.

ერთ წონაში მოუწევთ გამოსვლა ავარელ ძმებსაც მავლეტ და **ადამ ბატიროვებს**. მავლეტ ბატიროვი ოლიმპიური ჩემპიონი პირველად 55 კილოგრამში გახდა ათენში, პეკინში უკვე 60-ში გაიმარჯვა, ახლა კი ახალ ტიტულს ახალ წონაში უმიზნებს. ოღონდ ამჯერად მას გზაზე საკუთარი ძმა ელობება. ადრე ისიც ქვედა წონებში გამოდიოდა, მაგრამ ასაკთან ერთად წონაც მოემატა და საბოლოოდ მანაც 66-ში ჩაუშვა ღუზა. აქამდე ადამ ბატიროვი დიდი მონაცემებით არ გამოირჩეოდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც სპეციალურად მისთვის კრასნოიარსკიდან მშობლიურ ჰასავიურტში დააბრუნეს ფიზმომზადების ცნობილი სპეციალისტი, ბუვაისა საიტიევის მწვრთნელი **სალიმ ნუცალხანოვი**, მის სახელსაც დიდ იმედებს უკავშირებენ. შეგახსენებთ, რომ ნუცალხანოვიც ჰასავიურტელია, თუმცა პეკინის ოლიმპიადის წინ ბუვაისას მოსამზადებლად კრასნოიარსკში წაიყვანეს და მას მერე იქ დარჩა. ძმები ერთმანეთს შარშან რუსეთის პირველობის ფინალშიც უნდა შეხვედროდნენ, მაგრამ მავლეტმა უბრძოლველად დაუთმო გამარჯვება.

ერთი სიტყვით, კრასნოიარსკში ქალიან-კაციანად ყველა ბრუნდება, ვინც კი სპორტიდან წასული იყო. არ ჩანს მხოლოდ დაღესტნელი ოლიმპიური ჩემპიონი **შირვანი მურადოვი** (96) - ის რუსთა ნაკრების თავკაც **ჯამბულათ თედეევის** დასახელებულ შემადგენლობაში არაა. ეტყობა, საბოლოოდ წავიდა სპორტიდან.

**ირაკლი თავაძე**

ჭადრაკი

# ქართველებმა მძიმედ დაიწყეს

გუშინ გიბრალტარში დაიწყო მოჭადრაკეთა მეათე - საიუბილეო საჭადრაკო ფესტივალი (საპრიზო ფონდი 150.000 ევრო), რომლის მთავარ ტურნირში 58 ქვეყნის 256 წარმომადგენელი ჩაება, მათ შორის – 59 დიდოსტატი, თერთმეტი კი 2700-თა კლუბის წევრი. საქართველოს სპორტულ ღირსებას იცავენ ქალთა ეროვნული ნაკრების წევრები – გიბრალტარში მანდილოსანთა შარშანდელი შეჯიბრების გამარჯვებული **ნანა ძაგნიძე,** მეორეადგილოსანი **სალომე მელია,** ასევე, **ლელა ჯავახიშვილი** და **ნინო ხურციძე.**

პირველ ტურში ჩვენებურთაგან ყველაზე ძლიერი მეტოქე მელიას (2398) ხვდა – იგი შავი ფიგურებით ინგლისელ ნაიჯელ შორტს (2677) დაუპირისპირდა. სამწუხაროდ, სალომემ ბრიტანელს სათანადო წინააღმდეგობა ვერ გაუწია და გათამაშების ცხრილში პირველი ნული ჩაიწერა. ფესტივალის ორგზის გამარჯვებული ნანა ძაგნიძე (2535) თეთრი ფიგურებით ინდოელ სვამინათან სოუმიას (2280) ეთამაშებოდა. მართალია, აზიელი ქალებში დიდოსტატია, მაგრამ ქართველ მეტოქეს რეიტინგში, როგორც ვხედავთ, 255 პუნქტით ჩამორჩება, ამიტომ ძაგნიძე ვალდებულიც იყო, ეს პარტია მოეგო, ის კი ყაიმს დასჯერდა ისევე, როგორც ტიტულოვანი რუსი დიდოსტატი ნადეჟდა კოსინცევა (2537) უსახელო ჰენდრიკ ნაბატისთან (2281), ხოლო ნინო ხურციძე (2444) - ოლგა დოლგოვასთან (2200) პაექრობისას. ქართველთაგან გუშინ მხოლოდ ლელა ჯავახიშვილმა (2454) იყოჩაღა – შავი ფიგურებით ივეს დუჰაიონი (2210) დაამარცხა. ტურნირის ფავორიტთა პარტიები კი ასე დამთავრდა: პიოტრ სვიდლერი (2749)-იოვანკა ჰოუსკა (2414) 1:0, რობერტო მოლინა (2415)-შაჰრიარ მამედიაროვი (2747) 0:1, მაიკლ ადამსი (2724)-ნატალია ჟუკოვა (2426) 1:0, რობერტ ამოლა (2431)-ზოლტან ალმაში (2717) 0:1, ლე ქუანგ ლემი (2714)-ისმაილ ქარიმი (2405) 1:0, ალექს ლოპესი (2414)-იუდით პოლგარი (2710) 0:1, ალექსეი შიროვი (2710)-პატრიკ ლირბერგი (2435) 0,5:0,5, მანუელ ბელონი (2422)-ვიქტორ ლაზნიჩკა (2704) 0:1, ემილ სუტოვსკი (2703)-გრეგ ჰენლი (2421) 0:1, კრიშნან სასიკირანი (2700)-გარი ქუილანი (2409) 1:0, ჰოუ იფანი (2605)-ემანუელ შიენდორფერი (2354) 1:0, ჰამფი კონერუ (2589)-იოჰან ჰენრიკსონი (2308) 1:0, პია კრამლინგი (2491)-ანდრეუ დანი (2233) 1:0...

დღეს მე-2 ტურში ჯავახიშვილი დავიდ ჰოველს შეხვდება, ძაგნიძე – ტერი ჩაბმას, ხურციძე – ჰენდრიკ ნაბატის, ხოლო სალომე მელია კარლოს ვინასის დამარცხებას შეეცდება.

**ვაჟა დანელია**



სპორტული ფედერაციების, ორგანიზაციების, კლუბების, რეგიონების ქალაქების და რაიონების საყურადღებოდ!

„ლელო“ ქართული სპორტის მემატიანეა, მაგრამ თქვენ ამიერიდან შესაძლებლობა გეძლევათ, სპეციალური გვერდების მომზადებით, მომავალს უფრო ვრცლად შემოუნახოთ თქვენი საქმიანობის დღევანდელობა და წინსვლა, ქართული სპორტის განვითარებაში შეტანილი წვლილი.

დაწვრილებითი ცნობებისთვის დაგვიკავშირდით ჩვენი გაზეთის მე-2 გვერდზე საცნობარო ბლოკში მითითებული კავშირის ნებისმიერი საშუალებით.

ნიჩბოსნობა

# უკრაინელი რძალი საქართველოს ნაკრებში

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველკურსელმა **ზაზა ნადირაძემ** შარშან კანოისტთა მსოფლიოს ჩემპიონატზე წარმატებით იასპარეზა - ნახევარფინალში გავიდა და ფინალში მოსახვედრად იქ წამის მეასედი დააკლდა. რადგანაც სამი ათეული წლის შემდეგ ქართველი ნიჩბოსნის ოლიმპიურ თამაშებზე მოხვედრის შანსი გაჩნდა, ნიჩბოსნობისა და კანოეს ეროვნულმა ფედერაციამ (პრეზიდენტი **ბეჟან ხურციძე**, გენერალური მდივანი **ვიტალი გრძელიშვილი**) ყველაფერი იღონა, ნადირაძე დეკემბერში უკრაინის დედაქალაქში გაეგზავნა, რათა მსოფლიოს უძლიერეს სპორტსმენებთან წვრთნის საშუალება ჰქონოდა. ქართველი ათლეტი კიევში უკრაინის ნაკრების მწვრთნელის - ალექსანდრ ბაკანიჩევის ხელმძღვანელობით ემზადებოდა. სწორედ მასპინძლისაგან შეიტყო, რომ მისი ერთ-ერთი შეგირდი, უკრაინის ნაკრების წევრი **ვლადა კოსიცკა** ნოემბერში ქართველთა რძალი გამხდარა. 21 წლის კოსიცკამ , ბაიდარაში მრავალი საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებულმა და პრიზიორმა, ორადგილიანი ბაიდარათი უკრაინის ჩემპიონმა, შარშან მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში მე-8 ადგილი დაიკავა, თუმცა ლონდონის საგზური ვერ მოიპოვა, რადგან გადამწყვეტ ეტაპზე სახელოვანმა თანაგუნდელმა ოსიპენკო-რადომსკამ აჯობა და ოლიმპიური ლიცენზიაც მას ერგო.


ვლადა კოსიცკა

და აი, ჩვენებურზე დაქორწინების შემდეგ ვლადასაც მიეცა იმედი და საქართველოს ოლიმპიურ დელეგაციასაც გაუჩნდა შანსი, ლონდონში წამსვლელთა რიგები კიდევ ერთი წევრით გაიზარდოს, ოღონდ, ეს მაშინ მოხდება, თუ კოსიცკა 16-17 მაისს პოზნანის სალიცენზიო ტურნირშიც წარმატებით იასპარეზებს. იმ შეჯიბრებაზე ზაზა ნადირაძეც მოსინჯავს ძალებს. შეგახსენებთ, რომ მცხეთელი კანოისტი საქართველოს პირველობების მრავალგზის გამარჯვებული და პრიზიორია. შარშან საშემოდგომო ეროვნულ ჩემპიონატში, რომელიც მცხეთასთან მტკვარზე გაიმართა, ზაზამ ერთადგილიანი კანოეთი 200 და 500 მეტრზე პირველი ადგილები დაიკავა, შემდეგ მინგეჩაურის საერთაშორისო რეგატაში, სადაც მასპინძლებთან ერთად უკრაინელი, რუსი და თურქი სპორტსმენები გამოდიოდნენ, ჩვენებური სამჯერ ავიდა კვარცხლბეკზე - ერთხელ პირველი, ორჯერ კი მესამე ადგილები ერგო...

ამჟამად ვლადა და ზაზა ბაკანიჩევთან ერთად წახკაძორში (სომხეთი) იმყოფებიან ორკვირიან საწვრთნელ შეკრებაზე. საერთო-ფიზიკური მომზადების შემდეგ ისინი კიევში გაემგზავრებიან და სამი თვის განმავლობაში იქ ივარჯიშებენ. საშეჯიბრო გამოცდილების მისაღებად ტურნირებშიც გამოვლენ, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ოლიმპიური ჩემპიონის - იულია რიაბჩინსკაიას მემორიალური რეგატა იქნება, რომელსაც აპრილში დნეპროპეტროვსკი უმასპინძლებს. მსოფლიოს უძლიერესი ნიჩბოსნები მოიყრიან იქ თავს.

- მათთან პაექრობა და ძალთა გამოცდა საქართველოს ნაკრების წევრებისთვის სტიმულიც იქნება და ოსტატობის ზრდის საშუალებაც, - გვითხრა ვიტალი გრძელიშვილმა, - ორივე სპორტსმენი შრომისმოყვარეა, გათავისებული აქვთ პასუხისმგებლობა და მოვალეობაც, ამიტომ მომავალი ბატალიებისთვის მონდომებით ემზადებიან. გვჯერა, რომ ჩვენი სპორტსმენების გარჯა უკვალოდ არ ჩაივლის - ლონდონის ოლიმპიადის საგზურის მოპოვება რეალური ჩანს.

**ვაჟა დანელია**
ავტორის ფოტო


ზაზა ნადირაძე

ფიგურული ციგურაობა. ევროპის ჩემპიონატის წინ



# შეხვედრის ადგილი შეფილდი

გუშინ დიდი ბრიტანეთის ქალაქ შეფილდში დაიწყო ევროპის ჩემპიონატი ფიგურულ ციგურაობაში, ტურნირი 29 იანვრამდე გასტანს. ბუნებრივია, ჩვენი ერთადერთი იმედი 22 წლის **ელენე გედევანიშვილია**. ეს ქართველისთვის მეშვიდე ევროპის ჩემპიონატია. გაგაცნობთ მის ნაჩვენებ შედეგებს: 2006 –V ადგილი; 2007 -VIII; 2008 -VII; 2009 - XXV; 2010 - III; 2011 - VIII. ვნახოთ, შეძლებს თუ არა ელენე ორი წლის წინანდელი ისტორიული მიღწევის გამეორებას.

გუშინ შეფილდში ქალთა შორის საკვალიფიკაციო ტურნირი დაიწყო, 23 მონაწილე 10 საგზურისთვის იბრძოდა. ბუნებრივია, ელენეს ძირითად ტურნირში ადგილი გარანტირებული აქვს. ევროპის ჩემპიონატის ფავორიტია კონტინენტის სამგზის ჩემპიონი, იტალიელი **კაროლინა კოსტნერი**, რომელმაც შარშან წინ მხოლოდ შვეიცარიელი **სარა მაიერი** გაუშვა. სარა მაიერმა სპორტს თავი დაანება. შარშან ბრინჯაოს მედალი ფინელმა **კიირა კორპიმ** მოიგო, შეფილდში მას ვიხილავთ. ფავორიტთა შორის არიან რუსები, **ქსენია მაკაროვა** და **ალიონა ლეონოვა**. ალბათ, არც მასპინძელი **ჯენა მაკორკელი** უნდა დაგვავიწყდეს და შვედი **ვიქტორია ჰელგესონი**.

ქალთა მოკლე პროგრამა 28 მონაწილით 27 იანვარს გაიმართება, თავისუფალი - მეორე დღეს. სამწუხაროდ, ვაჟთა შორის, აგრეთვე წყვილებში ქართველებს წარმომადგენლები არ გვყავს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

კალათბურთი. ქართველი NBA-ში

# ზაზამ მილუოკიდან ორი რეკორდი წამოიღო

„ატლანტა ჰოქსმა“ მორიგი მატჩი მოიგო - „მილუოკი“ დაძაბულ ბრძოლაში სტუმრად დაამარცხა.

**ზაზა ფაჩულიამ** სეზონში სარეკორდო 38 წუთი ითამაშა და 14 მოხსნა მოაგროვა (რაც ასევე საამსეზონო რეკორდია).

მომდევნო თამაშს „ატლანტა“ სან ანტონიოში ითამაშებს. სწორედ ამ ქალაქში შევეხმიანეთ ფაჩულიას... დანარჩენს მე-12 გვერდზე ინტერვიუში წაიკითხავთ.

**მილუოკი–ატლანტა 92:97**

**ზაზა ფაჩულია:** 38 წუთი, 9 ქულა (9-დან 4 ორქულიანი, 1-დან 1 საჯარიმო), 14 მოხსნა, 1 პასი, 1 ჩაჭრა, 5 ფოლი.

| | | |
|---|---|---|
| **I პერიოდი** | | |
| 11:37 | მოხსნა: შეტ-0, დაც-1 | 0-0 |
| 8:57 | მოხსნა: შეტ-0, დაც-2 | 4-5 |
| 4:56 | ი. ჯონსონმა ზაზა შეცვალა | 13-9 |
| **II პერიოდი** | | |
| 9:22 | მოხსნა: შეტ-0, დაც-3 | 33-26 |
| 9:04 | პასი: 1 (პარგო 2ძ) | 35-26 |
| 8:30 | ორქულიანი: არაზუსტი | 35-28 |
| 7:16 | ორქულიანი: 2ძ | 37-32 |
| 5:20 | მოხსნა: შეტ-0, დაც-4 | 39-38 |
| 5:13 | ორქულიანი: არაზუსტი | 39-38 |
| 5:13 | მოხსნა: შეტ-1, დაც-4 | 39-38 |
| 4:20 | ფოლი: 1 | 39-38 |
| 2:20 | ჩაჭრა: 1 (ლივინგსტონს ჩაუჭრა) | 41-42 |
| 1:50 | ორქულიანი: 4ძ | 45-44 |
| 1:13 | ორქულიანი: 6ძ | 47-46 |
| 1:13 | მოხსნა: შეტ-2, დაც-4 | 47-46 |
| 0:44 | ორქულიანი: არაზუსტი | 47-46 |
| **III პერიოდი** | | |
| 10:23 | მოხსნა: შეტ-2, დაც-5 | 48-51 |
| 8:15 | მოხსნა: შეტ-2, დაც-6 | 54-53 |
| 6:52 | მოხსნა: შეტ-2, დაც-7 | 54-55 |
| 6:22 | მოხსნა: შეტ-2, დაც-8 | 56-55 |
| 5:13 | ორქულიანი: არაზუსტი | 56-59 |
| 4:56 | მოხსნა: შეტ-2, დაც-9 | 56-59 |
| 3:23 | ფოლი: 2 | 60-59 |
| 2:00 | ორქულიანი: არაზუსტი | 62-59 |
| 1:39 | ი. ჯონსონმა ზაზა შეცვალა | 62-59 |
| **IV პერიოდი** | | |
| 9:11 | ზაზამ ი. ჯონსონი შეავსო | 73-71 |
| 7:09 | ფოლი: 3 | 74-76 |
| 6:48 | ორქულიანი: 8ძ | 76-78 |
| 6:48 | საჯარიმო: 1/1 | 77-78 |
| 6:31 | მოხსნა: შეტ-2, დაც-10 | 77-78 |
| 6:01 | მოხსნა: შეტ-2, დაც-11 | 77-78 |
| 4:26 | მოხსნა: შეტ-2, დაც-12 | 77-80 |
| 3:30 | ფოლი: 4 | 79-82 |
| 1:29 | ფოლი: 5 | 86-84 |
| 0:16 | უილიამსმა ზაზა შეცვალა | 93-90 |

**ვაჟა სიმონიშვილი**

კალათბურთი. საქართველოს თასი. საკვალიფიკაციო ეტაპი

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო



# სამედიცინომ კვალიფიკაცია აიმაღლა

**24 იანვარი, თბილისი**

**აკადემიის დარბაზი**

**სამედიცინო–თსუ 87:72**

**20:18, 24:12, 24:15, 19:27**

**სამედიცინო:** ტომარაძე (18ქ), კვეტენაძე (2ქ), პირველაშვილი (4ქ, 8მ), აბაიშვილი (18ქ, 4პ, 3ჩ), შავანგირაძე (8ქ), ჭოჭუა (6ქ, 8მ, 4პ), ილიჩი (15ქ, 3პ), დვალიშვილი (14ქ, 11მ, 4პ, 3დ).

**თსუ:** კოხრეიძე (4პ), თავამაიშვილი (2ქ), ნინიაშვილი (19ქ, 12მ, 3პ), ჩიტაშვილი (4ქ, 3პ), ხიზანიშვილი (21ქ), შერმადინი (10ქ, 6მ), მაისურაძე (7ქ, 4პ), ჩქარეული (2ქ), ბაქრაძე (5ქ, 5მ, 7პ), ბერუაშვილი (2ქ, 6მ, 3პ, 5ჩ).

**მსაჯები:** მ. კუპატაძე, ზ. მაჩალაძე, ს. საინერსი

საქართველოს თასის მეოთხედფინალის ბოლო მონაწილეც გაირკვა - „სამედიცინო“, რომელიც დღეს „არმიას“ დაუპირისპირდება. „მედიკოსებმა“ საკვალიფიკაციო ეტაპის „ფინალში“ თსუ-ს სძლიეს.

წინასწარ ყველა თანაბარ თამაშს ელოდა, პირველი პერიოდი ასეც წარიმართა, მაგრამ მეორე ათწუთეულიდან „სამედიცინოს“ ყველაფერი გამოსდიოდა, თსუ-ს - არა. ეს ანგარიშზეც აისახა: დიდი შესვენების წინ **კახა შენგელიას** შეგირდებმა 11:0 გაქცევა მოაწყვეს და 44:30 დაწინაურდნენ. მეორე ტაიმში „მედიკოსებს“ კარგად დაეტყოთ თურქული შეკრების კვალი - ფიზიკური კონდიციები ნამდვილად არ დაეწუნებოდათ. მათ ვერც თსუ-ს მიერ თამაშის ტემპის მომატებამ და მოედნის მთელ ფართობზე პრესინგის დაწესებამ დააკლო რამე.

თამაშის დალაგება რომ ვერ შეძლეს, თსუ-ს კალათბურთელები ემოციებს აჰყვნენ, მესამე პერიოდის ბოლოს გამთამაშებელ **მიხეილ ჩიტაშვილს** მსაჯებმა დისკვალიფიკაცია მისცეს. მან შეტევაში მასზე ჯარიმის დაფიქსირება გააპროტესტა და ბურთი მსაჯის მიმართულებით ისროლა.

თსუ-ს ვერ დაეხმარა ახალწვეული **ბექა ჩიკვილაძე**, რომელმაც ჩემპიონატის პირველი წრე „სამედიცინოში“ გაატარა და კონტრაქტის მიხედვით თსუ-ს მაისურით „მედიკოსების“ წინააღმდეგ თამაშის უფლება არ ჰქონდა.

„სამედიცინომ“ გუნდური კალათბურთის კარგი მაგალითი გვიჩვენა, რაც თამაშის მსვლელობისასაც გამოჩნდა და სტატისტიკიდანაც. გუნდის ბომბარდირი 20 ქულით **კოკა ტომარაძე** გახდა, ხოლო ორმაგი დუბლით აკაკი დვალიშვილი გამოირჩა - 14 ქულა, 11 მოხსნა. 18 ქულა ჩააგდო **ქაქუცა აბაიშვილმა**. „არმიასთან“ მატჩისთვის „სამედიცინოს“ სავარაუდოდ ტრავმამოშუშებული ლეგიონერი **ფილიპ სამოილოვიჩი** დაუბრუნდება.

**ვაჟა სიმონიშვილი**

X გათამაშება
საქართველოს თასი
მეოთხედფინალი 25 იანვარი
არმია – საკვალიფიკაციოში გამარჯვებული
სოხუმი – შსს
ქუთაისი – დინამო
ოლიმპი – სტუ
ნახევარფინალი
26 იანვარი 30 იანვარი

კალათბურთი

● ინტერვიუ ზაზა ფაჩულიასთან

# კოკოშკოვი იმიტომაცაა დასაფასებელი, ჩვენს ხასიათს რომ უძლებს

ეროვნული ბიბლიოთეკა




## კალდერონმა, აქამდე სად იყავითო?

**ზაზა ფაჩულიამ** გასულ კვირას „ტორონტოსთან" მატჩისას სეზონის ორი რეკორდი დაამყარა: 13 ქულა და 4 პასი მოაგროვა, გუშინ კიდევ ორი საუკეთესო მაჩვენებელი დააფიქსირა - 14 მოხსნა და 38 წუთი. რაც მთავარია, საქართველოს ნაკრების 27 წლის კაპიტანი NBA-ს წარმატებული გუნდის წევრია - „ატლანტა ჰოქსი" აღმოსავლეთის კონფერენციაში სადღეისოდ მეორეა, ბოლო შვიდიდან ექვსი მატჩი მოიგო. საყურადღებო დეტალი: სწორედ ბოლო 7 მატჩია, რაც ფაჩულიას სათამაშო დრო 20 წუთს ასცდა.

ამ თემით დავიწყეთ ინტერვიუ ზაზასთან, რომელსაც სან ანტონიოში დავუკავშირდით („ატლანტასთან" ერთად აეროპორტიდან სასტუმროსკენ ავტობუსით მიემგზავრებოდა).

### ატლანტა

- სათამაშო დრო საგრძნობლად მომემატა, რაც სტატისტიკაზეც დადებითად ისახება. დროის გაზრდა მნიშვნელოვნად განაპირობა სასტარტო ცენტრის ელ ჰორფორდის ტრავმამ, რომელსაც ქირურგიული ჩარევა დასჭირდა. ელი გუნდისთვის დიდი დანაკლისია, ჩემი უახლოესი მეგობარია და მისი ტრავმა ჩემთვისაც ძალიან დასანანი იყო. სამწუხაროდ, ტრავმა ყველა სპორტსმენის კარიერის ნაწილია, ვერავინ გაექცევა. ამის გამო ხასიათის შეცვლა და დანებება არ ეგების, წინ მარათონული სეზონია და ჰორფორდის გარეშე უნდა შევძლოთ წინსვლა. მით უმეტეს, რომ ტრავმებთან დაკავშირებული პრობლემები სხვა გუნდებშიცაა.

**- ბოლო მატჩებში სეზონის არაერთი რეკორდი დაამყარე...**

- ამის მიზეზი ისევ და ისევ სათამაშო დროის გაზრდაა. 15 წუთში ძნელია შესაძლებლობების სრულად წარმოჩენა, ასეთ მოკლე დროში ვერც ორმაგ დუბლს შეასრულებ თუ სასწაული არ მოხდა. სასწაულები კი, ძალიან იშვიათად ფიქსირდება. ბოლოს „მილუოკისთან" 38 წუთი ვითამაშე და გუნდისთვის მაქსიმუმი გავილე. „ატლანტაში" რომ გადმოვედი (2005 წელს) თავიდან საშუალოდ 30-32 წუთს ვთამაშობდი, ბოლო ორი წლის განმავლობაში კი ეს მაჩვენებელი 10-15 წუთამდე შემცირდა, სათადარიგო ვიყავი. მიმდინარე სეზონში კი შანსი მომეცა და ვცდილობ ბოლომდე გამოვიყენო.

**- „ატლანტას" თამაშების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, შეიძლება ითქვას, ოპტიმალურ ფორმაში ხარ...**

- გეთანხმები. ნორმალურ კონდიციებში ვარ, რაც საქართველოს ნაკრებისა და თურქული „გალათასარაის" დამსახურებაა: სანაკრებო მატჩების შემდეგ ერთი თვე კი დავისვენე, მაგრამ რადგან აგვისტოსა და სექტემბრის დასაწყისში კარგად ვიყავი ნავარჯიშები, ფორმის აღდგენა არ გამჭირვებია. NBA-ს დაწყებამდე „გალათასარაიში" ვითამაშე და ამერიკაში სასურველ კონდიციებში ჩამოვედი.

**- რით განსხვავდება წლევანდელი „ატლანტა" გასული წლების გუნდისგან?**

- რაც ჯორჯიის შტატში ვარ, ასეთი კარგი გუნდი ჯერ არ გვყოლია. შემადგენლობაში ბევრი გამოცდილი კალათბურთელია, მთავარი კი ბირთვია, რომელიც 5-6 წელია არ შეცვლილა. ამაშია წარმატების საიდუმლო.

**- ალბათ, შარშანდელი შედეგის გაუმჯობესებას შეეცდებით.**

- გასული სეზონი „ატლანტასთვის" ბოლო წლებში ყველაზე წარმატებული იყო - პლეი ოფის ორი ბარიერი დავძლიეთ და „ჩიკაგოსთან" კონფერენციის ნახევარფინალში 2:4 დავმარცხდით. „ჰოქსს" როგორც პერსპექტიულს აღარავინ უყურებს - ყველა ელიტარულ გუნდად მიიჩნევს, რაც გამოცდილებამ და შედეგებმა განაპირობა. ვიმედოვნებ ქომაგთა იმედებს ბოლომდე გავამართლებთ.

### საქართველო

**- ამერიკიდან საქართველოში გადმოვინაცვლოთ. ჩვენი ნაკრების მეტოქეებზე გკითხავ...**

- შეიძლება წილისყრას უფრო ძლიერი მოწინააღმდეგეები ერგუნებინა, მაგრამ არც ესენი არიან სუსტები. ლატვიასა და ბოსნიასთან მძიმე ბრძოლები გველის როგორც სტუმრად, ასევე საქართველოში. არც ჰოლანდიასა და რუმინეთთან შეიძლება მოედანზე მოდუნებით გასვლა. ამას დღეს არავინ არავის პატიობს. ასე რომ, საინტერესო ზაფხული და სერიოზული გამოცდა გველის. საქართველოს ნაკრების სიტუაცია „ატლანტასას" მაგონებს: „ჰოქსთან" ერთად პლეი ოფში პირველად 4 წლის წინათ მოვხვდი და მაშინ შევიგრძენი ნამდვილი თამაშის გემო. მას მერე გუნდთან ერთად ბევრს ვცდილობ, რათა საპლეიოფო ბატალიებს არ გამოვაკლდე. საქართველოს ნაკრებს დიდი ხნით მოუწია მოცდამ, ვიდრე ევროპის ჩემპიონატს მიაღწევდა. ევრობასკეტზე ბოლოს და ბოლოს 2011 წელს ვითამაშეთ, რაც საოცარი შეგრძნება იყო. ყველა აღიარებს ამ მოვლენის ისტორიულობას, მეც ვეთანხმები, მაგრამ არ მინდა ეს ამბავი ისტორიაში ერთ გამონათებად დარჩეს - მაქსიმუმს გავილებ, რომ ევროპის ჩემპიონატზე გამოჩენის სიამოვნება კიდევ ერთხელ განვიცადო, ისევე როგორც ნაკრების ყველა წევრმა და გულშემატკივრებმა. არავინ იცის, ხვალ რა შეიცვლება, როგორი თაობა მოვა, ამიტომ გვინდა, სანამ ნაკრებში ვართ, ევრობასკეტზე მოხვედრის შანსი ხელიდან ერთხელაც არ გავუშვათ და ჩვენს ხალხს რაც შეიძლება მეტი სიხარული მოვუტანოთ. მოთმინებით ველი ზაფხულს და სანაკრებო შეკრებას. მთავარია, გუნდის ყველა წევრი ნაკრების მატჩებს ჯანმრთელად შეხვდეს.

**- გასული ზაფხული გამონაკლისი იყო - ტრავმის გამო არავინ გვაკლდა, მაგრამ ევროპის ჩემპიონატის მსვლელობისას...**

- მე და გიორგი ცინცაძემ ისეთი დაზიანებები მივიღეთ, რომ ევრობასკეტზე ნაკრებს ველარ დავეხმარეთ. როცა ასეთ საქმესთან ხარ შეჭიდებული, ტრავმის ალბათობაც არსებობს. კარგი იქნებოდა, არ დავშავებულიყავით, მაგრამ ტრავმებს ვერც ჩვენ გავექეცით.

**- ამერიკაში ევროპის ჩემპიონატის არაერთი მონაწილე თამაშობს. მათთან ევრობასკეტის შესახებ ხომ არ გილაპარაკია?**

- „ტორონტოსთან" ერთად „ატლანტაში" ესპანელი კალდერონი იყო ჩამოსული. გაკვირვებულმა მკითხა - საქართველოს ასეთი ნაკრები თუ ჰყავდა, აქამდე სად იყოო? ევრობასკეტზე ჩვენი გუნდის კარგი თამაში ბევრისთვის დიდი სიურპრიზი აღმოჩნდა.

**- გუნდები ორ დივიზიონად რომ არ დაეყოთ, ევროპის პირველობაზე შესაძლოა უფრო ადრეც გეთამაშათ.**

- ასეა თუ ისე, ფაქტია, რომ გარკვეულ სიმაღლემდე ასვლას დრო და ბევრი შრომა სჭირდება.

### კოკოშკოვი

**- ნაკრების მწვრთნელ იგორ კოკოშკოვს კონტრაქტი გაუხანგრძლივეს. როგორ აფასებ ამ მოვლენას?**

- ასეც უნდა მომხდარიყო, რადგან საქართველოში ჩამოსვლის პირველივე დღიდან გულიანად მუშაობდა და გუნდი წლიდან წლამდე პროგრესირებდა. ასეთ დროს მწვრთნელის შეცვლა გაუმართლებელია. გამოგიტყდებით, იგორ კოკოშკოვთან მუშაობა ძალიან მსიამოვნებს, ბევრსაც ვსწავლობ და კარგია, როცა გუნდის წინსვლას გრძნობ. ვფიქრობ, ნაკრების ახალგაზრდა წევრებისთვისაც სასიამოვნოა კოკოშკოვთან თანამშრომლობა. ვთვლი, მისი დარჩენა სწორი ნაბიჯი იყო. კონტრაქტის გახანგრძლივების ამბავი რომ გავიგე, დავურეკე და საკუთარი შეხედულება გავუზიარე.

**- მაინც რა შეიძლება ჩაითვალოს იგორ კოკოშკოვის მთავარ პლუსად?**

- რამდენი ადამიანიცაა, იმდენნაირი აზრია. ქართველები სხვა ხალხებისგან განსხვავებულები ვართ. შეიძლება ითქვას, რთული ხასიათისანი. მეც ქართველი ვარ და გამონაკლისი არ გახლავართ. ჰოდა, ჩვენს ხასიათს რომ უძლებს, იგორ კოკოშკოვი ამიტომაცაა დასაფასებელი. დასამალი არაფერია, საქართველოს ნაკრებშიც ყოფილა რთული დღეები, შეუთანხმებლობა. ეს არაა გასაკვირი, უთანხმოება ყველგან ხდება, „ბარსელონაშიც" და „რეალშიც". მთავარია, მისი სწორად დანახვა და აღმოფხვრა. მწვრთნელის სახით ჩვენს ნაკრებსაც ჰყავს ლიდერი, რომელიც რთულ სიტუაციაში სწორი ნაბიჯებით კარგად მართავს სიტუაციას.

ვაჟა სიმონიშვილი

● ინტერვიუ ამირან შავგულიძესთან



ბურთით დიმიტრი ბასილაია

# ფოთში რაგბის უსაზღვრო პოტენციალია

შავიზღვისპირა ქალაქ ფოთში, რომელიც ქართული ფეხბურთის აკვნად ითვლება, სარაგბო სკოლა 1998 წელს გაიხსნა და დღემდე ამ სკოლაში მისი დამფუძნებლის, ამირან შავგულიძის ხელმძღვანელობით ეროვნული და ასაკობრივი ნაკრებებისთვის არაერთი მოთამაშე აღიზარდა. ფოთში სარაგბო სკოლის დაარსებას, დროთა განმავლობაში რაგბის კლუბის შექმნაც მოჰყვა. „კოლხი რაინდები" უკვე მერამდენე წელიწადია საქართველოს ჩემპიონატის პირველ ლიგაში ასპარეზობენ.

ფოთური რაგბის ისტორიასა და ამჟამინდელი გუნდის სამომავლო გეგმებზე ამირან შავგულიძე გვესაუბრება.

- ფოთში ქუთაისიდან 1998 წელს ჩავედი. მინდოდა იქ სარაგბო სკოლა გამეხსნა. შევხვდი ქალაქის მერიის სპორტის კომიტეტის მაშინდელ ხელმძღვანელს, აწგანსვენებულ ოთარ ხომერიკს, რომელიც ამ იდეას ძალიან ყურადღებით მოეკიდა. მან დიდი დახმარება გამიწია და ლომის წილი მიუძღვის იმაში, რომ ფოთში დღეს რაგბის თამაშობენ.

ისიც უნდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ ფოთელებმაც გულთბილად მიმიღეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ქალაქში, სადაც რაგბის ჩანასახიც კი არ იყო, სკოლის დაარსება და ფუნქციონირება ძალიან გაგვიჭირდებოდა.

**- კონკრეტულად რაში გამოიხატა მაშინ ადგილობრივი ხელისუფლების დახმარება?**

- სარაგბო სკოლა მერიასთან დაფუძნდა და მისი გამართულად საქმიანობისთვის თანხა გამოიყო. ამასთან, მოგვცეს სავარჯიშო ბაზა, რომელიც ჩვენი ხელით მოვაწყვეთ. ეს ბაზა, თამამად შეიძლება ითქვას, რომ საუკეთესოა დასავლეთ საქართველოში.

**- შესაბამისად, გასაკვირი არცაა, რომ თქვენი სკოლის აღზრდილები საქართველოს ეროვნულ და ასაკობრივ ნაკრებებში უხვად არიან წარმოდგენილები...**

- ყველაზე დიდ წარმატებას ჩვენი სკოლის აღზრდილებიდან დიმიტრი ბასილაიამ მიაღწია. მან საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში ახალ ზელანდიაში გამართულ მსოფლიოს თასის გათამაშებაში იასპარეზა და გუნდში ერთ-ერთი საუკეთესო იყო. ბასილაია ამჟამად ფრანგულ „ვალანს დაჟენში" ასპარეზობს და, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, სეზონის დასრულების შემდეგ შოტლანდიურ „ედინბურგში" უნდა გადაბარგდეს. ასე რომ, ის საკლუბო დონეზეც უმაღლესი რანგის ტურნირში, კლეტთა ლიგაში იასპარეზებს.

ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეულია ასევე ზურაბ ჟვანია, რომელიც ამჟამად ქუთაისის „აიას" მორაგბეა და საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ერთ-ერთ უძლიერეს კლუბში, პარიზულ „სტად ფრანსეში" გადადის. საფრანგეთში, ელიტური მეორე დივიზიონის „ტარბში" თამაშობს ჩვენი სკოლის კიდევ ერთი აღზრდილი ირაკლი მირცხულავა.

სხვადასხვა ასაკობრივ ნაკრებში თამაშობენ ირაკლი კუჭუხიძე, ზურაბ ნაჭყებია, მერაბ მატკავა, ზურაბ ხარებავა და გიორგი ჯღამია. საქართველოს სხვადასხვა კლუბშიც ბევრი ფოთელია, მათ შორის ბექა ადანაია და ბაჩო ყალიჩავა.

**- როგორც აქ წარმოდგენილი მორაგბეების სიიდან ჩანს, „კოლხი რაინდების" მთავარი პრობლემა მოთამაშეების ადგილზე დაკავებაა...**

- ფოთში ეს პრობლემა მარტო ჩვენ არ გვაწუხებს. ეს საერთო გასაჭირია. ქალაქის მერია გარკვეულ თანხას კი გამოყოფს ჩვენს დასახმარებლად, მაგრამ ეს საკმარისი არ არის, მორაგბეებს თუნდაც ელემენტარული პირობები რომ შევუქმნათ, ფაქტობრივად ეს ფულიც და შრომაც წყალში გადაყრილი გამოდის.

**- ასე რატომ მიგაჩნიათ?**

- იმიტომ, რომ სკოლის დასრულების შემდეგ მორაგბემ სადმე ხომ უნდა ითამაშოს, თუ სხვა გუნდში ვერ გადავიდა, ფაქტობრივად, ქუჩაში რჩება. რადგან ჩვენთან ველარ ვათამაშებთ ცუდი პირობების გამო. თავად განსაჯეთ, როცა გასვლითი თამაში გვაქს, მერია კვებისთვის კაცზე ექვს ლარს გვაძლევს. ეს ხომ მიზერული თანხაა. ამ ფულით მორაგბე ნორმალურად როგორ უნდა გამოიკვებოს. ტრანსპორტზე აღარაფერს ვამბობ. ამასაც დიდი გაჭირვებით ავუდივართ.

ისე გამოდის, რომ ყოველ წლიწადს მინიმუმ რვა მოთამაშეს ვკარგავთ. ცხადია, ის კლუბები, სადაც ისინი გადადიან, კომპენსაციას კი გვიხდიან, მაგრამ ეს იმდენად უმნიშვნელო თანხაა, რომ კლუბის პრობლემებს ვერ შველის.

აბა, რაზე ვილაპარაკო, როცა 12 წელიწადია საწვრთნელ ბაზაზე ვცხოვრობ. ერთი სიტყვით, გუნდს გაცილებით მეტი ყურადღება სჭირდება. დამერწმუნეთ, ფოთს ძალიან დიდი სარაგბო პოტენციალი გააჩნია. ქუთაისის მერე ეს ქალაქი დასავლეთ საქართველოში მეორე სარაგბო ცენტრად შეიძლება გადაიქცეს და თუ მეტად დაგვეხმარებიან, შესანიშნავი გუნდიც გვეყოლება.

**- სპონსორის მოძებნა არ გიცდიათ?**

- სპონსორი არ გვყავს და არც არასდროს გვყოლია. მივმართეთ თხოვნით რამდენიმე კომპანიას, მაგრამ ვერავინ დავითანხმეთ. არ უნდათ სპორტში ფულის ჩადება. ეს მარტო რაგბის არ ეხება, ფოთში სპორტის ყველა სახეობა ამ დღეშია.

**- გამოსავალს რაში ხედავთ?**

- ისევ მერიამ უნდა მოგვხედოს. იმდენი მაინც უნდა შევძლოთ, რომ მოთამაშეებს ელემენტარული პირობები შევუქმნათ, რათა მათი ადგილზე დაკავება შევძლოთ, თორემ გადინების პროცესი არასდროს შეწყდება.

**- ჩვენთვის ცნობილია, რომ ფოთში მალე სარაგბო სტადიონის მშენებლობა დაიწყება...**

- დიახ ასეა, პროექტი უკვე დამტკიცებულია და მშენებლები საქმიანობას უახლოეს დღეებში უნდა შეუდგნენ. ძალიან კარგი სპორტული კომპლექსი გვექნება. სტადიონი ორმოედნიანია, აქედან ერთი ხელოვნურსაფარიანი იქნება. დარწმუნებული ვარ, მას შემდეგ, რაც ეს ბაზა ექსპლუატაციაში შევა, ფოთში რაგბის განვითარების ახალი ტალღა დაიწყება.

● ლეგიონერები

# ბრეგვაძე ფრანგულ გრანდში ჩაირიცხა

საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ლიდერი, ამ ქვეყნის მოქმედი ჩემპიონი და ევროპული რაგბის გრანდი „ტულუზი," საქართველოს ნაკრების შერკინების კვაჭით, **ჯაბა ბრეგვაძით** გაძლიერდა.

ქართველ მორაგბის ფრანგული კლუბში ჩარიცხვის საკითხი მას შემდეგ გადაწყდა, რაც სპეციალურ ტესტები ჩააბარა. ბრეგვაძე უკვე მომავალ უქმეებზე ითამაშებს „ტულუზის" შემადგენლობაში „მეტრო რასინგთან" მატჩში. „ტულუზის" ხელმძღვანელებმა ის ევროთასების განაცხადშიც შეიყვანეს.

ჯაბა ბრეგვაძე 24 წლისაა და თბილისის „ყოჩების" აღზრდილია. შარშან სეზონის დასაწყისში „არმიაში" გადაბარგდა. ეროვნულ ნაკრებში 17 კეპი აქვს მოხვეჭილი. ახალ ზელანდიაში გამართულ მსოფლიოს თასის გათამაშებაში „ბორჯღალოსანთა" ძირითადი შემადგენლობის წევრი იყო და ჯგუფური ტურნირის ოთხივე შეხვედრაში იასპარეზა.

ამ ოთხი შეხვედრიდან ბრეგვაძე სამში ძირითად შემადგენლობაში იყო, ბოლო მატჩში არგენტინის ნაკრებთან კი თამაშში მეორე ნახევარში ჩაერთო. ის ზრდილი, შრომისმოყვარე და როგორც ქართული რაგბის თემს შეეფერება, ღირსეული პიროვნებაა. იმედია, მისი კარიერა ევროპის ერთ-ერთ უძლიერეს კლუბში ხანგრძლივი იქნება.

შეგახსენებთ, რომ „ტულუზმა" „სამედიცინო ჯოკერის" პრინციპით იანვრის დასაწყისში შერკინების კვაჭი **აქსენტი გიორგაძე** აიყვანა. „გლობუსამ" მხოლოდ ორ შეხვედრაში იასპარეზა და იმდენად მძიმედ დაშავდა, რომ მინიმუმ ოთხი თვე ვერ შეძლებს თამაშს. „ტულუზის" მთავარმა მწვრთნელმა **გი ნოვემ** გადაწყვიტა კიდევ ერთი „სამედიცინო ჯოკერის" დამატება და თვალი მეორე ქართველს ჯაბა ბრეგვაძეს დაადგა.

ალსანიშნავია, რომ „ტულუზის" ხელმძღვანელობა ბოლო ხანს აქტიურადაა დაინტერესებული ქართველი მორაგბეებით. წინასწარი შეთანხმება კონტრაქტის გაფორმების თაობაზე უკვე ერთ თვეზე მეტია მიღწეულია კიდევ ერთ ქართველთან, შერკინების ბურჯ **ვასილ კაკოვინთან,** რომელიც ამჟამად საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ელიტარულ, პირველ დივიზიონში მოასპარეზე „ბრივში" თამაშობს.



ჯაბა ბრეგვაძე

● ერთა თასი

# უკრაინამ საბრძოლო რაზმი დაასახელა

საქართველოს მორაგბეთა ნაკრები ერთა თასის წლევანდელ გათამაშებაში პირველ შეხვედრას სტუმრად, დნეპროპეტროვსკში 4 თებერვალს უკრაინის ნაკრებთან გამართავს. უკრაინელები, რომლებსაც ქართველი მწვრთნელი **ზაზა ლეჟავა** თავკაცობს, „ბორჯღალოსნებს" სტადიონ „მეტეორზე" უმასპინძლებენ. ლეჟავამ უკვე დაასახელა იმ 24 მორაგბის ვინაობა, ვინც, სავარაუდოდ საქართველოს ნაკრებს დაუპირისპირდება. მათ შორის ერთი ქართველია - ცხრა ნომერი **ზურაბ კიკაჩეიშვილი.** შეგახსენებთ, რომ მის გარდა უკრაინელთა ღირსებას კიდევ ორი, **ჯაბა მალალურაძე** და **გიორგი გეგიძე** იცავენ.

უკრაინის ნაკრები გათამაშების აუტსაიდერია. შარშანდელ სეზონში მათ ხუთი თამაშიდან ხუთივე ისე წააგეს პრემიალური ქულის აღებაც ვერ შეძლეს. საქართველოს ეროვნული გუნდი უკრაინელებს ზუსტად ერთი წლის წინათ თბილისში, „ლოკომოტივის" სტადიონზე შეხვდა და დიდი ანგარიშით მოუგო - 62:3.

უკრაინელებმა, ერთა თასის გათამაშებაში ადგილი რომ შეინარჩუნონ, მინიმუმ ორი შეხვედრა უნდა მოიგონ, თანაც ორივეში პრემიალური ქულები უნდა მიითვალონ, ანუ მატჩში ოთხი და მეტი ლელო უნდა გაიტანონ, რაც თამამად შეიძლება ითქვას, რომ უტოპია უფროა, ვიდრე ფანტასტიკა. ასე რომ, ზაზა ლეჟავას გუნდი გასავარდნადაა განწირული, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ იოლად არაფერს დათმობენ და ყველანაირად ეცდებიან მიზანს მაღწიონ.

შეგახსენებთ, რომ ერთა თასის გათამაშებაში ორი წლის ჯამში ბოლო ადგილზე გასული, მომავალ წელს, როდესაც 2015 წლის მსოფლიოს თასის შესარჩევი ტურნირი დაიწყება, ქვედა დივიზიონში გამარჯვებულს დაუთმობს ადგილს. იქ კი წარმატების ყველაზე კარგი შანსი ბელგიის ნაკრებს აქვს.

**უკრაინის ნაკრები**

უკანა ხაზი: სერგეი სუხიხი, მიკოლა კირსანოვი, ევგენი ჩაიკა, ვიაჩესლავ კრასილნიკი, რუსლან რადჩუკი, ოლექსანდრ ლომაკინი, დმიტრო ფედიშინი, ოლექსანდრ ცაპენკო, ზურაბ კიკაჩეიშვილი, სერგეი ცერკოვნი.

შერკინება: ოლეგ კოსარევი, დენის მასიუკოვი, სეგეი გარკავი, სერგეი მონასტირიოვი, ვიაჩესლავ პონომარენკო, ვიტალი კრამარენკო, ოლექსანდრ პოლიანსკი, ედუარდ ვერტილეცკი, დენის მილოვი, იური პიდგანიაკი, მაქსიმ კრავჩენკო, მიკოლა დელიერგიევი, ტარას მარჩენკო, არტემ ლულიკი.

**სატურნირო მდგომარეობა**

1. საქართველო - 22 ქულა, 2. რუმინეთი - 16, 3. პორტუგალია - 14, 4. რუსეთი - 11, 5. ესპანეთი - 10, 6. უკრაინა - 0.

**ერთა თასი**

**4 თებერვალი**

უკრაინა-საქართველო

**11 თებერვალი**

ესპანეთი-საქართველო

**25 თებერვალი**

საქართველო-პორტუგალია

**10 მარტი**

რუმინეთი-საქართველო

**17 მარტი**

საქართველო-რუსეთი

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**



ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი



ობამა ბოსტონელი გახდა

# პოლიტიკა და ჰოკეი

## სტენლის თასის გმირმა პრეზიდენტთან შეხვედრა არ მოისურვა

ამერიკის პრეზიდენტმა **ბარაკ ობამამ** NBA-ის ჩემპიონის „დალას მავერიქსის“ შემდეგ, თეთრ სახლში მიიღო ჰოკეის ეროვნული ლიგის ახალი ჩემპიონი - „ბოსტონ ბრუინზი“.

ამ შეხვედრას პოლიტიკური მოსაზრებებით არ ესწრებოდა გასული პლეიოფის გმირი, "ბოსტონის" მეკარე **ტიმ ტომასი**.

*"ვფიქრობ, ფედერალური მთავრობა კონტროლიდან გამოვიდა და მოქალაქეების თავისუფლებასა და საკუთრებას ემუქრება, - აღნიშნა ტომასმა. – ვერ დავადანაშაულებ რომელიმე პარტიას: რესპუბლიკელებს ან დემოკრატებს. ორივემ მიიყვანა ჩვენი ქვეყანა აქამდე".*

გუნდის დანარჩენი წევრები კი სრული შემადგენლობით გამოცხადნენ თეთრ სახლში. მათ შორის **მარკ რეკი**, რომელმაც გასული სეზონის შემდეგ დაასრულა კარიერა. "ბოსტონმა" ფინალურ სერიაში 4:3 დაამარცხა „ვანკუვერ კენაქსი“ და 39-წლიანი შესვენების შემდეგ მოიპოვა სტენლის თასი.

ბოლო პერიოდში ბოსტონური კლუბები თეთრი სახლის ხშირი სტუმრები გახდნენ: 2005 წელს ამერიკულ ფეხბურთში სუპერბოული მოიგო "პეტრიოტსმა", 2007 წელს ბეისბოლის მსოფლიოს სერიაში გაიმარჯვა "რედ სოქსმა", 2008 წელს კი NBA-ის ჩემპიონი გახდა "სელტიქსი". ახლა ეს ერთგვარი წრე ჰოკეის კლუბმა "ბოსტონმა" შეკრა.

## ამბები

### ჰოკეი

### ოლ სტარში ცვლილებებია

"ყველა ვარსკვლავის მატჩის" შემადგენლობაში ტრავმების გამო ცვლილებები მოხდა. მონაწილეთა შორის მოხვდნენ "ედმონტონის" ფორვარდი **ჯორდან ებერლე**, "პიტსბურგის" მცველი **კრის ლეტანგი** და დებიუტანტი **ნიკ ჯონსონი**, რომელიც "მინესოტაში" თამაშობს.

ამ სამეულმა შეცვალა "მინესოტას" ფორვარდი **მიკო კოივუ**, "ვინიპეგის" მცველი **დასტინ ბაფლინი** და ახალბედა **რაიან ნიუჯენტ-ჰოპკინსი**.

"ყველა ვარსკვლავის მატჩი" 29 იანვარს ოტავაში გაიმართება.

### კალათბურთი

### შაქისა და ბარკლის ვარსკვლავები

როგორც წესი, ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის "ყველა ვარსკვლავის უქმეებს" ახალბედებისა და "მეორეწლიანების" შეხვედრა ხსნის. ამერიკული პრესის ცნობით, ამ მატჩმა, შესაძლოა, ფორმატი შეიცვალოს.

ვარაუდობენ, რომ NBA-ის ლეგენდები **ჩარლზ ბარკლი** და **შაკილ ო'ნილი** ერთგვარ დრაფტს ჩაატარებენ წინასწარ დასახელებული მოთამაშეებისგან და თავად ჩაუდგებიან სათავეში შერეულ გუნდებს.

ამ ცვლილებას ლიგა მოგვიანებით გამოაცხადებს.

### ბოუენს მარტში დააფასებენ

21 მარტს, „სან ანტონიოსა“ და „მინესოტას“ მატჩის წინ, „სპურსის“ საშინაო არენის თაღზე დაკიდებენ კლუბის ყოფილი მცველის ბრიუს ბოუენის მაისურას. ეს იმას ნიშნავს, რომ ბრიუსის ნომრით (12) „სან ანტონიოში“ ველარავინ ითამაშებს. ამ ინფორმაციას ტეხასური გუნდის ოფიციალური ვებგვერდი ავრცელებს.

ბოუენმა, რომელმაც „სან ანტონიოს“ რიგებში 630 მატჩი ჩაატარა, 2009 წელს დაასრულა კარიერა. პერსონალური დაცვით განთქმული მცველი საშუალოდ 6.4 ქულას აგროვებდა და სამჯერ გახდა NBA-ის ჩემპიონი.

### ფორმულა 1

### ლოტუსი კიმით კმაყოფილია

„ლოტუსის“ ბოსი **ერიკ ბულიე** კმაყოფილი დარჩა ფინელი **კიმი რაიკონენის** პირველი სატესტო დღის შედეგებით. ფინელი ვალენსიას ავტოდრომის ტრასაზე ორი წლის წინანდელი ბოლიდით გავიდა.

*„შეიძლება ითქვას, რომ დღემ ძალიან პოზიტიურად ჩაიარა, - ამბობს ბულიე. - ყველა ხედავს, რომ გუნდი ძალიან კმაყოფილია რაიკონენის ფორმით. კიმიც ბედნიერი ჩანს. მან უმოკლეს დროში იგრძნო ბოლიდი. რა თქმა უნდა, ახალი მანქანა ძალიან განსხვავებულია იმისგან, რომელშიც დღეს რაიკონენი იჯდა, მაგრამ ეს ჩრდილს არ აყენებს დღევანდელ შედეგებს“.*

ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი

# ფანტასტიკური დეტროიტი



დეტროიტის მორიგი გოლი

გუშინდელი დღის მთავარი მატჩი დეტროიტში გაიმართა, სადაც „სენტ ლუისი“ ჩავიდა სათამაშოდ. ეს გუნდები კონფერენციის ლიდერობისთვის იბრძვიან, ამიტომაც შეხვედრას დიდი ინტერესით ელოდნენ. მაგრამ „ბლუზმენებმა“ პირველი პერიოდის მოგების შემდეგ, მომდევნო ორ პერიოდში დიდი წინააღმდეგობა ველარ გაუწიეს მეტოქეს და 40 წუთში სამი უპასუხო გოლი გაუშვეს. „დეტროიტმა“ გააგრძელა ფანტასტიკური სერია - ზედიზედ მე-17 საშინაო მატჩი მოიგო! თანაც, ეს სერია უახლოეს პერიოდში არ შეწყდება, რადგან **ბებკოკის** გუნდი ხუთმატჩიან გასვლით ტურნეში მიემგზავრება.

ამ მოგებით „დეტროიტმა“ 67 ქულა დააგროვა და მთლიანად ლიგის ლიდერობა იგდო ხელთ.

## დღის ფაქტები

- „ტორონტოს“ მეკარემ **იონას გუსტავსონმა** „აილენდერსთან“ 3:0 მოგების შემდეგ სეზონში მესამე „შათაუტი“ მიითვალა. სამივე „მშრალი“ მატჩი შვედმა იანვარში ჩაატარა. 1967-68 წლების სეზონის შემდეგ, „ტორონტოს“ მეკარეებიდან მხოლოდ **ედ ბელფურს** ჰქონდა ერთ კალენდარულ თვეში სამი „შათაუტი“. მან ეს ორჯერ გააკეთა: 2002 წლის ნოემბერსა და 2003 წლის დეკემბერში.

- „სენტ ლუისის“ დამარცხების შემდეგ „დეტროიტის“ გოლკიპერი **ჯიმი ჰოვარდი** პირველი მეკარე გახდა სეზონში, ვინც 30 მატჩის მოგება შეძლო. სხვათა შორის, ჰოვარდმა შარშანაც პირველმა მიაღწია 30-მოგებიან ზღვარს, ოღონდ ეს ოთხი კვირით გვიან გააკეთა (20 თებერვალს).

1977-78 წლების სეზონის შემდეგ მხოლოდ ერთმა მეკარემ შეძლო ზედიზედ ორ სეზონში სხვებზე ადრე 30 მოგების გაფორმება. ეს არის „ნიუ ჯერსის“ ლეგენდარული გოლკიპერი **მარტინ ბროდო**.

- ფანტასტიკური სერია აქვს „კაროლინას“ მეკარე **კემ უორდს**. ის ზედიზედ ცხრა მატჩია ორზე მეტ გოლს არ უშვებს საკუთარ კარში (საშუალოდ - 1.54). ეს არის საკლუბო რეკორდის გამეორება, რომელიც ლეგენდარულ ლატვიელს **არტურს ირბესა** (1999) და **კევინ უიკსს** (2002) ეკუთვნით.

- „ნეშვილის“ ფორვარდმა **მაიკ ფიშერმა** „კოლამბუსთან“ მატჩში დუბლი შეასრულა. „პრედატორზმა“ იანვარში 11-დან ცხრა მოიგო და ამ 11 მატჩში ფიშერმა 12 ქულა მიითვალა. თუმცა ამ ფორვარდს საკუთარ რეკორდამდე კიდევ სამი ქულა უკლია. 2008 წლის იანვარში მის ანგარიშზე 15 ქულა (14 მატჩში) იყო.

## კვირის სამი ვარსკვლავი

ჰოკეის ეროვნულმა ლიგამ გასული კვირის პირველ ვარსკვლავად "პიტსბურგის" ფორვარდი **ევგენი მალკინი** დაასახელა. რუსმა თავდამსხმელმა ზედიზედ ოთხ მოგებულ შეხვედრაში შვიდი ქულა (5 გოლი+2 პასი) მიითვალა.

მეორე ვარსკვლავი გახდა "ფილადელფიას" მარცხენა ფრთა **სკოტ ჰარტნელი**, რომელმაც კვირა ექვსი გოლით დაასრულა. მესამე ვარსკვლავია "აილენდერსის" მეკარე **ევგენი ნაბოკოვი**. მან თავის გუნდს სამიდან სამ მატჩში მოაგებინა, საშუალოდ 0.65 გოლს უშვებდა და დარტყმების 97.8 პროცენტს იგერიებდა. ასევე მის ანგარიშზე იყო ერთი "შათაუტი".

### ტორონტო–აილენდერსი 3:0

1:0, 0:0, 2:0

**გოლები:** 1:0 ლომბარდი-5 (გარდინერი-12, ფრენსონი-11), 2:0 კესელი-26 (ლუპული-32, გუნარსონი-13), 3:0 ლომბარდი-6 (კრები-8, გრაბოვსკი-13).

### კაროლინა–ვინიპეგი 2:1

2:0, 0:1, 0:0

**გოლები:** 1:0 სკინერი-14 (გლისონი-13), 2:0 ბრენტი-6 (ე. სტიუარტი-6), 2:1 უელვუდი-9 (ენსტრიომი-15, ანტროპოვი-18).

### დეტროიტი–სტ. ლუისი 3:1

0:1, 2:0, 1:0

**გოლები:** 0:1 ნიკოლი-2 (კრომბინი-1, პორტერი-1), 1:1 დაციუკი-14 (ლიდსტრიომი-17, ზეტერბერგი-26), 2:1 ფრანცენი-19 (ჯ. ერიქსონი-8, ბერტუცი-15), 3:1 კრონვალი-11 (ლიდსტრიომი-18, დაციუკი-39).

### ნეშვილი–კოლამბუსი 4:1

1:0, 1:1, 2:0

**გოლები:** 1:0 ფიშერი-10 (ერატი-23), 1:1 ნეში-17 (ვერმეტი-14), 2:1 ფიშერი-11 (შ. უებერი-24, რ. სატერი-21), 3:1 ჰალიშჩუკი-11 (კ. სმიტი-18, ელისი-5), 4:1 ჰორნკვისტი-14 (რ. სატერი-22, ერატი-24).

### ედმონტონი–სან ხოსე 2:1 (ბ)

0:0, 1:0, 0:1, 0:0

**გოლები:** 1:0 ებერლე-18 (პეტრი-10, სემ განიე-16), 1:1 კუტური-21 (დ. ბოილი-24, ჯ. ტორნტონი-30).

**ბულიტები გაიტანეს:** სემ განიე (ედმონტონი), პაველსკი (სან ხოსე), ტ. ჰოლი (ედმონტონი).

### ლოს ანჯელესი–ოტავა 4:1

1:0, 3:0, 0:1

**გოლები:** 1:0 უ. მიტჩელი-3 (კლიფორდი-6, ფრეზერი-2), 2:0 კლიფორდი-3 (ფრეზერი-3, დაუტი-18), 3:0 ჯ. ჯონსონი-8 (დაუტი-19, ჯასტინ უილიამსი-25), 4:0 ტ. ლუისი-2 (ბულიტი), 4:1 ალფრედსონი-16 (ე. კარლსონი-40, გონჩარი-24).

### აღმოსავლეთი

| | თ | მ | წ | ოწ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. რეინჯერსი* | 46 | 30 | 12 | 4 | 64 |
| 2. ბოსტონი* | 46 | 31 | 13 | 2 | 64 |
| 3. ფლორიდა* | 47 | 22 | 15 | 10 | 54 |
| 4. ფილადელფია | 47 | 28 | 14 | 5 | 61 |
| 5. ოტავა | 51 | 27 | 18 | 6 | 60 |
| 6. პიტსბურგი | 48 | 27 | 17 | 4 | 58 |
| 7. ნიუ ჯერსი | 47 | 26 | 19 | 2 | 54 |
| 8. ვაშინგტონი | 47 | 25 | 19 | 3 | 53 |
| 9. ტორონტო | 48 | 24 | 19 | 5 | 53 |
| 10. ვინიპეგი | 49 | 22 | 21 | 6 | 50 |
| 11. მონრეალი | 48 | 18 | 21 | 9 | 45 |
| 12. კაროლინა | 51 | 18 | 24 | 9 | 45 |
| 13. ტამპა ბეი | 47 | 20 | 23 | 4 | 44 |
| 14. აილენდერსი | 47 | 19 | 22 | 6 | 44 |
| 15. ბაფალო | 48 | 19 | 24 | 5 | 43 |

### დასავლეთი

| | თ | მ | წ | ოწ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. დეტროიტი* | 49 | 33 | 15 | 1 | 67 |
| 2. ვანკუვერი* | 48 | 29 | 15 | 4 | 62 |
| 3. სან ხოსე* | 46 | 26 | 14 | 6 | 58 |
| 4. სტ. ლუისი | 48 | 29 | 13 | 6 | 64 |
| 5. ჩიკაგო | 49 | 29 | 14 | 6 | 64 |
| 6. ნეშვილი | 49 | 29 | 16 | 4 | 62 |
| 7. ლოს ანჯელესი | 50 | 24 | 16 | 10 | 58 |
| 8. კოლორადო | 50 | 26 | 22 | 2 | 54 |
| 9. მინესოტა | 48 | 23 | 18 | 7 | 53 |
| 10. კალგარი | 49 | 23 | 20 | 6 | 52 |
| 11. დალასი | 47 | 24 | 21 | 2 | 50 |
| 12. ფინიქსი | 49 | 21 | 20 | 8 | 50 |
| 13. ანაჰაიმი | 47 | 18 | 22 | 7 | 43 |
| 14. ედმონტონი | 48 | 18 | 26 | 4 | 40 |
| 15. კოლამბუსი | 48 | 13 | 29 | 6 | 32 |

* - დივიზიონის ლიდერი

### ბომბარდირები

#### გოლი+პასი

| | |
|---|---|
| ევგენი მალკინი (პიტ) | 58 (26+32) |
| კლოდ ჟირუ (ფილ) | 55 (18+37) |
| პაველ დაციუკი (დეტ) | 53 (14+39) |
| სტივენ სტემკოსი (ტ-ბეი) | 52 (32+20) |
| მარიან ჰოსა (ჩიკ) | 52 (20+32) |
| ჯოფრი ლუპული (ტორ) | 52 (20+32) |
| ჰენრიკ სედინი (ვან) | 52 (11+41) |
| ფილ კესელი (ტორ) | 51 (26+25) |
| ჯონათან ტეუვზი (ჩიკ) | 50 (27+23) |
| დანიელ სედინი (ვან) | 50 (20+30) |
| ჯეისონ სპეცა (ოტა) | 50 (20+30) |

#### გოლები

| | |
|---|---|
| სტივენ სტემკოსი (ტ-ბეი) | 32 |
| ჯონათან ტეუვზი (ჩიკ) | 27 |
| ფილ კესელი (ტორ) | 26 |
| ჯეიმს ნილი (პიტ) | 26 |
| ევგენი მალკინი (პიტ) | 26 |
| სკოტ ჰარტნელი (ფილ) | 25 |
| მარიან გაბორიკი (რეინ) | 25 |
| მილან მიხალეკი (ოტა) | 23 |

#### პასები

| | |
|---|---|
| ჰენრიკ სედინი (ვან) | 41 |
| ერიკ კარლსონი (ოტა) | 40 |
| პაველ დაციუკი (დეტ) | 39 |
| კლოდ ჟირუ (ფილ) | 37 |
| პი ეი პარენტო (აილ) | 33 |
| ევგენი მალკინი (პიტ) | 32 |
| მარიან ჰოსა (ჩიკ) | 32 |
| ჯოფრი ლუპული (ტორ) | 32 |
| ბრაიან კემპბელი (ფლო) | 31 |

## დაგვიანებული სასჯელი

"ვაშინგტონ კეპიტალზის" რუსი ფორვარდი **ალექსანდრ ოვეჩკინი** სამი მატჩით არის დისკვალიფიცირებული. დისკვალიფიკაციის პირობების მიხედვით, ამ პერიოდში ჰოკეისტი ხელფასს არ მიიღებს და ეს თანხა (154,6 ათასი დოლარი) ჰოკეისტების სასწრაფო სამედიცინო დახმარების ფონდში გადაირიცხება.

ოვეჩკინი დაისაჯა ინციდენტისთვის, რომელიც "პიტსბურგთან" მატჩის დროს მოხდა. შეხვედრის მსვლელობისას რუსმა ფორვარდმა უხეში ძალისმიერი ილეთი გამოიყენა "პიტსბურგის" მცველის **ზბინეკ მიხალეკის** წინააღმდეგ - რუსმა მეორე პერიოდის მეხუთე წუთზე შეუტია მეტოქეს. მსაჯებმა ეს ინციდენტი უყურადღებოდ დატოვეს და მატჩის მსვლელობისას ოვეჩკინს არანაირი სასჯელი არ მიუღია.

ის შეხვედრა "პიტსბურგმა" ოვერტაიმში 4:3 მოიგო. ოვეჩკინის ანგარიშზე სამი ქულა (1+2) იყო.


ოვეჩკინის ბინძური ილეთი

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი. NBA რეგულარული ჩემპიონატი

# ტიმმა ახალგაზრდობა გაიხსენა

- საფინალო სირენამდე წამითა ოთხი მეათედით ადრე **ტიმ დანკანის** ტყორცნამ „სან ანტონიოს“ 104:102 მოაგებინა „ნიუ ორლეანთან“. ეს იყო დანკანის პირველი გამარჯვების სროლა (იგულისხმება ბოლო ორ წამში განხორციელებული ტყორცნა) 2005 წლის 28 თებერვლის შემდეგ, როცა მან „სპურსს“ „კლივლენდთან“ გაამარჯვებინა.

- „ორლანდომ“ თამაშიდან 65 ტყორცნა შეასრულა „ბოსტონის“ კალათის მიმართულებით და აქედან მხოლოდ 16 იყო ზუსტი. „მეჯიქმა“ ორი საკლუბო ანტირეკორდი დაამყარა: მატჩში ყველაზე ცოტა ქულა (56) დააგროვა და ყველაზე დაბალი პროცენტით (24.6) ისროლა თამაშიდან.

NBA-ის ანტირეკორდი ეკუთვნის „პორტლენდს“, რომელმაც 2004 წლის 9 ნოემბერს, „ნიუ ჯერსის“ კალათში ტყორცნების 24.4 პროცენტი მოათავსა (78-დან 17 ზუსტი).

„ორლანდოს“ კიდევ ერთი მიღწევა იმაში მდგომარეობდა, რომ ერთ მატჩში (მეორეში) 20 შეცდომა დაუგროვდა.

- იმავე „ორლანდოსა“ და „ბოსტონის“ შეხვედრაში „კელტებმა“ 19-დან 19 საჯარიმო ჩააგდეს. უკვე მეორედ ამ სეზონში ბოსტონელებმა ჯარიმების ასი პროცენტი გამოიყენეს. პირველად ეს 30 დეკემბერს „დეტროიტთან“ მატჩში მოხდა - მაშინაც 19 საჯარიმო აღმოჩნდა ზუსტი.

- ჰიუსტონელმა **კაილ ლოურიმ** 16 ქულა, 10 მოხსნა და 10 შედეგიანი პასი დააგროვა „მინესოტასთან“ მატჩში. ბოლოს „როკეტსის“ კალათბურთელმა სამმაგი დუბლი ასევე „მინესოტას“ წინააღმდეგ დააგროვა - **გორან დრაგიჩმა** (11 ქულა, 11 მოხსნა, 11 პასი) 2011 წლის 13 აპრილს.

- **ჯო ჯონსონმა** ბოლო 2 წუთსა და 38 წამში 10 ქულა დააგროვა და „ატლანტას“ 82:84-დან 97:92 მოაგებინა „მილუოკისთან“. ჯონსონმა კარიერაში მეორედ მოიპოვა 10 ქულა ბოლო ორწუთ-ნახევარში, თუმცა 2008 წლის 4 აპრილს „ატლანტამ“ მაინც წააგო „ფილადელფიასთან“.

- პორტლენდელმა **ჯამალ კროუფორდმა** სათადარიგოთა სკამიდან 26 ქულა დააგროვა „საკრამენტოსთან“ მოგებულ შეხვედრაში. ბოლო სამ სეზონში ეს უკვე 24-ე შეხვედრაა კროუფორდისთვის, როცა მან მინიმუმ 25 ქულა დააგროვა ისე, რომ თავისი გუნდის სასტარტოს წევრი არ ყოფილა. ამ სამ წელიწადში ასეთი შედეგი არც ერთ სხვა კალათბურთელს არ ჰქონია.

- **დირკ ნოვიცკიმ** 1999 წლის 22 თებერვლის შემდეგ პირველად გამოტოვა მატჩი „ფინიქსის“ წინააღმდეგ. გერმანელმა რეგულარულ ჩემპიონატში 50-ჯერ და პლეი ოფში 12-ჯერ ითამაშა „სანზის“ წინააღმდეგ. ნოვიცკის გარეშე „დალასმა“ მაინც მოიგო და ეს არის „ფინიქსზე“ ამ გუნდის ზედიზედ მეშვიდე გამარჯვება.

- „ფილადელფიამ“ 30 ქულით მოუგო პირველი ტაიმი (62:32) „ვაშინგტონს“. 1983-84 წლების სეზონის შემდეგ ეს არის ამ კლუბისთვის მეორე ყველაზე დიდი ანგარიშით მოგებული ტაიმი. სარეკორდოა დიდი შესვენებისთვის „ნიუ იორკთან“ პირველი ტაიმის შემდეგ დაფიქსირებული 36-ქულიანი უპირატესობა (2008 წლის 20 თებერვალი).

- „ვაშინგტონმა“ შვიდიდან შვიდი გასვლითი შეხვედრა წააგო. ეს უკვე მეხუთე შემთხვევაა ლიგის ისტორიაში, როცა ერთი გუნდი სეზონს მინიმუმ შვიდი გასვლითი წაგებით იწყებს. ამ ხუთი შემთხვევიდან „უიზარდსი“ შარშანაც გამოირჩა, როცა სეზონის სტარტზე ზედიზედ 25 (!) გასვლითი შეხვედრა დათმო.

### ოკლაჰომა-დეტროიტი 99:79

**29:12, 31:21, 25:25, 14:21**

ო: უესტბრუკი (24+5 მოხსნა+6 პასი), ჰარდენი (24+5 მოხსნა), დურანტი (20+5 მოხსნა).

დ: ნაიტი (13), სტაკი (12), მონრო (12+7 მოხსნა), ჟერებკო (11+5 მოხსნა).

### პორტლენდი-საკრამენტო 101:89

**21:21, 32:17, 21:18, 27:33**

პ: კროუფორდი (26+5 პასი), უოლასი (20+8 მოხსნა), მეტიუზი (14), ოლდრიჯი (13+16 მოხსნა+5 პასი), ფელტონი (11+5 მოხსნა+5 პასი), სმიტი (10+7 მოხსნა).

ს: კაზინსი (18+13 მოხსნა), ფრედეტე (13), გრინი (12), გარსია (12), ტომასი (11+8 პასი).

### ბოსტონი-ორლანდო 87:56

**22:20, 24:16, 23:10, 18:10**

ბ: ბასი (19+8 მოხსნა), პირსი (19+5 მოხსნა+7 პასი), გარნეტი (14+10 მოხსნა+5 ჩაჭრა).

ო: ჰოვარდი (18+14 მოხსნა), დევისი (6+11 მოხსნა).

### მილუოკი-ატლანტა 92:97

**23:28, 25:20, 16:22, 28:27**

მ: ჯენინგსი (21+5 მოხსნა+11 პასი), დანლივი (17), გუდენი (13+6 მოხსნა), ილიასოვა (10+11 მოხსნა).

ა: ჯონსონი (28+5 მოხსნა), სმიტი (19+13 მოხსნა+3 დაფარება), ტიგი (15+6 მოხსნა+5 პასი), ფაჩულია (9+14 მოხსნა).

### ნიუ ორლეანი-სან ანტონიო 102:104

**28:30, 27:26, 25:23, 22:25**

ნ-ო: ჯეკი (26+6 მოხსნა+9 პასი), არიზა (18+6 მოხსნა+5 პასი+3 ჩაჭრა), ლენდრი (18+8 მოხსნა), ბელინელი (12), ოკაფორი (10+8 მოხსნა+3 დაფარება).

ს-ა: დანკანი (28+7 მოხსნა), პარკერი (20+17 პასი), ჯეფერსონი (14), სპლიტერი (12+6 მოხსნა), ნოა (10).

### დალასი-ფინიქსი 93:87

**32:27, 17:19, 25:19, 19:22**

დ: მერიონი (29), მარიონი (17+9 მოხსნა+3 დაფარება), ტერი (12+4 ჩაჭრა), ოდომი (11+5 პასი), ჰეივუდი (10+6 მოხსნა).

ფ: ჰილი (19+8 მოხსნა), გორტატი (19+17 მოხსნა+3 დაფარება), ბრაუნი (14), ნეში (8+12 პასი), ტელფეირი (7+11 მოხსნა).

### გ. სტეიტი-მემფისი 90:91

**21:13, 23:22, 25:17, 22:39**

გ-ს: ელისი (20+5 პასი), კარი (18+6 მოხსნა+5 პასი+3 ჩაჭრა), ლი (13+12 მოხსნა+5 პასი), რაში (10).

მ: გეი (23+6 მოხსნა+3 ჩაჭრა), კონლი (20+9 პასი), გასოლი (15+11 მოხსნა), ალენი (14+8 მოხსნა+5 ჩაჭრა).

### ფილადელფია-ვაშინგტონი 103:83

**33:14, 29:18, 23:26, 18:25**

ფ: ჰოლიდეი (17), ბრენდი (17+9 მოხსნა), მიქსი (15+5 მოხსნა), უილიამსი (14), იანგი (14+7 მოხსნა), ალენი (10+6 მოხსნა), იგუოდალა (7+7 მოხსნა+11 პასი).

ვ: კროუფორდი (17), ბლეტჩი (13), უოლი (13+5 პასი), ლუისი (11+6 მოხსნა), იანგი (10).

### მინესოტა-ჰიუსტონი 92:107

**19:28, 28:26, 24:22, 21:31**

მ: ლავი (39+12 მოხსნა), რიდნური (17+8 პასი), უილიამსი (11+7 მოხსნა), რუბიო (6+12 პასი+3 ჩაჭრა), დალემბერი (4+15 მოხსნა).

ჰ: მარტინი (31), ლოური (16+10 მოხსნა+10 პასი+3 ჩაჭრა), სკოლა (15), დრაგიჩი (14), პატერსონი (13).

### ჩიკაგო-ნიუ ჯერსი 110:95

**28:18, 31:25, 26:25, 25:27**

ჩ: როუზი (22+5 მოხსნა+8 პასი), ჰემილტონი (22+10 პასი), ნოა (16+10 მოხსნა), ბუზერი (14+9 მოხსნა), ბრიუერი (11+5 მოხსნა), აშიქი (10).

ნ-ჯ: ფარმარი (22), უილიამსი (16+10 პასი), მოროუ (15).



დანკანს მოგებას ულოცავენ

**აღმოსავლეთი**

| | თ | მ | წ | % |
|---|---|---|---|---|
| 1. ჩიკაგო* | 19 | 16 | 3 | 84.2 |
| 2. ინდიანა | 15 | 11 | 4 | 73.3 |
| 3. ატლანტა* | 18 | 13 | 5 | 72.2 |
| 4. ფილადელფია* | 17 | 12 | 5 | 70.6 |
| 5. ორლანდო | 16 | 11 | 5 | 68.8 |
| 6. მაიამი | 16 | 11 | 5 | 68.8 |
| 7. ბოსტონი | 16 | 7 | 9 | 43.8 |
| 8. კლივლენდი | 15 | 6 | 9 | 40.0 |
| 9. მილუოკი | 16 | 6 | 10 | 37.5 |
| 10. ნიუ იორკი | 16 | 6 | 10 | 37.5 |
| 11. ნიუ ჯერსი | 18 | 5 | 13 | 27.8 |
| 12. ტორონტო | 17 | 4 | 13 | 23.5 |
| 13. დეტროიტი | 18 | 4 | 14 | 22.2 |
| 14. შარლოტი | 17 | 3 | 14 | 17.6 |
| 15. ვაშინგტონი | 17 | 2 | 15 | 11.8 |

**დასავლეთი**

| | თ | მ | წ | % |
|---|---|---|---|---|
| 1. ოკლაჰომა* | 17 | 14 | 3 | 82.4 |
| 2. დენვერი | 17 | 12 | 5 | 70.6 |
| 3. კლიპერსი* | 14 | 9 | 5 | 64.3 |
| 4. მემფისი* | 16 | 10 | 6 | 62.5 |
| 5. იუტა | 15 | 10 | 5 | 66.7 |
| 6. სან ანტონიო | 18 | 11 | 7 | 61.1 |
| 7. დალასი | 18 | 11 | 7 | 61.1 |
| 8. ჰიუსტონი | 17 | 10 | 7 | 58.8 |
| 9. პორტლენდი | 17 | 10 | 7 | 58.8 |
| 10. ლეიკერსი | 18 | 10 | 8 | 55.6 |
| 11. მინესოტა | 17 | 7 | 10 | 41.2 |
| 12. ფინიქსი | 16 | 6 | 10 | 37.5 |
| 13. საკრამენტო | 18 | 6 | 12 | 33.3 |
| 14. გ. სტეიტი | 16 | 5 | 11 | 31.2 |
| 15. ნიუ ორლეანი | 17 | 3 | 14 | 17.6 |

** - დივიზიონის ლიდერი*

# კვირის მოთამაშეები

„ორლანდოსა“ და „მემფისის“ ცენტრები - **დუაიტ ჰოვარდი** და **მარკ გასოლი** გასული კვირის საუკეთესო მოთამაშეებად დაასახელეს.

აღმოსავლეთი კონფერენციის ლაურეატი ჰოვარდი თავის გუნდს ოთხიდან სამი მატჩის მოგებაში დაეხმარა. დუაიტის საშუალო მონაგარი 19.5 ქულა, 18.8 მოხსნა, 2.8 პასი და 2.8 დაფარება იყო. ჰოვარდმა ყველა მატჩში ორმაგი დუბლი შეასრულა, მათ შორის ზედიზედ ორჯერ მინიმუმ 20 ქულასა და 20 მოხსნას აგროვებდა. ჰოვარდი ლიგის ლიდერია მოხსნების რაოდენობით (16.1), მესამე - თამაშიდან ტყორცნების რეალიზაციით (57.5) და მეხუთე - დაფარებებით (2.33).

ოთხიდან ოთხი მოგება ჰქონდა გასულ კვირას „მემფისს“ და ამაში გასოლის წვლილი 19.5 ქულა, 9.8 მოხსნა, 4.5 პასი და 2.5 დაფარება იყო. ესპანელის ანგარიშზე სამი ორმაგი დუბლი მოდის. უმცროსი გასოლი ყველა ძირითადი კომპონენტის მიხედვით საუკეთესო სეზონს ატარებს: ქულები - 15.2, მოხსნები - 10.6, პასები - 3.1, დაფარებები - 2.6 და ჩაჭრები - 1.1.

**ჰოვარდის კვირა**

**17 იანვარი. ორლანდო-შარლოტი 96:89.** 25 ქულა, 17 მოხსნა, 4 პასი, 4 დაფარება.

**18 იანვარი. ორლანდო-სან ანტონიო 83:85 (ო).** 24 ქულა, 25 მოხსნა, 3 დაფარება.

**20 იანვარი. ორლანდო-ლეიკერსი 92:80.** 21 ქულა, 23 მოხსნა.

**გასოლის კვირა**

**16 იანვარი. მემფისი-ჩიკაგო 102:86.** 19 ქულა, 10 მოხსნა, 3 პასი, 2 დაფარება.

18 იანვარი. ნიუ ორლეანი-მემფისი 87:93. 22 ქულა, 12 მოხსნა, 7 პასი.

21 იანვარი. მემფისი-საკრამენტო 128:95. 20 ქულა, 11 მოხსნა, 5 პასი, 6 დაფარება.

კვირის მოთამაშის სტატუსზე შემდეგი კალათბურთელები აცხადებდნენ პრეტენზიას: **ჯო ჯონსონი** („ატლანტა“), **ჯოშ სმიტი** („ატლანტა“), **დანილო გალინარი** („დენვერი“), **ელ ჰარინგტონი** („დენვერი“), **მაიკ კონლი** („მემფისი“), **კრის ბოში** („მაიამი“), **ლებრონ ჯეიმსი** („მაიამი“), **ბრენდონ ჯენინგსი** („მილუოკი“), **რასელ უესტბრუკი** („ოკლაჰომა“), **ლამარკუს ოლდრიჯი** („პორტლენდი“) და **სტივ ნეში** („ფინიქსი“).

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

## ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

**აფრიკის თასი**

| | |
|---|---|
| განა-ბოტსვანა | 1:0 |
| მალი-გვინეა | 1:0 |

**ამხანაგური მატჩები**

| | |
|---|---|
| ფიურტი-ადმირა | 4:0 |
| ზაგრები-პუბლიკუმი | 1:1 |
| ტრენჩინი-სლოვაცკო | 2:1 |
| ტრნავა-ბანიკი | 2:0 |
| კლუჟი-აუსტრია | 0:0 |
| სტ. გალენი-კარლსრუე | 4:3 |
| ფორტუნა-დინამო (კ) | 5:2 |
| ოსტერი-კალმარი | 3:2 |
| რუსენბორგი-რანჰაიმი | 4:1 |

**ინგლისი**

**I ლიგა**

| | |
|---|---|
| ნოტსი-პრესტონი | 0:0 |
| სკანთორფი-უენსდი | 1:3 |
| სტევენეიჯი-მილტონი | 4:2 |

**II ლიგა**

| | |
|---|---|
| უიმბლდონი-მაკლსფილდი | 2:1 |
| ტორკი-დაგენჰემი | 1:0 |

**კონფერენსი**

| | |
|---|---|
| ბაროუ-გრიმსბი | 2:2 |
| ბეთი-ალფრეტონი | 0:3 |
| ებსფლიტი-ტამუორტი | 3:0 |
| ფლიტვუდი-ბრენტრი | 3:1 |
| ფორესტ გრინი-რეძსჰემი | 1:0 |
| ჰეიესი-დარლინგტონი | 3:2 |
| კეტერინგი-გეიტშიდი | 2:1 |
| კიდერმინსტერი-იორკი | 1:1 |
| ლინკოლნი-საუთპორტი | 2:0 |
| სტოკპორტი-ტელფორდი | 2:2 |

**ინგლისი. ლიგის თასი**

**1/2 ფინალი. II მატჩი**

| | |
|---|---|
| კარდიფი-კრ. პალასი | 1:0 პენ. 3:1 (0:1) |

**იტალიის თასი**

**1/4 ფინალი**

| | |
|---|---|
| იუვენტუსი-რომა | 3:0 |

**ესპანეთის თასი**

**1/4 ფინალი**

| | |
|---|---|
| მირანდესი-ესპანიოლი | 2:1 (2:3) |

**გერმანია**

**III ბუნდესლიგა**

| | |
|---|---|
| ვერდერი A-ვეენი | 1:1 |

**ბელგია**

| | |
|---|---|
| ანდერლეხტი-გენტი | 3:1 |

**შოტლანდია**

| | |
|---|---|
| მოზერველი-დანფერმლაინი | 3:1 |

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ფორფარი-სტირლინგი | 2:2 |
| ისტ ფაიფი-ალბიონი | 2:0 |

**თურქეთი**

| | |
|---|---|
| მანისა-სამსუნი | 1:1 |
| სივასი-ანტალია | 2:1 |
| ბეშიქთაში-გაზიანთეფი | 3:2 |
| მერსინი-ქაისერი | 1:2 |

**კალათბურთი**

**ევროთასი**

| | |
|---|---|
| სპარტაკი (ს-პ)-ბანვითი | 80:71 |
| ხიმკი-ვილერბანი | 86:80 |
| დონეცკი-[illegible] | 81:74 |
| [illegible]-ბენეტონი | 78:69 |
| ნიმბურკი-გრაველენი | 79:62 |
| კრკა-ბუდუჩნოსტი | 64:69 |
| ალბა-ლოკომოტივი | 79:84 |
| ვალენსია-ვეფ რიგა | 80:49 |

**ევროჩელენჯი**

| | |
|---|---|
| პინარი-არტლანდი | 95:99 |
| ფუენლაბრადა-ბეშიქთაში | 72:70 |
| ოლდენბურგი-ლეიდენი | 85:62 |
| როანი-ვენტსპილსი | 88:89 (ო) |
| ანტვერპენი-ტრიუმფი | 83:58 |
| შალონი-აალსტი | 87:72 |

**ხელბურთი**

**ევ. ჩემპიონატი**

**კაცები**

| | |
|---|---|
| ესპანეთი-ისლანდია | 31:26 |
| საფრანგეთი-ხორვატია | 22:29 |
| უნგრეთი-სლოვენია | 30:32 |

**ჰოკეი**

**კჰლ**

| | |
|---|---|
| ავანგარდი-ბარისი | 3:2 |
| მეტალურგი (ნ)-ავტომობილ. | 3:2 (ბ) |
| სიბირი-ტრაქტორი | 2:3 |
| ს. იულიაევი-ვიტიაზი | 3:0 |
| აკ ბარსი-სპარტაკი | 1:3 |
| ნეფტიხიმიკი-სევერსტალი | 4:2 |
| სკა-დინამო (მ) | 5:1 |
| დინამო (მნ)-ცსკა | 6:5 |
| დინამო (რ)-ტორპედო | 5:4 (ბ) |

**ავსტრია**

| | |
|---|---|
| აკრონი-ვენა | 1:4 |
| გრაცი-ვილახი | 4:0 |
| ზალცბურგი-ალბა | 1:7 |
| კლაგენფიურტი-ზაგრები | 4:5 |
| ლინცი-ოლიმპია | 4:0 |

**გერმანია**

| | |
|---|---|
| კიოლნი-მანჰაიმი | 4:3 |

**დანია**

| | |
|---|---|
| ჰერნინგი-ფრედრიკშავნი | 4:1 |
| ესბერგი-ჰერლევი | 4:5 |
| ოდენსე-კოპენჰაგენი | 3:2 |
| სონდერიისკი-როდოვრე | 2:1 |

**ნორვეგია**

| | |
|---|---|
| რუსენბორგი-სტორჰამარი | 3:4 |

**ფინეთი**

| | |
|---|---|
| ბლუზი-პელიკანსი | 1:5 |
| ილვესი-ლუკო | 1:3 |
| კერპეტი-ტპს | 4:1 |
| ჰიფკ-საიპა | 4:3 (ო) |
| ჰპკ-ტაპარა | 3:1 |

**ჩეხეთი**

| | |
|---|---|
| ბუდეიოვიცე-ვიტკოვიცე | 3:1 |
| ბრნო-კლადნო | 1:0 |

**შვეიცარია**

| | |
|---|---|
| ბილი-ციურიხი | 2:5 |
| სერვეტი-ფრიბურგი | 3:1 |

**შვედეთი**

| | |
|---|---|
| ტიმრა-აიკ | 1:0 (ო) |
| იურგორდენი-ფერიესტადი | 2:1 (ბ) |

## TV პროგრამა

**25 იანვარი. ოთხშაბათი**

**GMG-ფეხბურთი**

**10:00** იტალიის ჩემპიონატი. XIX ტურის მიმოხილვა.
**11:00** ინგლისის ჩემპიონატი. XXII ტურის მიმოხილვა.
**12:00** ინგლისის ლიგის თასი. 1/2 ფინალი. საპასუხო მატჩი. კარდიფი-კრისტალ პალასი.
**14:00** იტალიის ჩემპიონატი. XIX ტური. რომა-ჩეზენა.
**16:00** ესპანეთის ჩემპიონატი. XIX ტური. მალაგა-ბარსელონა.
**18:00** ესპანეთის ჩემპიონატი. XIX ტურის მიმოხილვა.
**19:00** გერმანიის ჩემპიონატი. XVIII ტური. ბორუსია (მ)-ბაიერნი.
**21:00** გერმანიის ჩემპიონატი. XVIII ტურის მიმოხილვა.
**22:00** ესპანეთის თასი. 1/4 ფინალი. პირველი მატჩი. რეალი-ბარსელონა.
**00:00** იტალიის შოუ.
**00:30** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
**01:00** ესპანეთის თასი. 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩი. რეალი-ბარსელონა (LIVE).

**GMG-სპორტი 1**

**10:00** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონტი. უდინეზე-კატანია.
**12:00** სპორტ-NEWS.
**12:15** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. პორტლენდი-მემფისი.
**14:30** სუპერკოლაჟი.
**15:00** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. შალკე- შტუტგარტი.
**17:00** რაგბი. ჰაინეკენის თასი. ჯგუფური ეტაპი. კლერმონი-ალსტერი.
**19:00** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ერთი მატჩის ისტორია.
**19:30** სპორტ-NEWS.
**20:00** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. პორტლენდი-მემფისი.
**22:15** საკალთბურთო მიმოხილვა - ოვერტაიმი.
**23:15** კალათბურთი. ევროლიგა. მიმოხილვა.
**23:45** კალათბურთი. ევროლიგა. TOP 16. მეორე ტური. კანტუ-ჟალგირისი (LIVE).

**GMG-სპორტი 2**

**10:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. პარიზი. საფრანგეთი.
**12:30** სპორტ-NEWS.
**13:15** რაგბი. ჰაინეკენის თასი. ჯგუფური ეტაპი. ტრევიზო-სარასენი.
**15:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. პარიზი. საფრანგეთი.
**16:30** სუპერკოლაჟი.
**17:00** სპორტ-NEWS.
**17:30** ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-ბილბაო.
**19:30** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. პარიზი. საფრანგეთი.
**23:00** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
**23:45** ფეხბურთი. ინგლისის ლიგის თასი. 1/2 ფინალი. საპასუხო მატჩი. ლივერპული-მანჩესტერ სიტი (LIVE).

ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობა



# კაროლ პირველი აღარ არის

ავსტრალიის ღია პირველობაზე მეოთხედფინალური ეტაპი დაიწყო, რომელიც "ხმაურიანი" მატჩებით იყო დატვირთული. მაგალითად, 2009 წლის ამერიკის ღიას ორივე ფინალის გამეორება: **ვოზნიაცკი-კლაისტერსი** და **ფედერერი-დელ პოტრო**, ან კიდევ 2010 წლის უიმბლდონის ფინალისტების – ნადალისა და ბერდიხის დაპირისპირება.

ამ ფონზე ერთგვარად ჩრდილში მოექცა მატჩი **ვიქტორია აზარენკასა** და **აგნიეშკა რადვანსკას** შორის. პოლონელი მესამედ გავიდა ავსტრალიის ღიას მეოთხედფინალში, მაგრამ აქამდე ნახევარფინალის საგზური არასოდეს მოუპოვებია. ბელარუსი იშვიათად არის "დიდი სლემის" ტურნირების ნახევარფინალების სტუმარი – აქამდე მხოლოდ შარშანდელი უიმბლდონის საუკეთესო ოთხეულში შევიდა.

როგორც წესი, აზარენკასა და რადვანსკას მატჩები სამ სეტამდე იწელება, ამიტომაც ყველა დაძაბულ შეხვედრას ელოდა. საერთო ჯამში, ასეც გამოვიდა, თუმცა სინამდვილეში მხოლოდ პირველ სეტში იყო ბრძოლა. მიუხედავად იმისა, რომ პირველი რადვანსკა აწვდიდა, თითქმის მთელი დრო ანგარიში აზარენკას მიჰყავდა. ბელარუსმა პარტიაში ოთხი ბრეიკი გააკეთა, მაგრამ რადვანსკა არაფერს თმობდა, ყოველთვის ეწეოდა მეტოქეს და ტაი-ბრეიკამდე მიაღწია. აქ კი ვიქტორია ჩავარდა. უამრავმა შეცდომამ აზარენკას ერთი ქულის აღების საშუალებაც არ მისცა – 0:7.

ამის შემდეგ თამაშის სურათი მთლიანად შეიცვალა. რადვანსკა მოახლოებული ტრიუმფის გამო ანერვიულდა და თამაშის სადავეები ხელიდან გაუშვა. აგნიეშკამ შეცდომების დაშვება დაიწყო და ვერანაირ სირთულეს ვერ უქმნიდა ვიქტორიას. აზარენკამ მიზანი გაასწორა, საკუთარ ძალებში დამაჯერებლობა იგრძნო და "მშრალი" ანგარიშით მოიგო მეორე სეტი. მესამე პარტიაში წარმოიშვა მომენტი, როცა ბელარუსმა კინაღამ თამაშში დაბრუნების საშუალება მისცა მეტოქეს – მან 3:1-ზე ორი ორმაგი შეცდომა დაუშვა, მაგრამ ეს აგნიეშკას მიერ ბოლო მოგებული გეიმი აღმოჩნდა. შემდეგ გეიმში აზარენკას მოწოდებაზე ანგარიში იყო 15:40, მაგრამ ვიქტორიამ შეძლო სიტუაციის გამოსწორება და მატჩის გამარჯვებამდე მიყვანა.

■ ■ ■

აზარენკას მეტოქე ნახევარფინალში კიმ კლაისტერსისა და კაროლინ ვოზნიაცკის მატჩში ირკვეოდა. ეს ჩოგბურთელები გასულ წელს რეიტინგში უმაღლეს საფეხურზე იმყოფებოდნენ. წინა მატჩში **ნა ლისთან** კლაისტერსმა მარცხენა ფეხი გადაიბრუნა, ამიტომაც არსებობდა ეჭვი – შეძლებდა თუ არა საერთოდ ბელგიელი თამაშს. მაგრამ კიმმა არა მარტო შეძლო კორტზე გასვლა, არამედ შესანიშნავი თამაში აჩვენა. კიმი კარგად გადაადგილდებოდა და ბრწყინვალე შემტევ სტილში მოიგო პირველი სეტი. ვოზნიაცკის შეტევითი თამაშის ორგანიზების დრო არ ჰქონია – 6:3. პარტიის განმავლობაში კლაისტერსმა 20 "ვინერსი" მიითვალა, ამასთან, დანიელმა 13 უნებლიე შეცდომა დაუშვა.

მეორე სეტში კიმმა ოდნავ უკლო აქტიურობას, მაგრამ ისევ ფლობდა უპირატესობას. ბელგიელისთვის უპრობლემო ცხოვრება მერვე გეიმამდე გრძელდებოდა. 5:2-ზე მან ნერვიულობა დაიწყო და თამაში შეარბილა. ვოზნიაცკი კი მაშინვე გამოცოცხლდა და კლაისტერსისგან განსხვავებით, შეცდომები თითქმის გამორიცხა. დანიელი დაეწია მეტოქეს და ბრეიკით დაწინაურებაც შეეძლო, მაგრამ კარგი შანსი გაუშვა ხელიდან. საბოლოოდ, მეორე სეტის ბედი ტაი-ბრეიკზე გაირკვა. გარკვეული ხანი ჩოგბურთელები დამაჯერებლად იღებდნენ საკუთარ მოწოდებებს, მაგრამ გადამწყვეტ მომენტში კიმმა იპოვა გარისკვის შესაძლებლობა და სეტი მოიგო – 7:6 (7:4).

ასე რომ, ვოზნიაცკი ამ წაგების გამო ნამდვილად დაკარგავს პირველ ადგილს WTA-ის რეიტინგში. კაროლინს ავსტრალიის ღია პირველობის შემდეგ 7085 ქულა ექნება, იმ დროს, როცა აზარენკასა და **პეტრა კვიტოვას** უკვე მეტი ქულა აქვთ – შესაბამისად, 7485 და 7290. რეიტინგში პირველობის შანსი აქვს **მარია შარაპოვასაც** – ამისთვის მას მელბურნში მოგება სჭირდება.

თუმცა ვოზნიაცკიმ განაცხადა, რომ დიდად არ ნაღვლობს ლიდერობის დაკარგვის გამო: *"თუ სიმართლე გაინტერესებთ, არც ვფიქრობ იმაზე, რომ რეიტინგში ლიდერობა დავთმე. მწვერვალზე საკმარისად დიდი ხანი ვიყავი და ზედიზედ ორი წელი პირველი ჩოგანის რანგში დავასრულე. წლის ბოლოს ვნახავთ, ვინ თამაშობდა ყველაზე კარგად. ახლა მხოლოდ იანვარია. ვიცი, რომ კიდევ დავბრუნდები მწვერვალზე, ამიტომაც არ ვნერვიულობ. წინ აქტიური კარიერის რამდენიმე წელი მაქვს, ასე რომ, შევეცდები "დიდი სლემის ტურნირებზე გამარჯვებას. ბოლოს და ბოლოს, იმას ვაკეთებ, რაც შემიძლია".*

**1/4 ფინალი**

**კიმ კლაისტერსი (ბელ, 11)**-კაროლინ ვოზნიაცკი (დან, 1) 6:3, 7:6(4); **ვიქტორია აზარენკა (ბლრ, 3)**-აგნიეშკა რადვანსკა (პოლ, 8) 6:7(0), 6:0, 6:2.

# მოგება საიუბილეო მატჩში

მამაკაცებს შორის პირველი ნახევარფინალისტი გახდა **როჯერ ფედერერი**. შვეიცარიელი პროფესიულ ტურში საიუბილეო – მეათასე შეხვედრას ატარებდა და ის დამაჯერებელი გამარჯვებით აღნიშნა. მატჩის წინ არგენტინელი **ხუან-მარტინ დელ პოტროს** ფორმაზე მსჯელობა რთული იყო, რადგან მეოთხედფინალამდე ისეთი მეტოქეები ხვდებოდა, რომლებიც ძლიერ ჩამორჩებოდნენ კლასში. ფედერერთან მატჩმა დაგვანახვა, რომ ხუან-მარტინი ჯერ არ დაბრუნებულა იმ დონეზე, რომელმაც მას 2009 წელს აშშ-ის ღია პირველობა მოაგებინა.

სამივე პარტიაში ფედერერმა ადრეული ბრეიკის წყალობით მოიპოვა უპირატესობა. პირველ სეტში დელ პოტრომ მეშვიდე გეიმში შეძლო დაკარგული ბრეიკის დაბრუნება, მაგრამ ბოლოსკენ ანერვიულდა და სეტბოლზე ორმაგი შეცდომა დაუშვა. მეორე სეტში არგენტინელმა ისევ შეძლო მდგომარეობის გამოსწორება, მაგრამ ოთხიდან ორ ბრეიკ-პოინტზე ცუდად ითამაშა, ორჯერ კი როჯერმა შესანიშნავად მოაწოდა, არადა, შვეიცარიელს მთლიანად პარტიაში პირველი მოწოდების მხოლოდ 44-პროცენტიანი სიზუსტე ჰქონდა. მესამე სეტი კი შვეიცარიელს იოლად ერგო – დელ პოტრომ მხოლოდ ორი გათამაშება მოიგო მიღებაზე, თავად ფედერერმა კი ამდენივე ბრეიკი გააკეთა.

მეორე ნახევარფინალი **ბერდიხსა** და **ნადალს** შორის გაცილებით დაძაბული გამოვიდა. პირველი სეტის ბოლოს ტომაშმა ოთხი სეტბოლი გაანიავა, რომელთაგანაც სამი ზედიზედ ჰქონდა მიღებაზე. ამასთან, ერთ-ერთი ნადალმა დაცვაში ბრწყინვალე თამაშით მოიგერია და, ალბათ, ამ გათამაშებას ერთ-ერთ საუკეთესოდ აღიარებენ ტურნირზე. ტაი-ბრეიკზე ჩეხმა პირველმა დაკარგა თავისი მოწოდება, მაგრამ შემდეგ გაქცევა მოახერხა – 3:5-დან ზედიზედ ოთხი ქულა აიღო. მაგრამ ეს ტაი-ბრეიკი შეიძლებოდა სხვანაირად დასრულებულიყო, ნადალს 5:5-ზე ბერდიხის დარტყმის შესამოწმებლად "ჩელენჯი" რომ აეღო.

შემდეგი პარტიის დასაწყისში ნადალმა შეძლო მატჩში პირველი ბრეიკის შესრულება – ეს მეოთხე გეიმში მოხდა, რის შემდეგაც ორივე ჩოგბურთელმა პაუზა აიღო და მიღებაზე ბრძოლა თითქმის შეწყდა. ამის გამო რაფაელს ყურადღება გაეფანტა, ტომაშმა კი კარგად დაიჭირა ეს მომენტი და შეძლო იმ დროს მომატება, როცა ესპანელი სეტზე აწვდიდა. საპასუხო ბრეიკის გაკეთების შემდეგ, ბერდიხმა მიხთვის საყვარელ ტაი-ბრეიკამდე (მანამდე ავსტრალიის ღიაზე რვიდან რვა "შემოკლებული გეიმი" ჰქონდა მოგებული) მიიყვანა საქმე. მაგრამ ამჯერად ესპანელს გაუმართლა, მიუხედავად იმისა, რომ ბერდიხს სეტბოლი ჰქონდა – 7:6 (8:6).

ბერდიხმა შესანიშნავად დაიწყო მესამე სეტი – მეორე გეიმში ნადალის მოწოდება აიღო, მაგრამ შემდეგ არა მხოლოდ დაკარგა ეს უპირატესობა, არამედ რაფას ბრეიკით დაწინაურების საშუალება მისცა. სამი საათის ბრძოლის შემდეგ, ამგვარი ინტენსიური თამაშის ფონზე უფრო მეტი ძალა ნადალს შერჩა. ტომაში ჩქარობდა, უარესად გადაადგილდებოდა და შეცდომებს უშვებდა. ის, რა თქმა უნდა, აგრძელებდა ბრძოლას, მაგრამ უკვე არაფრის გაკეთება არ შეეძლო ათამაშებული ესპანელის წინააღმდეგ. მესამე და მეოთხე სეტი ნადალს დარჩა – 6:4, 6:3 და ოთხი საათისა და 16 წუთის შემდეგ ესპანელი ნახევარფინალში გასვლას ზეიმობდა.

**1/4 ფინალი**

**როჯერ ფედერერი (შვეიც, 3)**-ხუან მარტინ დელ პოტრო (არგ, 11) 6:4, 6:3, 6:2; **რაფაელ ნადალი (ესპ, 2)**-ტომაშ ბერდიხი (ჩეხ, 7) 6:7(5), 7:6(6), 6:4, 6:3.



სნუკერი. მასტერსი 2012

# მასტერსი რობერტსონისაა

ლონდონში მორიგი დიდი ტურნირი დასრულდა, რომელიც, მართალია, არარეიტინგულია, მაგრამ ყოველთვის ძლიერ შემადგენლობას კრებს. წლევანდელი მასტერსის ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონები – ავსტრალიელი **ნილ რობერტსონი** და ინგლისელი **შონ მერფი**.

ორივემ ნახევარფინალურ ეტაპზე ბრძოლას გამოთიშა მთავარი ფავორიტები. მერფი **ჯონ ჰიგინსზე** ძლიერი აღმოჩნდა, რობერტსონმა კი ვუნდერკინდი **ჯად ტრამპი** დაამარცხა.

ავსტრალიელი მთელი ტურნირის განმავლობაში ბრწყინვალე ტაქტიკური თამაშით გამოირჩეოდა. სწორედ კარგად გათვლილი სტრატეგიით შეძლო მან ტიტულის მოგება. არადა, აქამდე ნილი მასტერსებზე არასოდეს გასულა მეოთხედფინალზე შორს.

პირველი სესია რობინსონის სასარგებლოდ დასრულდა – 5:3. თითქოს მთავარი ბრძოლა საღამოს უნდა შემდგარიყო, მაგრამ მაგიდასთან მხოლოდ ერთი მოთამაშე ბრწყინავდა. მე-13 ფრეიმის შემდეგ მატჩის ბედი პრაქტიკულად გარკვეული იყო – 9:4. თუმცა მერფიმ მაინც არ დათმო იოლად ფინალი. შემდეგი ორი ფრეიმი 85 და 86 სერიებით მას დარჩა, მაგრამ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა. მე-16 პარტიაში ავსტრალიელმა მეტოქეს არც ერთი ბურთი არ ჩააგდებინა - 10:6. ასე რომ, წელს მასტერსის ტიტული და 150 ათასი გირვანქა სტერლინგის ჩეკი ნილ რობერტსონს ერგო.

მთელი ტურნირის განმავლობაში 23 სენჩური-ბრეიკი დაფიქსირდა. ყველაზე მეტი ასიანი სერია შონ მერფის ჰქონდა. რობერტსონი ამ რეიტინგში მეორე იყო. ყველაზე მაღალი ბრეიკის (141) ავტორი კი **რონი ო'სალივანი** გახდა.

**139, 122, 107, 102, 101, 100 – შონ მერფი**
**119, 103, 101, 100, 100 – ნილ რობერტსონი**
**140, 121, 107 – ჯად ტრამპი**
**141, 125 – რონი ო'სალივანი**
**112, 110 – მარკ სელბი**
**124 – მარკ ალენი**
**109 – ჯონ ჰიგინსი**
**100 – სტივენ ლი**

*„უბრალოდ ვიცოდი, როგორ უნდა მეთამაშა შონის წინააღმდეგ. ის დომინირებდა მატჩის დასაწყისში, მაგრამ შემდეგ რამდენიმე შეცდომა დაუშვა. უბრალოდ გამიმართლა, რომ ანგარიშით გათანაბრება შევძელი. ამის შემდეგ დამაჯერებლობა დამიბრუნდა. რთულ ბურთებს ვაგდებდი და ვთამაშობდი ისე, როგორც უნდა იმოქმედო მის წინააღმდეგ. უკვე დიდი ხანია მინდოდა აქ გამარჯვება. ეს იყო მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულის შემდეგ ჩემი მომდევნო მიზანი",* - განაცხადა ფინალის შემდეგ რობერტსონმა.


ფინალისტები

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**